

არშემდგარი პროტესტი
A4



მოსკოვს აშფოთებს ნატო-ს გაფართოება
A5



ხელისუფლებას მეტი მეწარმის დაჭერა სურს
A6


# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი. №142 (1002)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

# 21-ე საუკუნეში დაკარგული აფხაზეთი

ნინო გოგართელი

*"სამხრეთ ოსეთში არ იციან დიალოგის არსი, ხოლო სოხუმი ამ საუკუნეში დაკარგულია, მას არ აქვს მომავალი," - აცხადებენ მარშალის ფონდისა და გარდამავალი დემოკრატიების პროექტის დელეგაციის წევრები. ისინი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, ეგრეთწოდებული "გაყინული კონფლიქტების" და მათი მშვიდობიანად გადაჭრის გზების უკეთ გაცნობის მიზნით, საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ.*

**"საქართველომ ბევრი რამ უნდა გააკეთოს მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. ჩვენ ვნახეთ კონფლიქტურ ზონებში არსებული ვითარება და დავრწმუნდით, რომ იქ რუსეთის ხელი ურევია. ამიტომაც, თქვენს ქვეყანას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის დახმარება, მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდება,"** - ასეთი აზრი გამოხატეს თბილისში დელეგაციის წევრებმა და ასეთივე ამბებიც წაიღეს ევროპასა და შეერთებულ შტატებში.

გაგრძელება A3 გვერდზე



*"სოხუმში წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება. ძალიან დიდი კონტრასტია თბილისსა და ცხინვალს შორის. თბილისში სიცოცხლეა, იქ კი არ არის მომავალი," - ასეთი აზრი ჩამოუყალიბდათ რონალდ ასმუსს და ბრიუს ჯექსონს.*

# კონსერვატორები მიტინგებს კახეთიდან ამზადებენ

*"30 ათასი ხელმოწერა, მიტინგები ყველა რაიონში, 10-ათასკაციანი საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ და ანაბრები გაგინაღდდებათ," - ასე არიგებდა გუშინ კონსერვატორების ლიდერი კობა დავითაშვილი გურჯაანელ მოსახლეობას. მან ფინანსური პოლიციის შეფის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგაც გააკეთა სკანდალური განცახდება. კონსერვატორების ლიდერს მიაჩნია, რომ წელს კახეთში დიზელის საწვავის განსაკუთრებით გაძვირება სწორედ დავით კეზერაშვილის ინტერესებს უკავშირდება. კობა დავითაშვილი საგარეჯოში განლაგებულ ნავთობმომპოვებელი კომპანია "კანარგო ჯორჯიას" ლობისტად ფინანსური პოლიციის შეფს მოიაზრებს, ოფიციალური მეპატრონე კი შევარდნაძის მძახალი გურამ ახვლედიანია.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

პარტია, რომელიც მოსახლეობის ნდობის მოპოვებას ამჯერად ანაბრების თემით აპირებს, ქვეყნის პირველ პირს დანაპირებს ახსენებს. **"არჩევნების წინ პრეზიდენტი რომ გულუხვი იყო, ახლა გულმავიწყი აღმოჩნდა. ჩვენ კიდევ სკლეროზის წამლები ვართ და ამომრჩევლებისთვის მიცემულ სიტყვებს ვახსენებთ,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი, რომელიც ხელისუფლებას პირველ დანაპირებს - კატეგორიების მიხედვით პენსიების მომატებას ახსენებს.

ამის შემდეგ კობა დავითაშვილი საუბარს მოსახლეობისთვის აქტუალურ თემაზე - ანაბრებზე იწყებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვიქეიფოთ და გავიხსენოთ საქართველო

## ქართული სამზარეულოს ფესტივალზე მონადირეებმა გაიმარჯვეს

ია ვეკუა

თუ წარმოუდგენელი ზომის ზუთხს ღუმელში გამოაცხობთ და საიდუმლო რეცეპტით დამზადებული სოუსით გააკეთილშობილებთ, ქართული სამზარეულოს ფესტივალზე წარმატება გარანტირებული გაქვთ. სწორედ, ეს გახლდათ რესტორან "მონადირეს" საფირმო კერძი, რომელმაც საზკვების ამ წყნეთურ ობიექტს გამარჯვება მოაპოვებინა. ფესტივალი "ქართული სამზარეულო 2005", პროექტ "გავიხსენოთ საქართველოს" ეგიდით, გასართობ კომპლექს "არაგვის" დარბაზში გაიმართა და ქართული სუფრის ზეიმად იქცა, რომელიც, ამავდროულად, თითქმის 6-საათიანი საქეიფო მარათონის სახესაც ატარებდა.

ფესტივალში ოცდაათამდე რესტორანი მონაწილეობდა. მათ შორის იყო როგორც ტრადიციული ქართული, ისე უცხოური სამზარეულოთი წარმოდგენილი დაწესებულებები. ფესტივალის ორგანიზატორებმა მონაწილეებს რამდენიმე მარტივი საკონკურსო პირობა შესთავაზეს: ყველა რესტორანს საკუთარი გემოვნებით შერჩეული მენიუთი თითო ათკაციანი სუფრა უნდა გაეწყო, თითო მაგიდას კი ორ-ორი ოფიციანტი მომსახურებოდა. ამ მარტივ მოთხოვნებს (რომლებსაც აღნიშნული რესტორნები ყოველდღიურად ისედაც აკმაყოფილებენ) ემატებოდა მთავარი პირობა - საფირმო კერძის წარმოდგენა.

გაგრძელება B1 გვერდზე



# გაგრა - ბრძოლა ძალაუფლებისათვის

## გაგრაში ადგილობრივი სათათბიროს დეპუტატის არჩევნები რეგიონის მეთაურის არჩევნებად იქცა

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

კვირას, გაგრის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში ადგილობრივ სათათბიროში ერთ გათავისუფლებულ სადეპუტატო ადგილზე არჩევნები გაიმართა. ამ ადგილზე პრეტენზიას სამი კანდიდატი გამოთქვამდა - ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი აბესალომ ბეია, პარლამენტის წევრი, მოძრაობა "ამცახარას" ერთ-ერთი ლიდერი ვიტალი ტარნავა და იურისტი ასტამურ ქეცბა.

იმის მიუხედავად, რომ ეს მხოლოდ ადგილობრივი სათათბიროს არჩევნები იყო, ბრძოლა ისეთივე მძაფრი აღმოჩნდა, როგორც ამასწინათ პარლამენტის ორი მანდატისათვის გამართულ შუალედურ არჩევნებზე. საქმე ისაა, რომ გაგრის ერთ-ერთი რაიონის ელექტორატი, ფაქტობრივად, გაგრის რაიონის ხელმძღვანელს ირჩევდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპარლამენტო ცისფერი მთები

## ანუ საგაზაფხულო სესიის ბოლო დღე

გიორგი ასანიშვილი

საგაზაფხულო სესიის დამთავრების ნიშნად პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაკრული ჰიმნი სახელისუფლებო ფრაქციის წევრებისთვის მეტად მინორულად ჟღერდა. გუშინდელი სხდომის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ე.წ "ოტსტუპნიკების" საკითხის გარშემო მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. იმისთვის, რომ "მძაფრი ბატალიების" ამსახველი კადრები ფართო საზოგადოებას არ ეხილა, ჟურნალისტებს "ბრძოლის ველი" სასწრაფოდ დაატოვებინეს...

მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებში" ბინით მოსარგებლეებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ ვარიანტს თითქმის ორჯერ მეტი მხარდამჭერი (შოთა მალაშხია, მეგი გოცირიძე და სხვები) აღმოაჩნდა, ვიდრე ბინის მეპატრონეთათვის სასურველ კანონპროექტს (ნიკა გვარამია, გიგა ბოკერია, ნინო კალანდაძე...), საკითხი მაინც გადაუწყვეტელი დარჩა. ამდენად, თუ საკანონმდებლო ორგანო 1 ივლისამდე რაიმეს არ იღონებს, ათიათასობით ადამიანი სამართლებრივად დაუცველი აღმოჩნდება და შესაძლოა, საცხოვრებლის გარეშე დარჩეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველი პოლკოვნიკი სამართალს სტრასბურგში ეძებს

*საქმე, სახელწოდებით "ბათო საღინაძე საქართველოს წინააღმდეგ", წარმოებაში მიღებულია, - ასეთი შეტყობინება მოუვიდა რამდენიმე დღის წინ სარჩელის ავტორს, პოლიციის პოლკოვნიკს, ბათო საღინაძეს სტრასბურგის სასამართლოდან. საღინაძე საქართველოს ხელისუფლებას მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალისთვის 700 ათას ევროს სთხოვს.*

ბათო საღინაძემ, რომელიც დღეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია, საქართველოს მილიციაში მოღვაწეობა

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამბები

### მიწებისათვის ბრძოლა გრძელდება



გუშინ თბილისის მერიაში, მდინარე მტკვრის კალაპოტში გასხვისებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებს შორის ზეპირი მოსმენა გაიმართა.

A3

## ამინდი

| | 25/06 | 26 /06 | 27 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 26 | 25 | 31 |
| ტყიბული | 25 | 20 | 26 |
| სოხუმი | 26 | 22 | 27 |
| დმანისი | 21 | 16 | 23 |
| გორი | 23 | 19 | 26 |
| ონი | 23 | 16 | 22 |
| ზუგდიდი | 27 | 23 | 27 |
| ახმეტა | 27 | 24 | 31 |
| გაგრა | 23 | 23 | 26 |
| სამტრედია | 27 | 22 | 28 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# "აზოტს" კრედიტორთა ახალი კომიტეტი ჰყავს

მაია მოსიაშვილი

სააქციო საზოგადოება "აზოტი" ორ კვირაში გასაყიდად მზად იქნება. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 6 ივნისს ამ საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო და გაკოტრების მმართველად ზურაბ იაშვილი დაინიშნა. მაშინ ითქვა, რომ ეს ქარხნის პრივატიზების რეჟიმში გადასაყვანად გაკეთდა.

გუშინ რუსთავის სასამართლოში "აზოტის" კრედიტორთა სხდომა ჩატარდა, სადაც კრედიტორთა სამკაციანი კომიტეტის ახალი შემადგენლობა წარადგინეს. მასში ფინანსთა სამინისტროს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისა და კონცერნ "დვინის" წარმომადგენლები შევიდნენ. კომიტეტის ახალ შემადგენლობას რამდენიმე წვრილმა კრედიტორმაც დაუჭირა მხარი. ფინანსთა სამინისტროს, საბითუმო ბაზრისა და "დვინის" მიმართ ქარხნის კრედიტორული დავალიანება, ჯამში, საერთო დავალიანების 51 პროცენტს შეადგენს.

"გასული წლის 1 ივნისის მონაცემებით, "აზოტის" სასამართლოს მიერ შემოწმებული კრედიტორული დავალიანება 112 მილიონი ლარია, აქედან სახელმწიფოს 22 მილიონი ეკუთვნის, საბითუმო ბაზარს - 25 მილიონი, ხოლო კონცერნ "დვინს" - 9 მილიონი. აზოტის კრედიტორული დავალიანების ზუსტი და საბოლოო ციფრი ჯერ დადგენილი არ არის და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს," - განუცხადა "24 საათს" ზურაბ იაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ამჟამად "აზოტში" ქონების სრული ინვენტარიზაცია-აღწერა ფინალს უახლოვდება, პარალელურად, საწარმო გააგრძელებს მუშაობას და სახელფასო და საგადასახადო ვალდებულებებს დაფარავს.

"ეს პროცესი დაახლოებით ორ კვირაში დასრულდება და "აზოტი" პრივატიზაციისათვის მზად იქნება, ანუ აღწერის დასრულების შემდეგ მისი გასუფთავებული, უვალო აქტივები გაიყიდება," - განაცხადა იაშვილმა.

# საპარლამენტო ცისფერი მთები

პირველი გვერდიდან

უმრავლესობის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, აგრეთვე, საგადასახადო კოდექსში შესატანმა ცვლილებებმა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ გადაუხდელი გადასახდის ოდენობა 25 ათას ლარს აღემატება. ამ საკითხზე გამართული რამდენიმესაათიანი დებატები იმით დასრულდა, რომ კანონპროექტი... გადაიდო. თუმცა, კენჭისყრის შედეგები საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით კირკიტაძემ გააპროტესტა. მან შენიშნა, რომ რამდენიმე დეპუტატმა დოკუმენტს სხვისი პულტით მისცა ხმა და რეგლამენტის დამრღვევთა მიმართ ფინანსური სანქციების გატარება მოითხოვა. სიის ამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ დამრღვევთა შორის მრავლად იყვნენ თავად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. თუმცა, სხდომის წამყვანს ამის გამო უკან აღარ დაუხევია: მიხეილ მაჭავარიანის დავალებით, საკითხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი შეისწავლის და "დამნაშავეებს" სასჯელი არ ასცდებათ.

მთელი ეს ვნებათაღელვა გუშინდელი დღის მეორე ნახევარში ხდებოდა. დილით კი პარლამენტში სრული იდილია სუფევდა - სხდომათა დარბაზი თითქმის ცარიელი იყო; ტრიბუნასთან მდგარ მომხსენებელს არავინ უსმენდა...

მოსაწყენი ატმოსფერო მხოლოდ იმან შეცვალა, რომ დარბაზში ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა.

**"პარლამენტი თავზე გვენგრევა. ირაკლი კოვზანაძე ძლივს გადარჩა",** - უმალ გამოცოცხლდნენ ნახევრად მთვლემარე დეპუტატები.

**"კარგა ხანია ვიძახდი, ერთიორი კარგი მარკშეიდერი გვჭირდება-მეთქი. ამ საქმეს ფული სჭირდება. თანხის გამოყოფა მთავრობას უნდა ვთხოვოთ,"** - ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაფინანსების გაზრდის შანსი ხელიდან არ გაუშვა ვიცე-სპიკერმა.

პარლამენტარებს საქმე გამოუჩნდათ და "შემთხვევის ადგილს" მიაწყდნენ, რამაც მიხეილ მაჭავარიანის უკმაყოფილება გამოიწვია.

**"ერმიტაჟი ხომ არ არის! მერე დაათვალიერეთ,"** - კანონშემოქმედებისკენ მოუწოდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გახალისებულ კოლეგებს.

სამწუხაროა, რომ ამ ამბავს დეპუტატი ელდარ შენგელაია ვერ შეესწრო, თორემ დღეიდან დაწყებულ საპარლამენტო არდადეგებს ნაყოფიერად გამოიყენებდა და საშემოდგომო სესიის დაწყებამდე საპარლამენტო "ცისფერი მთების" შესახებ კინოშედევრს შექმნიდა.

თუმცა, "საპარლამენტო არდადეგების დაწყება" საკმაოდ პირობითია: სავარაუდოდ, სამშაბათს დეპუტატები რიგგარეშე სესიაზე შეიკრიბებიან.



*"ოტსტუპნიკების" შესახებ კანონმა თავად უმრავლესობაში გამოიწვია დაპირისპირება.*

## მოკლედ

### საქართველოს პრეზიდენტი მონაკოში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ მონაკოში გაემგზავრა, სადაც "კრანსმონტანას" ფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

"კრანსმონტანას" რიგით მე-16 ყოველწლიური ფორუმი, რომელიც გუშინ გაიხსნა, მონაკოს პრინცის ალბერტ მეორის მხარდაჭერით ტარდება. ფორუმში 120 ქვეყნისა და 1200 საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და ხელმძღვანელი მონაწილეობს. წლევანდელ ფორუმს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძეც ესწრება.

ფორუმზე იმსჯელებენ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე, ევროკავშირის განვითარების პერსპექტივებსა და საფინანსო ბაზრების სრულყოფის საკითხებზე. ფორუმს საქართველოს პრეზიდენტი დღეს შეუერთდება და სიტყვით გამოვა. გამოსვლის თემა იქნება "დემოკრატია, მსოფლიო ინტეგრაცია და ეკონომიკური განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში".

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა ჯილდო მშვიდობის, დემოკრატიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში გაწეული საქმიანობისათვის.

პრეზიდენტი საქართველოში 26 ივნისს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, II კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილია:**

ინდმეწარმე "ანდრო ბარათაშვილის" მიერ ჭიათურის რ-ნში, სოფ. ჭილოვანში ცარცის მოპოვების გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 9 აგვისტომდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი,Fგულუას ქ. N6**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 9 აგვისტოს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

# განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს საჯარო ადმინისტრაციული წესით საქმისწარმოების დაწყებას გეოლოგიური საქმიანობის შემდეგ სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით:

ი/ს "ვაჟა ბესელია ჰიდროგეოლოგის" - ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები;

ზეპირი მოსმენა გაიმართება სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში 2005 წლის 14 ივლისს 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი გულუას ქ. N6 მე-2 სართული.

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

# კონსერვატორები მიტინგებს კახეთიდან ამზადებენ

პირველი გვერდიდან

კონსერვატორების ლიდერის თქმით, ეს პრობლემა მაშინ მოგვარდება, როცა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სპეციალურ კანონს განიხილავს. ამისთვის კი დავითაშვილი კახელებს ბრძოლის ასეთ მექანიზმს სთავაზობს: **"პირველ რიგში, უნდა მოეწყოს ისეთი აქციები და მიტინგები, როგორიც იყო პურის ფასების გაზრდის დროს. ასევე აუცილებელია და საჭიროა 30 ათასამდე ხელმოწერა, თუმცა მე იმედი მაქვს, რომ მეტს მოვახერხებთ. ამის შემდეგ პარლამენტი იძულებული გახდება, კანონის მიხედვით იმოქმედოს და განიხილოს ეს საკითხი. არ გამოვრიცხავ, რომ ანაბრების პრობლემა მაინც ვერ მოგვარდეს. ამ დროს საჭიროა 10-ათასკაციანი მიტინგი პარლამენტის შენობის წინ,"** - ამბობს დავითაშვილი.

მან ისიც აღნიშნა, რომ თავის დროზე, ანაბრების საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტს ისეთი წინადადება შესთავაზა, რომლის მიხედვითაც, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შედგებოდა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ანაბრების თემას გამოიკვლევდა, მაგრამ, როგორც კონსერვატორი ამბობს, ამის წინააღმდეგი უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე აღმოჩნდა, მიზეზად კი მწირ ბიუჯეტს ასახელებდა. ეს კი იმ დროს, როცა, როგორც დავითაშვილი ამბობს, ქვეყნის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონსერვატორების ლიდერი ამ ფაქტს იმითაც ხსნის, რომ სიაში, რომელიც აწგარდაცვლილ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დემურ დვალიშვილს ჰქონდა შენახული, კრედიტორთა შორის ახალი მთავრობის წარმომადგენლებიც ეწერა.

გუშინდელ შეხვედრაზე კობა დავითაშვილს არც მცირე მეწარმეები დავიწყებია. იგი იმ ახალ საგადასახადო კოდექსს აკრიტიკებდა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაზე არ ასახულა. **"ახალ საგადასახადო კოდექსში საერთოდ არ არის შეღავათები მცირე მეწარმისათვის. შეღავათი შეეხო ინდივიდუალურ საწარმოს, რომელშიც არაუმეტეს ხუთი კაცი მუშაობს. საგადასახადო შეღავათები ეკუთვნით იმ ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც მარტო მუშაობენ და ხუთ კაცზე მეტი არ ჰყავთ დასაქმებული. და თუ ინდიმეწარმემ შექმნა ახალი სამუშაო ადგილი, იმ წუთში მას ეს შეღავათი ეხსნება და გადასახადი ეკისრება, ანუ, ფაქტობრივად, იმის ნაცვალად, რომ ამ კოდექსს წაეხალისებინა სამუშაო ადგილების შექმნა, ეს კოდექსი სჯის მეწარმეს სამუშაო ადგილის შექმნისათვის,"** - აღნიშნავს კობა დავითაშვილი.



*"პირველ რიგში, უნდა მოეწყოს ისეთი აქციები და მიტინგები, როგორიც იყო პურის ფასების გაზრდის დროს," - შესთავაზა კახელებს კობა დავითაშვილმა.*

კონსერვატორების ლიდერმა მოსახლეობასთან შეხვედრა საწვავის საკითხით დაასრულა. მისი თქმით, ამ რეგიონში დიზელის საწვავის გაძვირება კონკრეტული პიროვნებების ინტერესებში შედის. ერთ-ერთ მათგანად კობა დავითაშვილმა ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი დაასახელა. მისი თქმით, მთავრობამ ამ რეგიონში ნავთობის ბიზნესით დაინტერესებულ პირებს იმიტომ შეუჩერა ლიცენზიები, რომ კეზერაშვილს საწვავის ბიზნესი უვარდებოდა.

**"უნდა ითქვას, რომ ძველ ხელისუფლებას არც ახალი ჩამოუვარდება. მართალია ნავთობმომპოვებელი კომპანიის "კანარგო ჯორჯიას" მეპატრონე შევარდნაძის მძახალია, მაგრამ ამ კომპანიას ლობირებას ფინანსური პოლიციის შეფი დავით კეზერაშვილი უწევს. სწორედ ამის გამო მთავრობამ შეუჩერა ლიცენზია ყველა იმ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებსაც შემოჰქონდათ ნავთობი, ან ადგილზე ამოღებული ნავთობიდან აწარმოებდნენ ბიზნესს. ასეთი კომპანიები და ბიზნესმენები კონკურენციას უწევდნენ საზღვარგარეთიდან შემოსულ დიზელს და ამის გამო ფასი დაბლა იწევდა,** - აცხადებს კობა დავითაშვილი, - **კონსერვატორები ახირებული ოპოზიცია არასოდეს ყოფილა. ჩვენ გვსურს, მივაღწიოთ იმას, რომ პრეზიდენტმა წინასაარჩევნო დაპირება შეასრულოს."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ჩვენს ხელისუფლებას მოსახლეობასთან ყველაფერი "გაუვიდა" და ახლა არჩევითობის უფლებასაც ართმევს," - აცხადებს "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" მთავარი კომიტეტის წევრი ბაჩუკი ქარდავა.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" დემოკრატიის გადასარჩენად აშშ-სა და ევროკავშირს მიმართავს, რათა მათ მოახდინონ ზეგავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე და ხელი შეუწყონ ქვეყანაში დემოკრატიის გადარჩენას.

"საქართველოში მყარდება დიქტატურა. არჩევნები კარგავს ყველანაირ ძალას. იმისათვის, რომ ხელისუფლებას არ მივცეთ ნება, ჩამოაყალიბოს ერთპიროვნული მმართველობა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თვეში ერთხელ გამართავს მშვიდობიან საპროტესტო აქციას, რომელიც აუცილებლად შეაწუხებს ხელისუფლებას," - განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ედპ-ს წევრები არ გამორიცხავენ რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებასთან ალიანსში შესვლას, თუმცა მათივე განცხადებით, ეს ალიანსი არ იქნება ერთიანი პოლიტიკური პარტია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ სამეგრელოში ჩავიდა. თავდაპირველად, ის სენაკში გარემონტებულ სკოლას ეწვია, შემდეგ კი ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა მოინახულა, სადაც, დაახლოებით, 150 ადამიანია დასაქმებული.

რეგიონში პრემიერის ვიზიტს წინ მოსახლეობის საპროტესტო აქციები უძღოდა. წუხელ, ელექტროენერგიის მოთხოვნით, ზუგდიდში აქცია გაიმართა. ადგილობრივი ენერგოკომპანია კი, თავის მხრივ, მოსახლეობას დავალიანების გადახდას ურჩევს.

"სამეგრელოში ბევრი რამ გვაქვს დაგეგმილი და მაინტერესებს, რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს ეს სამუშაოები", - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოქალაქო ინიციატივების განვითარებისა და დაცვის კავშირი "ხალხის ხმა" საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს "დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონპროექტის პარლამენტში წარმოდგენილი ვარიანტის განხილვა შეაჩეროს.

კავშირი "ხალხის ხმა" მასმედიისა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარი საკონსულტაციო-სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელიც, პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს და საზოგადოებას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმის შესახებ.

კავშირის თავმჯდომარეს გელა დანელიას მიუღებლად მიაჩნია "დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონპროექტის დღეს არსებული ვარიანტი და საქართველოს პარლამენტს მერის ინსტიტუტის გაუქმების საკითხის განხილვას სთავაზობს. დანელიას განცხადებით, დედაქალაქის მმართველობა საპარლამენტო მოდელით უნდა განხორციელდეს, რომლის დროსაც თბილისს არჩეული საკრებულო და საკრებულოს მიერ არჩეული ქალაქის მთავრობა ეყოლება. **ინტერპრესნიუსი**

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

# ქართველი პოლკოვნიკი სამართალს სტრასბურგში ეძებს

პირველი გვერდიდან

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან დაიწყო და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზეც მუშაობდა. აფხაზეთის ომის შემდეგ კი მან, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მიწვევით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გააგრძელა მოღვაწეობა და, როგორც თავად აღნიშნავს, თანამდებობა გახმაურებული საქმის გამოძიებისთვის დაატოვებინეს, რომელსაც მაღალჩინოსანი პოლიციელები მფარველობდნენ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საღინაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ გიორგი ბარამიძემ მიიწვია და გახმაურებული გატაცებების გამოძიება დაავალა. მოგვიანებით, მინისტრის შეცვლის შემდეგ საღინაძეს თანამდებობა დაატოვებინეს. თუმცა, როგორც თავად გვითხრა, მისი დევნა ამით არ დასრულებულა. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ მისი ოჯახი სახლიდანაც გამოაძევეს.

**"საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ჩემი დევნის მიზეზი ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის - ლევან კალაძის გატაცების საქმის გახსნა გახდა, რამაც ზოგიერთი ყოფილი და ახლანდელი მაღალჩინოსნის ინტერესების შელახვა გამოიწვია. კალაძის გატაცების საქმის კვალის მოსპობაში ყველაზე მეტად დაინტერესებულია თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი, ყოფილი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა",** - აცხადებს პოლკოვნიკი და სწორედ დასახელებულ მაღალჩინოსნებს ადანაშაულებს მის მიმართ განხორციელებულ პირად დევნა-შევიწროვებაში, რაც, მისივე განმარტებით, ჯერ კალაძის გატაცების საქმის გამოძიებიდან მის ჩამოცილებაში, ხოლო შემდეგ მისი და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი სახლიდან გამოძევებაში გამოიხატა.

როგორც საღინაძე ამბობს, 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ახლად დანიშნულმა შს მინისტრმა გია ბარამიძემ მას, პრეზიდენტის სახელით, კალაძის ძმის გატაცების გარემოებების გამოძიება დაავალა. მისი თქმით, სამთვიანი გამოძიების შედეგად მან გახსნა საქმე და დაადგინა, რომ ეს გატაცება უკავშირდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ მაფიოზურ დაჯგუფებებს და საერთაშორისო კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყოფ ჩინოვნიკებთან. ბათო საღინაძის ამ ბრალდებების შესახებ "24 საათი" რამდენიმე თვის წინ დეტალურად წერდა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც საღინაძე ირწმუნება, საქართველოში მან სამართალი ვერ იპოვა და საერთაშორისო სასამართლოს ამიტომ მიმართა.

საქმე წარმოებაში მიღებულია. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროსასამართლო, წინასწარ ძნელი საქმელია. ფაქტი ისაა, რომ სტრასბურგში გაგზავნილ ქართულ საქმეებს კიდევ ერთი მიემატა.

*24 საათი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სერგეი ბაგაფში ნარკომაფიას ებრძვის

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა ტყვარჩელის რაიონის ადმინისტრაციას, სამართალდამცავებსა და რაიონის სოფლების ხელმძღვანელებს ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა ნათესების განადგურება 1 აგვისტომდე დაავალა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთის ახალი ხელისუფლება ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა ნათესების განადგურებით, ვლადისლავ არძინბას მმართველობის პერიოდში აფხაზეთში ჩამოყალიბებულ ნარკომაფიას ებრძვის, რომელსაც აფხაზეთში სხვადასხვა სახის ნარკოტიკების დამზადებისა და ექსპორტის საკმაოდ დიდი ქსელი აქვს აწყობილი.

იმავე წყაროს ცნობით, აფხაზეთში ნარკობიზნესი არძინბას ნათესავებმა - 2003-2004 წლებში მოკლულმა აკა და პაშა არძინბებმა თურქეთის მოქალაქეების დახმარებით ააწყვეს. დაზუსტებული ინფორმაციით, ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა ნათესები, ტყვარჩელის რაიონის გარდა, საკმაოდ დიდ ფართობებზე გუდაუთის, გაგრის და სოხუმის რაიონის მაღალმთიანეთშიც არსებობს.

*ინტერპრესნიუსი*

# "მომავლის მთავრობა" ოპოზიციის პროტესტს უერთდება

*გუშინ ოპოზიციის საერთო პროტესტს პოლიტიკური მოძრაობა "მომავლის მთავრობაც" შეუერთდა. ისინი, როგორც სხვა არასახელისუფლებო პარტიები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც, მათი თქმით, "ქვეყანაში არჩევნების გაყალბებას დააკანონებს".*

თავად "მომავლის მთავრობის" თავკაცი - გიორგი მაისაშვილი საქართველოში არ იმყოფება. შესაბამისად, პრესკოფერენცია მის გარეშე გაიმართა და პარტიის სახელით, "მომავლის მთავრობის" მმართველი საბჭოს წევრებმა - ედიშერ წივწივაძემ, ზაალ კასრელიშვილმა და გივი გიგაურმა ისაუბრეს.

**"არსებობს იმის საშიშროება, რომ კიდევ ერთხელ გავხდეთ მოწმენი ხელისუფლების უზურპაციისა, რაც ხელს შეუშლის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას,"** - ასეთი პათოსით იყო გამსჭვალული პრესკონფერენციის მონაწილეთა გამოსვლები.

თავად "მომავლის მთავრობამ" ჯერ არ იცის, რა ფორმით გამოხატავს საკუთარ პროტესტს. თუმცა, მისი წევრები აცხადებენ, რომ მათ არაერთხელ გამოუთქვამთ მზადყოფნა ოპოზიციურ სპექტრთან თემატურ თანამშრომლობაზე და **"რომ არა საპარლამენტო ოპოზიციის სუსტი პოზიცია, შესაძლებელი იყო, მთლიანად, ოპოზიციურ სპექტრს უფრო ეფექტური წინააღმდეგობა გაეწია სახელისუფლებო პარტიისათვის."**

ამავე დროს, "მომავლის მთავრობის" წევრებისთვის გაუგებარია, რატომ არ მიმართეს თანამშრომლობისთვის მათ "კონსერვატორებმა" და რატომ გაიგეს მათი გადაწყვეტილების თაობაზე (რომელიც პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას ეხება) მედიის საშუალებით.

**"სანამ ქვეყანას ასეთი პარლამენტი ეყოლება, საქართველოში ავტოკრატული რეჟიმის საფრთხე მუდმივად იარსებებს,"** - დარწმუნებულები არიან პარტიის მმართველი საბჭოს წევრები.

მათივე თქმით, თბილისის და, ზოგადად, საქართველოს ქალაქების პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი მერი მოსახლეობამ აირჩიოს და არა პარტიებმა.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს მიიღებს, "მომავლის მთავრობა" ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, საპროტესტო აქციების გამართვას არ გამორიცხავს.

*თამარ მჭედლიშვილი*

# გაგრა - ბრძოლა ძალაუფლებისათვის

პირველი გვერდიდან

რაიონის მეთაურის პოსტზე ორ კანდიდატურას, ვიტალი ტარნავას და ასტამურ ქეცბას ხელისუფლებაში სხვადასხვა ძალები ლობირებდნენ. სწორედ ამით აიხსნება ტარნავას სურვილი, სადეპუტატო სავარძელი დათმოს და რეგიონული სათათბიროს წევრის სავარძელში გადაინაცვლოს. საქმე ისაა, რომ, არსებული კანონმდებლობით, პრეზიდენტი რეგიონების ხელმძღვანელებს რაიონული სათათბიროს დეპუტატების რიგებიდან ნიშნავს. ანუ რეგიონის მეთაურობისთვის არა მხოლოდ სათათბიროს არჩევნებში, არამედ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებისათვის შემდგომ კულუარულ თამაშებში გამარჯვებაცაა საჭირო.

თუმცა, ტარნავამ არჩევნები წააგო. მან ასტამურ ქეცბაზე ოდნავ ნაკლები ხმები მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა. ქეცბა ცოტა ხნის წინ აფხაზეთში რუსეთიდან დაბრუნდა, სადაც ბოლოხანს ცხოვრობდა. დაბრუნებისთანავე, იგი რაიონის ამჟამინდელი ხელმძღვანელის, ვალერი ბგანბას მემკვიდრედ საკუთარ თავს დაჟინებით ლობირებდა. თუმცა, როგორც ამბობენ, ბოლო დრომდე მის კანდიდატურას ხელისუფლება გაგებით არ ეკიდებოდა და მხარს ბგანბას თანამდებობაზე დატოვებას უჭერდა. მით უმეტეს, რომ ძველი მეთაურის მხარდასაჭერად რეგიონის ზოგიერთი გავლენიანი პირი გამოდიოდა, რომლებიც ახალ ხელისუფლებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდ მხარდაჭერას უწევდნენ.

ვალერი ბგანბა, რომელსაც აქამდე რაიონის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა, ერთი მხრივ, ძველ ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ადრე იგი რეგიონულ სათათბიროს ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, გაგრის ერთ-ერთი უმსხვილესი საკურორტო ობიექტის - სასტუმრო "ამრას" დირექტორი იყო. თუმცა, არჩევნების შემდეგ მოქალაქეთა აზრი მისი საქმიანობის შესახებ დადებითისკენ შესამჩნევად შეიცვალა. ბევრი იმას ამბობდა, რომ აქამდე მას მუშაობის საშუალება არ ჰქონდა, "ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა", რადგანაც რეგიონს არძინბას გარემოცვა აკონტროლებდა. დღეს კი მისი საქმიანობა გაცილებით ეფექტური გახდა. თუმცა, უკვე ნათელია - მისი შეცვლა გადაწყვეტილია.

რაიონის ხელმძღვანელად, მოსალოდნელია, რომ სათანადო ბრძანებულებით ქეცბა დაინიშნება. "ამცახარასგან" კი, რომლის კანდიდატმაც არჩევნები წააგო, ხელისუფლების კრიტიკის ახალი ტალღაა მოსალოდნელი.

# 21-ე საუკუნეში დაკარგული აფხაზეთი

პირველი გვერდიდან

მიუხედავად წინასწარი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებისა, მარშალის ფონდის წარმომადგენლები და მათი თანმხლები უცხოელი ჟურნალისტები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. თუმცა, შეუშვეს აფხაზეთში, და შედეგი მათთვის საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

**"სოხუმში წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება. ძალიან დიდი კონტრასტია თბილისსა და ცხინვალს შორის. თბილისში სიცოცხლეა, იქ კი არ არის მომავალი,"** - განაცხადა გუშინ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ფონდის წარმომადგენელმა რონალდ ასმუსმა. მასში გაკვირვებას იწვევს ის, თუ რატომ უთხრეს უარი ცხინვალში შესვლაზე, ვითარების ახლოს გაცნობაზე. თუმცა, დასკვნას მაინც აკეთებს - მომხდარი მის თვალში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობა მზად არ არის დიალოგისთვის და თვითიზოლაციას ეწევა.

საკუთარ შთაბეჭდილებებს არც "გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" წარმომადგენელი ბრიუს ჯექსონი მალავს: **"ჩვენ აფხაზეთში შევხვდით დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბაგაფშს წარმოდგენა არ აქვს, რა სურს. ისინი ოცდამეერთე საუკუნეში დაკარგულები არიან."**

იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოხუმში ვიზიტისას შოკის მომგვრელი იყო ადგილზე არსებული სოციალური მდგომარეობა და ვითარების გაუარესების ტენდენცია.

ვიზიტის ფარგლებში, მარშალის ფონდისა და გარდამავალი დემოკრატიების პროექტის დელეგაციის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ, ასევე, საქართველოს პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, პრემიერ-მინისტრთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

20 ივნისს დელეგაცია სოხუმში იმყოფებოდა; მოგვიანებით მათ მოინახულეს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი და ეწვივნენ სამცხე-ჯავახეთსაც.

**"დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ საქართველოში არსებულ პრობლემებს. ჩვენი მიზანია, ევროპასა და ამერიკას კარგად გავაცნოთ ვითარება და დავარწმუნოთ, რომ უფრო მეტი ყურადღება დავუთმონ აქ მიმდინარე მოვლენებს,"** - განაცხადა რონალდ ასმუსმა და დასძინა, რომ საქართველოში უკვე დადგა დრო, როდესაც ყველა ის პრობლემა, რაც ხელს უშლის საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებას, უნდა გადაწყდეს.

მარშალის ფონდის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ მიუხედავად ბევრი პრობლემისა, საქართველო განვითარების სწორ გზას ადგას და მას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად საკმაოდ კარგი შანსი და პერსპექტივა აქვს.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მიწებისათვის ბრძოლა გრძელდება

## მიწის ნაკვეთების მფლობელები და ქალაქის მერია თავიანთ პოზიციებს არ თმობენ

*გუშინ თბილისის მერიაში მდინარე მტკვრის კალაპოტში გასხვისებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებს შორის ზეპირი მოსმენა გაიმართა. თბილისის მერი ამჯერად მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე, ასევე, მტკვრის კალაპოტში მდებარე 7 ათასამდე კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით დაინტერესდა, რომელიც 14 სხვადასხვა იურიდიულ თუ კერძო პირზეა გასხვისებული. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატების თქმით, მერი არ არის უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს უფლება, პრემიერის გადაწყვეტილებები გააუქმოს. რამდენიმესაათიანი დავის შემდეგ, მოსმენა 15 ივლისისთვის გადაიდო.*



*თბილისის მერი გასხვისებულ მტკვრის კალაპოტს სახელმწიფოს უბრუნებს.*

თამარ დვალი

მიმდინარე წლის 1 მაისს თბილისის მერმა "თბილისის პრემიერის განკარგულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე" ადმინისტრაციული საჩივარი მიიღო განსახილველად. საჩივარი თბილისის პრემიერის 2000 წლის №104, 2001 წლის №835, 2001 წლის №1073, 200 წლის №615, 2002 წლის №539, 2001 წლის №1122, 2001 წლის №722 განკარგულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობას შეეხებოდა, რომელთა საფუძველზეც სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასხვისებულ იქნა თბილისში, მდინარე მტკვრის კალაპოტში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

**"გენერალური ინსპექცია არ არის ის უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს უფლება, ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანოს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, კანონი განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი, ანუ პირი, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ და პირდაპირ ადგება ზიანი, იქნება ეს კერძო სამართლის იურიდიული თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმართაც არის გამოტანილი სადავო აქტები. გენერალური ინსპექცია არ წარმოადგენს ასეთ ორგანოს, რადგან აღნიშნულ განკარგულებას მისთვის ზიანი არ მიუყენებია. ამას გარდა, დარღვეულია გასაჩივრების ვადებიც,"** - განაცხადა მტკვრის კალაპოტში მდებარე ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მფლობელის ადვოკატმა ირინა ჯობაძემ. მისივე თქმით, მერი არ არის უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია პრემიერის განკარგულებები გააუქმოს, რადგან "დედაქალაქის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით, მას ეს უფლება 2004 წლის თებერვალში ჩამოერთვა. პრემიერის განკარგულების გაუქმება მხოლოდ საკრებულოს შეეძლო. მერის პრეროგატივა კი გამგებლების განკარგულებების გაუქმებაა.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ თუკი ქალაქის მერი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს და განიხილავს საჩივარს, მაშინ იგი თავის უფლებამოსილებას გადაამეტებს. მათივე განცხადებით, შეცდომაა, როდესაც სარეზოლუციო ნაწილის ბოლოს მიწერილია შემდეგი პუნქტები: "წინამდებარე განკარგულება აღსრულდეს დაუყოვნებლივ; განკარგულება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება."

**"კანონის მიხედვით, განკარგულება გასაჩივრებას ექვემდებარება. ვიმედოვნებთ, რომ მერი სერიოზულ შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი და იგი თავის შეცდომას გამოასწორებს,"** - აცხადებენ ადვოკატები.

ჩვენს კითხვაზე, რამდენად სამართლიანი იქნება ამ ტერიტორიების ჩამორთმევა თუნდაც საკრებულოს მიერ გამოტანილი დადგენილებით? - ადვოკატები აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიმართავენ და იქ გაარკვევენ სიმართლეს, თუმცა წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, დღეს ამ საკითხის დაყენება გაუმართლებლად მიაჩნიათ.

მიწის მესაკუთრეების აზრით, მათ კანონი არ დაურღვევიათ და თუკი ვინმეს მიწების გასხვისების კანონიერების საკითხი საეჭვოდ მიაჩნია, პასუხი ისევ ჩინოვნიკებს უნდა მოსთხოვოს.

**"დღევანდელ მოსმენაზე მე ვერ მოვისმინე ოფიციალური არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა შეგვეძინა აღნიშნული მიწის ნაკვეთი. გამოცხადდა აუქციონი და მივიღეთ მონაწილეობა, რა არის ამაში ცუდი? ახლანდელი ხელისუფლების ინიციატივითაც ხომ შენდება ე.წ. "ვირის ხიდი" და ისიც მტკვრის კალაპოტში არ არის?"** - კითხულობს ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მფლობელი ალეკო მიქაბერიძე.

საქმის განხილვა 15 ივლისისთვის გადაიდო. თბილისის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსი გიორგი ხაბაშვილი მოსმენის გადადებას მათი მხრიდან არასათანადო დოკუმენტაციის არარსებობას უკავშირებს.

**"ოპონენტებმა მოითხოვეს ოფიციალური დასკვნების წარმოდგენა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ამ დოკუმენტებს წარმოვადგენთ, მოსმენაც განახლდება. ჩამოერთმევათ თუ არა მათ ეს მიწის ნაკვეთები, მომავლის საქმეა. პირველ რიგში, მოხდება პრემიერის განკარგულებების გაუქმება და ამის შესახებ გადაწყვეტილებას თბილისის მერი მიიღებს. "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მიხედვით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს საჩივრის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს გააუქმოს ადმინისტრაციული აქტი. მომავალ განხილვაზე მე წარმოვადგენ დოკუმენტებს, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს განკარგულებები არის გამოცემული კანონის უხეში დარღვევით,"** - განაცხადა ხაბაშვილმა. მისივე ინფორმაციით, მტკვრის კალაპოტში გაყიდული მიწის ნაკვეთების მეპატრონეებს, სავარაუდოდ, კვადრატულ მეტრზე 8-დან 15 ლარამდე აქვთ გადახდილი, რაც აუნაზღაურდებათ კიდეც.

**"ჩვენ გვქონდა ერთი ადმინისტრაციული მოსმენა ვაშლიჯვარში მდებარე "საქნავთობგეოფიზიკის" უძრავი ქონების შესახებ. ჩატარდა ადმინისტრაციული მოსმენა, და, ჩემი განკარგულების თანახმად, პრემიერ შერაძის განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდა,** - აცხადებს თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, - **მე არ მივმართე სასამართლოს და მთელი მასალები ეკონომიკური განვითარების მინისტრს ალექსი ალექსიშვილს გავუგზავნე, როგორც უფლებამოსილ პირს, რომელსაც აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. თუკი სასამართლო გაიზიარებს ჩვენს პოზიციას და საჯარო რეესტრში ჩასწორებას მოახდენს, მესაკუთრედ გამოცხადდება სახელმწიფო, როგორც ეს ადრე იყო. ამ ქონებასთან დაკავშირებით, შემდეგ, გადაწყვეტილებას მიიღებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ეს მათი პრეროგატივაა და არა ჩვენი. ჩვენ, უბრალოდ, დავაფიქსირეთ ჩვენი აზრი, რაც გაგვაჩნდა ამ ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. თქვენთან დაკავშირებითაც იგივეს ვიტყოდი. არის მიწები, რომლის გასხვისებაც, კანონის მიხედვით, არც აქამდე შეიძლებოდა და არც მომავალში შეიძლება. მივესალმები იმას, რომ მტკვარი დაუბრუნდეს ქალაქს. მე მაინტერესებს, როდესაც ეს მიწები გადიოდა აუქციონზე, რაიმე დასაბუთებული დოკუმენტი თუ არსებობდა ურბანული დაგეგმარების სამსახურიდან? საინტერესოა, რა პრინციპით გაიცემოდა მიწის ეს ნაკვეთები?"**

## ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მზადება აქტიურად დაიწყო

ნინო ბერელიძე

გუშინ ფოთის ნავსადგურიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების განაწილების და დასაწყობების პროცედურა დაიწყო. ტესტები რაიონების და რეგიონების ეროვნული ბანკის ფილიალებში გადაიტანება.

ტესტები ერთიანი ეროვნული გამოცდების დანიშნულ დღეს, საგამოცდო ცენტრებში გამოცდების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მიიტანება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი ასეთია: ქართული ენა და ლიტერატურა - 11-12 ივლისი, ზოგადი უნარები - 14-15 ივლისი, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - 18-19 ივლისი, მათემატიკა - 21 ივლისი.

გამოცდების ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების საკოორდინაციო შტაბი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, [illegible] წარმომადგენლები, თბილისის მერია, სამხარეო ადმინისტრაციები და გამგეობები შედიან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს - გამოცდების მიმდინარეობის დროს ყველა საგამოცდო ცენტრი აყვანილი იქნება დაცვის გაძლიერებული რეჟიმის ქვეშ. 4-დან 11 ივლისამდე საგამოცდო ცენტრებში ინვენტარის შეტანა და სამეთვალყურეო აპარატურის მონტაჟი მოხდება.

ფოთის პორტიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალების საცავებამდე, და საცავებიდან საგამოცდო ცენტრებამდე, ტესტების ტრანსპორტირება საპატრულო პოლიციის მანქანების თანხლებით მოხდება. გამოცდების ჩატარების შემდეგ კი, საგამოცდო ცენტრებიდან ტესტები შეგროვდება თბილისის გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, სადაც მოეწყობა ტესტების გასწორების ცენტრი და ერთიანი ეროვნული გამოცდების პრესცენტრი.

სკოლა-ინტერნატის კომუნალურ მომსახურებასა და მიმდინარე ტერიტორიის გარემონტებაზე თბილისის მერია ზრუნავს. ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით კი, თითოეულ საგამოცდო ცენტრზე გამოიყოფა ორი ექიმი სათანადო სამედიცინო აღჭურვილობით. სამინისტროს მიერ ასევე უზრუნველყოფილი იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების მორიგეობა საგამოცდო ცენტრებთან.

სახაზო დეპარტამენტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, როგორც ტესტების, ასევე სამეთვალყურეო აპარატურისა და გამოცდებისათვის აუცილებელი სხვა ორგტექნიკის განაწილების პროცესების დაცვას.

[illegible] ნება, რათა აბიტურიენტებმა საგამოცდო ცენტრებამდე დროულად მისვლა შეძლონ. ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე, საგამოცდო ცენტრების დამცავი ბარიერებით უზრუნველყოფა და ცენტრებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება ევალება.

## არშემდგარი პროტესტი

*გუშინ, იმ დროს, როდესაც თბილისის საკრებულოს სხდომა უნდა დაწყებულიყო, ფრაქცია "ახალი მემარჯვენეები" არასამთავრობო ორგანიზაციებთან, "თბილტრანსის" მძღოლებთან, მიწისძვრითა და კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულებთან ერთად, მერიის შენობის ბლოკირებას გეგმავდნენ, თუმცა აქცია ხალხის არმისვლის გამო ჩაიშალა.*

თამარ დვალი

მათი პროტესტი თბილისის მთავრობის მიერ მომზადებულ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტს უკავშირდებოდა, რომელიც საკრებულოს დასამტკიცებლად გუშინ უნდა გაეტანა. "ახლების " მტკიცებით, პროექტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლებას სოციალურად დაუცველი ფენების პრობლემები არ ანაღვლებს. უმრავლესობამ მათ ასეთ გამოსვლებს პოპულისტობა უწოდა.

2005 წლის საქალაქო ბიუჯეტი ოცი მილიონი ლარით გაიზარდა. აღნიშნული თანხა დედაქალაქის მთავრობამ შემდეგნაირად გაანაწილა: 11 მილიონ 560 ათასი ლარი თბილისის ცენტრალური გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხებს დაემატება, 3 მილიონ 500 ათასი ლარი - ფასადების აღდგენისთვის, 2 მილიონ 500 ათასი - გარე განათების ქსელის ექსპლუატაციისთვის, 200 ათასი ლარი კი სპორტული მოედნების აღდგენისთვის დაიხარჯება.

გარდა ამისა, ასევე გზების შესაკეთებლად, თბილისის რაიონული გამგეობები დედაქალაქის ბიუჯეტიდან დამატებით 1 მილიონ ლარს მიიღებენ, 1 მილიონი ლარი "თბილწყალკანალს" დაემატება, 100 ათასი ლარით კი ახალგაზრდული ბანაკების "პატრიოტის" დაფინანსება გაიზრდება. როგორც ყოველთვის, თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი საკრებულოს სხდომაზე უმრავლესობის ხმების დამსახურებით გავიდა. მას ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა.

საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობამ ოპოზიციის ის საბიუჯეტო ინიციატივები, რომელიც სოციალური პროგრამებისათვის დაფინანსების გაზრდას ითვალისწინებდა, არ გაიზიარა. პრიორიტეტად ქალაქის კეთილმოწყობითი ღონისძიებები რჩება და, შესაბამისად, აღნიშნული თანხა გზების, გარე განათებისა და ფასადების მოწესრიგებაზე გადანაწილდა.

ერთადერთი სოციალური პროგრამა, რომელსაც დაფინანსება გაეზარდა, უმწეოთა დახმარების პროგრამაა. აღნიშნული პროგრამისათვის 20 მილიონი ლარიდან 2 მილიონ 700 ათასი ლარი გამოიყო.

**"ეს პროგრამა ემსახურება გაჭირვებული ადამიანებისთვის უფასო სამედიცინო დახმარების გაწევას. აქ არის როგორც ოპერაციების, ასევე უფასო წამლების პროგრამა. როდესაც ოპოზიცია გვსაყვედურობს, რომ ბიუჯეტის გაზრდისას სოციალური პროგრამები არ გავითვალისწინეთ, ტყუილია. ბიუჯეტის გაზრდასთან ერთად, სოციალური პროგრამის დაფინანსებაც 12 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ბიუჯეტი გაიზარდა 4,8 პროცენტით,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა.



ვახო ხარაზიას ფოტო

*საკრებულოს უმრავლესობამ ოპოზიციის საბიუჯეტო ინიციატივები არ გაიზიარა.*

საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე "წითელ ბაღად" წოდებულ სკვერს, ამიერიდან, ცნობილი ქართველი მსახიობის ვასო გოძიაშვილის სახელი მიენიჭება.

## ფალსიფიცირებულ წამლებს ბრძოლა გამოუცხადეს

*ბოლო ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილია 345 დასახელების 19 ათას 600 შეფუთვა ფალსიფიცირებული და გაურკვეველი წარმომავლობის სამკურნალო საშუალება, რომლის საბაზრო ღირებულებაც დაახლოებით 100 ათასი ამერიკული დოლარია. მათ შორის, 17 დასახელების 5 ათასამდე კოლოფი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებაა.*

თამარ დვალი

**"ჩვენ არა მარტო ფალსიფიცირებული წამლები გვაქვს ამოღებული, არამედ ბლისტერები და დასამზადებელი მოწყობილობები. ასევე ამოღებულია ყალბი შესაფუთი მასალები. განადგურებულია რამდენიმე მცირე ზომის საწარმო, სადაც მზადდებოდა ფალსიფიცირებული წამლები. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჩვენი სამსახურების მიერ მოხდა 200 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ფალსიფიცირებული პროდუქციის ამოღება და კონფისკაცია. დალუქულია 87 000 ამერიკული დოლარის ღირებულების გაურკვეველი წარმომავლობის ორი დასახელების პრეპარატი 30 ათასი კოლოფის რაოდენობით,"** - განაცხადა გუშინ საგანგებო ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა. როგორც მინისტრი მიიჩნევს, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა უხარისხო პროდუქციისაგან საბოლოოდ გაწმენდისაგან, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში "სერიოზული ნაბიჯები" უკვე შეინიშნება.

წამლის შესახებ კანონი განმარტავს, რომ წამლის უკანონო ასლიც ფალსიფიცირებად ითვლება, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი მას ფალსიფიცირებად არ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ის სასაქონლო ნიშნის გაყალბების კვალიფიკაციას ღებულობს და, როგორც ფალსიფიკაცია, არ ისჯება. ფალსიფიცირება განიხილება ორ ნაწილად; პირველი, როდესაც პირს ეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული გადასახადი, ხოლო მეორე, როდესაც დგება ფალსიფიკატორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ადმინისტრაციული სასჯელი 800 ლარის ოდენობის ჯარიმას გულისხმობს, რაც, სპეციალისტების აზრით, ძალზედ მცირე სასჯელია და აუცილებელია მისი გამკაცრება. სავარაუდოდ, მსჯელობის საგანი გახდება - უკანონო ასლი განხილულ იქნეს თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულად.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ვლადიმერ ჭიპაშვილის თქმით, უნდა გაიზარდოს პასუხისმგებელ პირთა არეალიც, ანუ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს შემომტანმაც, შემნახავმაც და გამსაღებელმაც. იმის დადგენა, ფალსიფიცირებული წამლების უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა თუ შემოტანილი, ვერ ხერხდება, რადგან ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. უკვე გამოვლენილი წამლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შეფუთული წამლები, ძირითადად, შემოტანილია. სავარაუდოდ, ხდება ვადაგასული წამლების გადაფასოებაც. ამოღებულია შვიდი ათასამდე ვადაგასული პრეპარატი.

ფალსიფიცირებული წამალი ლეგალური გზით ბაზარზე არ ხვდება. ძირითადად, ეს არის აღურიცხავი წამალი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს უფროსის, თინათინ ტურძილაძის თქმით, გამოსავალი მდგომარეობს შემდეგში: აფთიაქებმა წამალი მიიღონ მხოლოდ კანონიერი გზით, ანუ თავისივე ფაქტურით.

**"უმეტეს შემთხვევაში, აფთიაქებმა ვერ წარმოგვიდგინეს ფაქტურა, თუ საიდან აქვთ წამალი შემოტანილი. აფთიაქების უმეტესობამ კარგად იცის, რომ ისინი ფალსიფიცირებულ წამალს ყიდიან. სამწუხაროდ, საზღვარზე წამლის შემოტანის დროს, მისი ხარისხი არ მოწმდება, თუმცა ფალსიფიცირებული წამლები, ძირითადად, დაუცველი საზღვრებიდან შემოდის. ამჟამად 345 დასახელების პრეპარატია ამოღებული. ფალსიფიცირება არის რამდენიმე სახის. ერთი, როდესაც შიგნით არ არის მოქმედი ნივთიერება და მეორე, როდესაც არის მოქმედი ნივთიერება, მაგრამ არის დაბინძურება,"** - აღნიშნა წამლის სააგენტოს ხელმძღვანელმა თინათინ ტურძილაძემ. მისივე თქმით, მათ მიერ აღმოჩენილ ფალსიფიცირებულ წამალ "პრედუქტალში" საერთოდ არ იყო მოქმედი ნივთიერება. "სუპრასტინის" ტაბლეტებში კი სუპრასტინის ნატამალიც არ იყო.

ლაბორატორიული კვლევის დროს ზუსტდება, არის თუ არა წამალში მოქმედი ნივთიერება იმ რაოდენობით, რამდენიც უნდა იყოს. სამწუხაროდ, ლაბორატორიული კვლევა ვერ ადგენს, რა პირობებში იქნა დამზადებული პრეპარატები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

რადგანაც ფალსიფიკაციის თითოეულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, კანონდამრღვევი ფირმების დასახელებისგან ჯანდაცვის მინისტრმა თავი შეიკავა. საერთო ჯამში, საუბარია 12 ობიექტზე, აქედან აღსანიშნავია თბილისში მდებარე აფთიაქი "GS კავკასია", საიდანაც დიდი ოდენობის ფოლგის რულონებია ამოღებული, ერთ-ერთი შპს ქუთაისში, საიდანაც ამოღებულია მეორეული შეფუთვები, და შპს "რითმი", საიდანაც 87 ათასი დოლარის პროდუქციაა ამოღებული.

ხარვეზებია ტვირთის განადგურების პროცედურებშიც. თუ სად უნდა განადგურდეს ფალსიფიცირებული პროდუქცია, გაწერილია გარემოს დაცვის კანონმდებლობაში.

**"როგორც აღმოჩნდა, ეს არის ლიცენზირებადი საქმიანობა, რაც აბსურდული ფაქტია. როდესაც ჩვენ რევიზია გავაკეთეთ, აღმოჩნდა, რომ ასეთი ნებართვა საქართველოში არავის ჰქონია. ამჟამად გარემოს დაცვის სამინისტრო ამ პუნქტს იღებს ლიცენზირებადი ნუსხიდან,"** - განაცხადა ტურძილაძემ.

მთელი რიგი დასახელების წამლების ფალსიფიცირების ფაქტი უკვე ლაბორატორიულად არის დადასტურებული. ასეთი პრეპარატებია: პრედუქტალი MR, ბისეპტოლი 480მგ №20, დეკარისი 150მგ №1, კავინტონი ამპ №10, კლაციდი 250მგ, რეტაბოლილი, სუპრასტინი ამპ №5, ტრიხოპოლი 250მგ №20, ვიაგრა 100მგ, ვოლტარენი 75მგ/3მლ, კლარიტინი 10მგ №10, ფესტალი №100, კეტანოლი 10მგ №100, ტეტრაციკლინი 0,1 №10, სუპრასტინი ტაბ №20 და ა.შ. დანარჩენზე ლაბორატორიული კვლევა მიმდინარეობს.

## თბილისელი ბავშვები დუშელ თანატოლებს დაეხმარნენ

*გუშინ დუშეთის რაიონის მოსახლეობამ ბავშვთა უფლებათა დაცვის საქალაქო ცენტრსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრის" მიერ ჩატარებული აქციის ფარგლებში პროდუქტი და ტანსაცმელი მიიღო. აქცია საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გიგი წერეთლის პატრონაჟით ჩატარდა.*

ირმა კახურაშვილი

სტიქიისგან დაზარალებულებმა მათთვის საგანგებოდ მომზადებული ნობათი თბილისელი ბავშვებისგან - სკოლისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისგან მიიღეს. **"ამ აქციის შესახებ, დაახლოებით, ერთი თვის წინ გამოვაცხადეთ. გვინდოდა ბავშვებს ეგრძნოთ, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან და შეუძლიათ, სხვებსაც დაეხმარონ. ამ შემოთავაზებას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, დიდებიც და პატარებიც. მათ არა მხოლოდ პროდუქტი, ტანსაცმელიც მოგვიტანეს. შემოწირულობის წყალობით, დუშეთის რაიონში მცხოვრებმა 200-მდე ოჯახმა 1700 კილოგრამი ჰუმანიტარული დახმარება მიიღო,"** - გვითხრა ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ. მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში აქცია "თანადგომის" ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისიც იყო, რომ თბილისელ ბავშვებს ქველმოქმედების სურვილი და დაზარალებული თანატოლების მიმართ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა გასჩენოდათ.

**"სკოლის მოსწავლეებმა უმეტესად ბრინჯი, წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, ზეთი, ლობიო, ბარდა, ტკბილეულობა და სხვა პროდუქტი მოგვაწოდეს. თავდაპირველად ამ ნობათის გადაცემა სხვა რაიონისთვის გვინდოდა, მაგრამ, როგორც გვითხრეს, დუშეთი ყველაზე დაზარალებული იყო,"** - გვიყვება ცენტრის წარმომადგენელი სალომე ჯვებენავა. ის საჩუქრებში "ჩაყოლილ" წერილებსაც გვაჩვენებს, რომლის ადრესატებიც სტიქიისგან დაზარალებულები არიან. **"ჩემო მეგობრებო, პატარა ქართველებო! ჩვენი სკოლა ყველაფერში დაგეხმარებათ. გიგზავნით საჭმელს და ტანსაცმელს. ფრთხილად იყავით, ბევრი არ იცელქოთ, სახლიდან შორს არ წახვიდეთ, რომ ამ საშინელ ამინდში არ დაიკარგოთ..."** - ნათქვამია 151-ე საშუალო სკოლის მეოთხკლასელის, მარიამ ზაალიშვილის წერილში.

აქციაში მონაწილეობდნენ თბილისის 123-ე, 66-ე, 150-ე, 74-ე, 67-ე, 56-ე, 161-ე და სხვა სკოლები და ექვსი ბაგა-ბაღი, ასევე, სამების ტაძრის მრევლი.

ანალოგიური აქცია ბავშვთა უფლებათა დაცვის საქალაქო ცენტრმა შარშანაც ჩაატარა. მაშინ ჰუმანიტარული დახმარება ლიახვის ხეობის მოსახლეობამ მიიღო. სხვათა შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი იანვრიდან საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე, საკუთარი ინიციატივით მუშაობდა. თუმცა, ბავშვებთან გაწეული აქტიური მუშაობა დაუფასდა და გუშინ ხელისუფლებამ მას ბავშვთა უფლებათა სფეროში მომუშავე "არასამთავრობოების" საკოორდინაციო ცენტრის სტატუსი მიანიჭა.

## შეცდომები გავლენიან ფარმაცევტულ კომპანიებსაც მოსდით

*ამერიკის შეერთებული შტატებში კვებისა და წამლის სააგენტო, FDA, ფაქტობრივად, ერთადერთი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც კვებისა და ფარმაცევტულ სფეროს მთლიანად აკონტროლებს. ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანიებიც კი მასთან ვერაფერს აწყობენ და კანონის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად ისჯებიან. მაგალითად რამდენიმე ფაქტს მოვიყვანთ.*

ერთ-ერთი შემთხვევა ამა წლის 19 აპრილით თარიღდება. FDA-მ ორ დიდ ფარმაცევტულ კომპანიას BAYER-სა და Glaxosmithkline-ს ერექციული დისფუნქციის სამკურნალო პრეპარატის Levitra-ს ტელევიზიით რეკლამირების შეწყვეტა მოსთხოვა, რადგან, როგორც კვებისა და წამლის სააგენტო აცხადებს, აღნიშნული პრეპარატის რეკლამა არაადეკვატურ ინფორმაციას იძლეოდა Levitra-ს გვერდითი მოვლენების შესახებ. ამის გარდა, რეკლამა გვარწმუნებს, რომ Levitra ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ერექციული დისფუნქციის სხვა სამედიცინო პრეპარატი. კვებისა და წამლის სააგენტოს კი რეკლამირების ასეთი ფორმა არამიზანშეწონილად მიაჩნია. მართალია, აღნიშნული ორი კომპანიიდან ერთ-ერთის, GSK-ს წარმომადგენლები FDA-ს მოთხოვნას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ Levitra-ს კლინიკურ მტკიცებულებებსა და შემთხვევებზე მსჯელობა კვებისა და წამლის სააგენტოს კომპეტენცია არ არის, მაგრამ კვებისა და წამლის სააგენტო ამ კომპანიის პროტესტს არ ითვალისწინებს.

გასული წლის ნოემბერში მსგავსი მოთხოვნა კვებისა და წამლის სააგენტომ სხვა ფარმაცევტულ კომპანიას, pfizer-საც წაუყენა და ორი პრეპარატის, ერექციული დისფუნქციის სამკრნალო პრეპარატ viagra-სა და ალერგიის სამკურნალო პრეპარატ zyztec-ის რეკლამირებაც აუკრძალა. FDA-ს წარმომადგენელთა განცხადებით, viagra-ს რეკლამაში პრეპარატის გვერდითი მოვლენები წარმოდგენილი არ იყო. zyztec-ის რეკლამა მკურნალობის ეფექტურობას ვერ ადასტურებდა. კვებისა და წამლის სააგენტომ სამივე დასახელებულ კომპანიას რეკლამების კორექტირება მოსთხოვა.

ფარმაცევტული კომპანია Eli Lilly-სთან შედარებით, ზემოთ აღნიშნული კომპანიები ბევრად იოლად გადარჩნენ. Eli Lilly-ს სასამართლომ 690 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება კომპანიის მიერ წარმოებული წამლის Zyprexa (olanzapin) 8000 მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე გამოიტანა. მომჩივანები ირწმუნებოდნენ, რომ Zyprexa-ს (ანტიფსიქოტროპული პრეპარატი) გამოყენების შედეგად დიაბეტით დაავადდნენ. როგორც სასამართლოს დადგენილებაში წერია, წამალის რეალიზაცია 1996 წლიდან დაიწყო, მისი გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაცია კი კომპანიამ მხოლოდ 2003 წელს გაავრცელა. მართალია, Eli Lilly მომჩივანთა განცხადებებს არ ეთანხმება, მაგრამ იძულებულია, სასამართლოს გადაწყვეტილება შეასრულოს და 8000 მომჩივანს 690 მილიონი დოლარი გადაუხადოს 2005 წლის მესამე კვარტლამდე.

თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფარმაცევტულმა კომპანიებმა სახელმწიფო უწყებასა და საზოგადოებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაუმალეს და ეს ფაქტი არ გამომჟღავნებულა. საქმე ეხება ბავშვებზე ფსიქოტროპული საშულებების ზემოქმედებას. 1996 წელს ორმა დიდმა ფარმაცევტულმა კომპანიამ, Pfizer-მა და Lilly-მ, დამოუკიდებლად ჩაატარა გამოკვლევები დეპრესიით დაავადებულ ბავშვებზე და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შედეგები მიიღო. Pfizer-მა გამოკვლევების შედეგად დაადგინა, რომ დეპრესიულ ბავშვთა შორის ხშირია თვითმკვლელობის შემთხვევები, ფსიქოტროპული საშუალებები კი ხელს უწყობს ასეთი ფაქტების შემცირებას. კვლევის ასეთი შედეგებით დასრულების შემდეგ კი, Pfizer-მა ფარმაცევტული საშუალების ბაზარზე რეალიზაციისთვის ლიცენზია მოითხოვა. თუმცა, ამ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მასალების გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ Pfizer-ის დასკვნები რეალობას არ ასახავდა, რადგან Sertraline-ს გამოყენება მოზარდებსა და ბაშვებში აღგზნებას იწვევდა. უფრო მეტიც, მეორე ფარმაცევტული კომპანიის Lilly-ს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა (ოღონდ, Sertraline-ს ნაცვლად, სხვა ფსიქოტროპულ საშუალებაზე, Zypzexa-ზე) აჩვენა, რომ Zypzexa ხშირად, მკურნალობის ნაცვლად, სუიციდის მიზეზი ხდება. თუმცა, სიმართლე არც ამჯერად გამომჟღავნებულა. Lilly-მ საკუთარი კვლევების შედეგი დამალა და არც სამედიცინო ლიტერატურაში და არც ცნობარში არ დაუფიქსირებია.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან დასტურდება, რომ დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სახელმწიფო ყველაზე გავლენიან ფარმაცევტულ კომპანიებსაც კი არ ტოვებს დაუსჯელად. თუმცა, ეს ფარმაცევტული ბიზნესის შეზღუდვას სულაც არ ნიშნავს. პირიქით, ხელისუფლება ფარმაცევტული სფეროს განვითარებისთვის ხელის შეწყობას ცდილობს. მაგალითად, აშშ-ს ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლოსა და პატენტების სამსახურის 2002 წლის გადაწყვეტილების შედეგად, პატენტების მიმართ ქვეყნის პოლიტიკა მნიშვნელოვნად ლიბერალური გახდა, ანუ პატენტის მიღება გაიოლდა. გამოგონების საავტორო უფლების მისაღებად ორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს - შესაბამის უწყებას უნდა წარედგინოს გამოგონების სრული წერილობითი აღწერილობა და ამ გამოგონების საშუალებით უკანონო ექსპერიმენტი არ უნდა ჩაატაროს.

## მრგვალი მაგიდა ძალადობის შესახებ

ნანა ბასილაშვილი

რა ვითარებაა ქვეყანაში ოჯახური ძალადობის მხრივ? რა არის ამ გლობალური პრობლემის ძირითადი მიზეზი? და როგორ ვებრძოლოთ მას? ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების ირგვლივ არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარში", რომელიც ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მუშაობს, მრგვალი მაგიდა გაიმართა.

"საფარში" მრგვალი მაგიდა უკვე მეორედ მოეწყო. კავშირის წევრებმა პირველი შეხვედრა ჟურნალისტებთან გამართეს და მათთან ერთად პრობლემასთან საბრძოლველი რეალური გეგმები დასახეს. ამჯერად "საფარში" კახეთის რეგიონის წარმომადგენლებსა და აფხაზეთიდან დევნილებს მასპინძლობდნენ.

ორგანიზატორების მიერ დასმულმა სამმა შეკითხვამ საკმაოდ საინტერესო დისკუსია გამოიწვია. ქვეყანაში არსებული ოჯახური ძალადობის შემთხვევები, მის გამომწვევ მიზეზებსა და გამოსავლის ძიების გზებზე მონაწილეები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

შეკრებილები ერთხმად ეთანხმებოდნენ იმ ფაქტს, რომ ოჯახური ძალადობა მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გავრცელებული. ხშირია შემთხვევები როგორც დედაქალაქში, ასევე სხვადასხვა რეგიონში. ასე მაგალითად, კახეთის მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაახლოებით ათიდან შვიდ ოჯახში ძალადობა ბუნებრივი მოვლენაა. აქვე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ შედარებით მსუბუქადაა საქმე დასავლეთ საქართველოში, სადაც მოძალადე მამაკაცები ნაკლებად გვხვდებიან. თუმცა გაჩნდა საპირისპირო აზრიც. მრგვალი მაგიდის ის წევრები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ დასავლეთის სხვადასხვა კუთხესთან, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ.

მრგვალი მაგიდის წევრებმა ერთსულოვნად აღიარეს ის ფაქტი, რომ ზოგადად ქალი მძიმე მდგომარეობაშია. ქალს უწევს ბავშვების აღზრდა, ოჯახის მოვლა, ხშირ შემთხვევაში - რჩენაც. ითქვა იმის შესახებაც, რომ ჩვენს სახელმწიფოში ადამიანები ცუდად ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ, რაც ხშირად ოჯახურ ძალადობასთან გამკლავებას უშლის ხელს. ამასთან აღინიშნა ისიც, რომ პრობლემას ამძაფრებს ჩვენი ტრადიციები. ერთ-ერთი მონაწილის თქმით კი პრობლემა თავად პრობლემის გაუცნობიერებლობაშია. ეს განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლებში ვლინდება.

არსებული სიტუაცია სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდანაც სათანადოდ არაა შეფასებული. არ არსებობს სრულყოფილი კანონმდებლობა, რის გამოც ძალიან ხშირად ბიუროკრატიულ აპარატებში, ამა თუ იმ საკითხში სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს ვხვდებით. მრგვალი მაგიდის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სახელმწიფო ახლაც მოძალადეა, საბჭოთა კავშირის პერიოდში სტაბილურობის ილუზია იყო შექმნილი, ახლა კი ეს ილუზია გაქრა და საერთო ძალადობამ თითოეულზე გადაინაცვლა.

რაც შეეხება ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებს - ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება დასახელდა. მათ შორის იყო როგორც გლობალური პრობლემები, ასე მაგალითად, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, ასევე კარგად ნაცნობი ტრადიციები, ის, რომ ოჯახში უფროსი მამაკაცია და ხშირ შემთხვევაში ქალის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის უფლებები ირღვევა; რძალ-დედამთილიანის პრობლემა, რაც ერთ ჭერქვეშ რამდენიმე თაობის თანაცხოვრების შედეგია; სკოლებსა და ოჯახებში აღზრდის პრობლემები, განსაკუთრებით პედაგოგების როლი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების თემა, როგორც ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი, სწორედ პედაგოგების მიერ წამოიჭრა.

არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად "საფარში" შეკრებილმა საზოგადოებამ გარკვეული პროგრამები შეიმუშავა. რეგიონების წარმომადგენლები დედაქალაქთან თანამშრომლობის ფონზე საკუთარ რაიონებში შესაბამის ცენტრებს შექმნიან. "საფარი" კი, თავის მხრივ, კიდევ არაერთი მრგვალი მაგიდის მოწყობას გეგმავს, რასაკვირველია ამავე თემაზე, თუმცა სავარაუდოა, რომ შეხვედრის ადგილი შეიცვალოს და ორგანიზატორები სხვადასხვა რეგიონს თავად ეწვიონ.

## დაზუსტება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 10 ივნისს, გაზეთ "24 საათ"-ში (N129) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში, რომელიც შეეხება ხონი-მათხოჯი-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ1—კმ15 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას.

პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი 0160 გაგარინის ქ N29ა საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს, სამ ლოტად დაყოფილი, ხონი-მათხოჯი-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ2-კმ15 მონაკვეთის პირველი ლოტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

ლოტი-N1 ხონი-მათხოჯი-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ2—კმ5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

იმავე ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ6—კმ15 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას.

პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი 0160 გაგარინის ქ N29ა საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს, ორ ლოტად დაყოფილი, ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ6-კმ15 მონაკვეთის პირველი ლოტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

ლოტი-N1 ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ6—კმ10 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

*სატენდერო კომისია*

# მოსკოვს აშფოთებს ნატო-ს გაფართოება

*მოსკოვში ჩასული ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობის ყველა ძირითად საკითხს შეეხო. ბუნებრივია, საუბრის ძირითადი თემები გლობალური პრობლემები, მათ შორის, ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა იყო. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებებით ნათელი გახდა, რომ კრემლს კვლავაც აშფოთებს ნატო-ს გაფართოებისა და, აქედან გამომდინარე, თავის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ბაზების შექმნის პერსპექტივა. რუსეთი მხარს უჭერს ნატო-სთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებას. თუმცა, სხეფერს კიდევ ერთხელ მოუწია გამეორება, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ გეგმავს რუსეთის მეზობლად ნატო-ს სამხედრო ბაზების განთავსებას. ეს ეხება როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებს (რომლებიც უკვე ნატო-ს წევრები არიან), ასევე - საქართველოს.*

ნიკა თარაშვილი

**"რუსეთისა და ნატო-ს პარტნიორობას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უსაფრთხოებისა და, ზოგადად, უსაფრთხოების თვალსაზრისით,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

სხეფერის მოსკოვში ჩასვლამდე რუსული სააგენტო "რიანოვოსტი" იტყობინებოდა, რომ რუსეთის მხარე ნატო-ს გენერალურ მდივანს "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების" ადაპტირებული ვარიანტის რატიფიკაციას მოსთხოვდა. შეგახსენებთ, სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე გაჰყავს ჯარები რუსეთს საქართველოდან და იგივე უნდა გააკეთოს მოლდოვაშიც. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებებით ცხადი გახდა, რომ საუბრის "ძირითადი" თემა ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლა იყო.

"ნატო არ აპირებს, განათავსოს ახალი სამხედრო ბაზები რუსეთის საზღვრებთან, - განაცხადა იაპ დე ჰუპ სხეფერმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, - მით უმეტეს, აბსურდულია ბირთვული საფრთხის რუსეთის საზღვრებთან მიახლოების შესაძლებლობაც". ნატო-ს გენმდივანი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ამერიკული ტაქტიკური ბირთვული იარაღის არსებობა ნატო-ს ევროპულ ბაზებზე მხოლოდ "პოლიტიკური" საკითხია. **"იგი (ტაქტიკური ბირთვული იარაღი - რედ.) ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობაში პოლიტიკური კავშირის მნიშვნელოვან როლს ასრულებს**, - განაცხადა სხეფერმა, - **ამ იარაღის გამოყენებას ჩვენ არ ვაპირებთ."**

მხარეების განცხადებით, რუსეთსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობა მტკიცდება და ახალ ეტაპზე გადადის. ამის დასტურად, სხეფერი რუსეთის მონაწილეობას ასახელებს ოპერაცია "ერთობლივ ძალისხმევაში", რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარეობს და ზღვაზე ტერორისტული აქტების აღკვეთას ითვალისწინებს. რაც შეეხება ტერორიზმთან ბრძოლას ხმელეთზე, ნატო-ს გენერალური მდივანი აქაც ერთობლივ ძალისხმევაზე აკეთებს აქცენტს. **"რუსეთი ვერ შეძლებს მარტო, ნატო-სთან თანამშრომლობის გარეშე, აღუდგეს წინ დღეს არსებულ საფრთხეებს,"** - ამბობს იაპ დე ჰუპ სხეფერი.



ნატო და რუსეთი არასტაბილურობის წინააღმდეგ ერთიანდებიან?

ამ თვალსაზრისით, ალბათ, მიღწევა იყო მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პუტინი ნატო-ს ერთობლივი ცენტრის შექმნას სთავაზობს, სადაც ნარკოტრეფიკინგისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალისტები მომზადდებიან.

მეორე თანხვედრის სფერო მსოფლიოში სტაბილურობის დამყარება და ამ მიზნით თანამშრომლობა აღმოჩნდა. **"ვერც რუსეთი და ვერც ნატო ვერ დაუშვებს არასტაბილური სახელმწიფოების არსებობას და ეს ფაქტორი თანამშრომლობისთვის გარკვეულ საფუძველს ქმნის,"** - განაცხადა იაპ დე ჰუპ სხეფერმა.

ბუნებრივია, საუბარი (წინასწარ მთავარ თემად "მონათლულ") "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ" ხელშეკრულებასაც შეეხო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით, რუსეთი ვერ ხედავს ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის დაგვიანების საფუძველს. **"ახლა, როცა ჩვენ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას საქართველოსთან ბაზების გაყვანის შესახებ, რატიფიკაციაზე უარის თქმის არანაირი საბაბი აღარ არსებობს,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

თუმცა, თანხვედრის გარდა, როგორც ჩანს, არსებობს წინააღმდეგობრივი თემებიც. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთში ჯერ კიდევ მტკივნეულად აღიქვამენ ალიანსის შესაძლო გაფართოებას. არაფერია ცნობილი, ისაუბრა თუ არა სხეფერმა ნატო-ს მომავალი გაფართოების შესახებ ვლადიმირ პუტინთან, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემამ მას უკვე შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე მოუწია. ჟურნალისტის კითხვაზე, - როდის მიიღებენ საქართველოს ნატო-ში, - სხეფერმა უპასუხა, რომ ეს ქვეყანა ნატო-ს პარტნიორია; მართალია, ალიანსის კარი ყველასთვის ღიაა, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა გრძელი და რთულია და სახელმწიფოებმა ეს გზა დამოუკიდებლად უნდა გაიარონ. ასე რომ, **"მე ვერ ვიტყვი, როდის გადალახავს საქართველო ამ გზას"**, - ამბობს ნატო-ს გენერალური მდივანი.

# "დროა, სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი დაიწყოს"

## ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრი თეთრ სახლს სტუმრობს

*ერაყის პრემიერ-მინისტრმა იბრაჰიმ ჯაფარიმ გუშინ თეთრ სახლში პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დროა, დაიწყოს სადამ ჰუსეინის გასამართლების პროცესი. მან აღიარა, რომ ტერორიზმი კვლავ "მნიშვნელოვან მუქარას" წარმოადგენს ერაყისთვის, სადაც 22-23 ივნისის აფეთქებებში 40 ადამიანი დაშავდა.*

თიკო მაჭარაშვილი

ერაყის პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ ჯაფარი გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თეთრ სახლში მიიღო. ეს ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტია ვაშინგტონში. ჯაფარი მოითხოვს, რომ ერაყის ყოფილი დიქტატორის მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება სწრაფად დასრულდეს. მას სურს, რომ უახლოეს მომავალში გაიხსნას სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი. **"ისედაც დიდი დრო დავკარგეთ**, - განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა ხუთშაბათს ვაშინგტონში ჩასვლის შემდეგ, - **სადამ ჰუსეინის მიერ ჩადენილი დანაშაულების ინტენსიური გამოძიება არასოდეს დასრულდება, რადგან არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია. ამიტომ, ჩვენ სრული ანკეტა არ გვესაჭიროება - მხოლოდ ვერდიქტს მოვითხოვთ."**

ერაყის მთავრობის მრავალმა წარმომადგენელმა ერაყის "სპეციალურ სასამართლოს" წარუდგინა მოთხოვნა, რომ სწრაფად გახსნილიყო სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი. სპეციალური სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელიც 2003 წლის აპრილში დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეხებათ. 2005 წლის ივნისის დასაწყისში ამ სასამართლომ ოფიციალურად განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესის გახსნის თარიღი არ იყო დადგენილი. ასეთი განცხადებით "სპეციალურმა სასამართლომ" თავისი მიუკერძოებლობა დააფიქსირა.

რაც შეეხება უსაფრთხოებას, ერაყის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც სიტყვით წარდგა წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე, აღნიშნა, რომ იანვარში ახლად არჩეულმა მთავრობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაისის შემდეგ ათასობით ტერორისტი იქნა დაკავებული. დანაღმული მანქანების აფეთქების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამჟამად დღეში მხოლოდ ერთი ასეთი ფაქტი ფიქსირდება, მაშინ, როდესაც ყოველდღიურად ასეთი სახის 12-14 აფეთქება ხდებოდა ერაყის სხვადასხვა რეგიონში. მაგრამ, მან აღიარა, რომ "ტერორიზმი კვლავ მნიშვნელოვან მუქარას" წარმოადგენს ერაყისთვის. 22-23 ივნისს მხოლოდ ბაღდადში ათი დანაღმული მანქანის აფეთქებაში 35 ადამიანი მოკვდა და 100 მძიმედ დაიჭრა.



ეს ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტია ვაშინგტონში.

**"თქვენი შვილების სისხლი შეერია ჩვენი შვილების სისხლს**, - მიმართა ამერიკელ ხალხს იბრაჰიმ ჯაფარიმ თეთრი სახლიდან, - **და მათ ერთად გაგვიკვლიეს უძნელესი გზა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ. ანტიერაყული კოალიციის ძალები მანამდე დარჩებიან ერაყში, ვიდრე ერაყის ახალი უსაფრთხოების სამსახურები დამოუკიდებლად არ შეძლებენ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა..

ერაყის პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონში ბრიუსელიდან ჩავიდა, სადაც მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში. იბრაჰიმ ჯაფარიმ სრული მხარდაჭერა მიიღო "დემოკრატიული, ფედერალური და ერთიანი ერაყის" მშენებლობისთვის. ამერიკელმა დიპლომატებმა შეახსენეს ერაყის პრემიერ-მინისტრს, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება გვიანდებოდა. იბრაჰიმ ჯაფარი ირწმუნება, რომ მისი მთავრობა აუცილებლად დაიცავს დადგენილ ვადებს. 15 აგვისტომდე შეიქმნება ერაყის ახალი კონსტიტუცია და დეკემბრის ბოლომდე ჩატარდება საერთო არჩევნები.

# ირანის საპრეზიდენტო არჩევნების "ისტორიული" მეორე ტური

ირანში 41 ათასზე მეტი საარჩევნო ოლქი გუშინ, ადგილობრივი დროით, ცხრა საათზე გაიხსნა. ქვეყნის ისტორიაში პირველად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა.

ერთი კვირის წინ გამართული არჩევნების შემდეგ გუშინ ორი კანდიდატი დაუპირისპირდა ერთმანეთს: ყოფილი პრეზიდენტი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი და თეირანის მერი მაჰმუდ აჰმადინეჯადი. რაფსანჯანი ფრთხილი რეფორმატორია, რომელიც დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისკენ მიისწრაფვის, მეორე კანდიდატი კი - რადიკალური კონსერვატორი სამხედრო წარსულით. ამ უკანასკნელის გამარჯვების შემთხვევაში, დასავლეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

დილიდანვე დიდი ხალხმრავლობა იყო მეჩეთებთან, სადაც, როგორც წესი, განლაგებულია საარჩევნო უბნები. ირანის წესების მიხედვით, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც არჩევნების მსვლელობაზე აგებს პასუხს, უფლება აქვს, საარჩევნო უბნები მანამ არ დახუროს, სანამ ყველა მსურველი არ მიიღებს მასში მონაწილეობას.

ბუნებრივია, მოვლენებს სიმძაფრეს ჰმატებდა ის ფაქტი, რომ ორივე კანდიდატს გამარჯვების, თითქმის, თანაბარი შანსი აქვს. პირველ ტურში მათ, შესაბამისად, 21 და 19,5 პროცენტი დააგროვეს.

მართალია, ირანში პირველი პირი არა - პრეზიდენტი, არამედ სასულიერო ლიდერი აიათოლა ალი ხამენია, მაგრამ, ამის მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნებს ამ ქვეყანაში მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მოქმედი პრეზიდენტი ხათამი ზომიერ რეფორმატორად ითვლებოდა და თავდაპირველად უზარმაზარი პოპულარობითაც სარგებლობდა, რასაც რელიგიური ლიდერები ანგარიშს უწევდნენ. თუმცა, პირველი რაუნდის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ისლამურმა წრეებმა გაიმტკიცეს პოზიციები.

კონსერვატიული ხედვით ცნობილი აჰმადინეჯადის მეორე ტურში გასვლას არავინ ელოდა.

71 წლის რაფსანჯანი უკვე იყო ირანის პრეზიდენტი 1989-1997 წლებში. მას ინტელიგენციის, სასულიერო პირების, სტუდენტობისა და საქმიანი წრეების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს, მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე, 49 წლის თეირანის მერი, აჰმადინეჯადი ირანის ულარიბეს მოსახლეობაზე აკეთებდა აქცენტს. საარჩევნო კამპანიის დროს მან სიღარიბესთან ბრძოლის, მასშტაბური სოციალური პროგრამის გატარების, პრივილეგიების შემცირებისა და თანასწორუფლებიანობის დამყარების პირობა დადო.



დღეს გახდება ცნობილი, ვის აირჩევს ირანელი ხალხი - ზომიერ რეფორმატორს, თუ რადიკალ კონსერვატორს.

სპეციალისტები უარს აცხადებდნენ პროგნოზების გაკეთებაზე - ასეთი თანაბარი და დაძაბული კონკურენცია ირანის ისლამურ რესპუბლიკას არ ახსოვს. ძნელია წინასწარმეტყველება მოსახლეობის აქტივობაზეც, რადგან პირველ ტურში პროგნოზებმა ვერ გაამართლა.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ირანელებს 15 წლის ზემოთ - ანუ ქვეყნის ბედის გადაწყვეტის უპირატესი უფლება ირანელ ახალგაზრდობას ეძლევა.

17 ივნისს ჩატარებულმა პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მისი შედეგების მიხედვით, არჩევნებს გამოეთიშა ხუთი კანდიდატი, მათ შორის სამი "რეფორმატორთა" ბანაკიდან იყო. მათ წარუმატებლობას, ნაწილობრივ, იმით ხსნიან, რომ ამომრჩევლები უკამყოფილონი იყვნენ რეფორმატორ მუჰამედ ხათამის რვაწლიანი მმართველობით. პრეზიდენტმა უამრავი დაპირების შესრულება ვერ შეძლო.

საპრეზიდენტო არჩევნები ირანში უკვე მეცხრეჯერ ტარდება. მეორე ტურის ჩატარება პირველად გახდა საჭირო. კანდიდატები საარჩევნო კამპანიას აგრესიულად ატარებდნენ, არჩევნებმაც დიდი დარღვევებით ჩაიარა. პირველი ტურის შემდეგ იმასაც ამბობდნენ, რომ არჩევნები გააყალბეს, თუმცა ხელისუფლება დაჟინებით უარყოფდა ბრალდებას. არჩევნების შედეგები დღეს გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# ისრაელი და პალესტინა

## წლების წინ ნაციონალური თვითდამკვიდრებისა და მშვიდობის დამყარებისთვის დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტი

*ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული დაპირისპირება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და მძაფრი შეიარაღებული კონფლიქტია. მან დასაბამი აიღო ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანს შორის მდებარე მიწაზე. პალესტინელი ხალხისთვის უკანასკნელი 100 წელი კოლონიზაციის, განდევნის და სამხედრო ოკუპაციის პერიოდია, რასაც ნაციონალური თვითდამკვიდრებისა და იმ ხალხთან თანაარსებობის გრძელი პერიოდი მოჰყვა, ვისაც ისინი თავისი დანაკარგებისა და ტანჯვის მიზეზად მიიჩნევენ. თუმცა, ებრაელთა ცხოვრებაც არ ყოფილა მსუბუქი. წინაპართა მიწაზე დაბრუნებას მათთვის ნანატრი მშვიდობა და უსაფრთხოება არ მოუტანია. მეზობელ პალესტინელებს არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა, საბოლოოდ გაენადგურებინათ მათი სახელმწიფო.*

ნანა ნასყიდაშვილი

პალესტინა დასავლეთ აზიის ისტორიული რეგიონია. მისი სახელწოდება ძველი ებრაული სიტყვიდან "პელიშტიმ"-იდან მომდინარეობს, რაც ფილისტიმელს ნიშნავს (აღნიშნულ რეგიონში ძველ დროში მოსახლე ხალხის სახელწოდება). ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-12 საუკუნეში თანამედროვე პალესტინის სანაპირო ფილისტიმელებმა დაიპყრეს. დანარჩენი ტერიტორია ძველმა ებრაულმა ტომებმა დაიკავეს და ებრაულ-იუდეური სამეფო დააარსეს. 928 წელს ის ორ ნაწილად: ებრაულ და იუდეის სამეფოებად დაიშალა. მოგვიანებით, აღნიშნული ტერიტორიები სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. მე-3-2 საუკუნეებში ამ ტერიტორიებს სპარსელი სელევკიდები განაგებდნენ. მოგვიანებით, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წელს რომის იმპერიამ შეიერთა ისინი, ხოლო ბიზანტიის იმპერია მათ ჩვენი წელთაღრიცხვით 395 წლიდან მართავდა. მე-7 საუკუნეში პალესტინა - არაბებმა, მე-11 საუკუნეში - ჯვაროსნებმა, ხოლო მე-12 საუკუნეში ეგვიპტის სულთნებმა დაიკავეს. 1516 წლიდან ის ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1917 წელს პალესტინის ტერიტორია ინგლისის საჯარისო ნაწილებმა დაიკავეს და 1920-1947 წლებში ის დიდი ბრიტანეთის ე.წ. "სამანდატო" ტერიტორიად გამოცხადდა.

1919-1939 წლებში ებრაელი ემიგრანტები ევროპიდან პალესტინაში იწყებენ ჩასვლას. ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი, 165 ათას ადამიანამდე, პალესტინის ტერიტორიაზე 1930-იან წლებში გერმანიიდან ჩავიდა. სწორედ მათ დასახლებათა შექმნით, საცხოვრებელი სახლების შენებითა და გზების გაყვანით ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას ჩაუყარეს საფუძველი; ხოლო, თელ-ავივში, ჰაიფაში და იერუსალიმში დასახლებულმა ემიგრანტებმა სამშენებლო ფირმებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დაარსებას მიჰყვეს ხელი.

ომის დასრულების შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებიდან მოკავშირეთა მიერ გათავისუფლებულ ბევრ ებრაელს პალესტინაში გამგზავრება სურდა, თუმცა, არაბების მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლების შიშით, ბრიტანეთმა ებრაელთა გადასახლება პალესტინის ტერიტორიაზე შეზღუდა და გაამკაცრა. შექმნილ მდგომარეობაში ებრაელთა სათვისტომომ ფარული და არალეგალური ემიგრაცია დაიწყო. 1945-1948 წლებში 85 ათასამდე "ჰოლიკოსტის" მსხვერპლმა შემოვლითი გზებით პალესტინაში მაინც ჩააღწია.

1947 წლის 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ ცნო გაერო-ს გენერალური კომიტეტის გადაწყვეტილება პალესტინის საკითხში და ბრიტანული მანდატის ლიკვიდაციისა და პალესტინის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს (ებრაულისა და არაბულის) შექმნის შესახებ რეზოლუცია მიიღო. ქალაქი იერუსალიმი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოცხადდა და გაერო-ს გამგებლობაში გადავიდა.

1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფო დაარსდა; შეიქმნა დროებითი მმართველობაც, რომელიც აშშ-მ, სსრკ-მ და სხვა სახელმწიფოებმა მალევე ოფიციალურად ცნეს. ისრაელის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისთანავე არაბულ ქვეყანათა ლიგამ მას ყველა ფრონტზე ომი გამოუცხადა. ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში სხვადასხვა არაბულ ქვეყანასთან ერთად ეგვიპტე, ტრანსიორდანია (1950 წლიდან მისი ოფიციალური სახელი იორდანიაა), სირია, ლიბანი, ირანი და ერაყი ჩაერთვნენ.

ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის წარმოებული პირველი ომის შედეგად, რომელიც 1948-1949 წლებში მიმდინარეობდა, ებრაელმა ხალხმა პალესტინის ტერიტორიის ის ნაწილი დაიკავა, რომელიც არაბული სახელმწიფოსთვის იყო განკუთვნილი. მიწების კიდევ ერთი ნაწილი იორდანიამ მიიერთა, ხოლო ღაზას სექტორი ეგვიპტის განკარგულებაში გადავიდა. კონფლიქტის დაწყების შემდეგ არაბთა დიდი ნაწილი მეტნაკლებად უსაფრთხო ზონაში, ღაზას სექტორში, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და მეზობელ არაბულ ქვეყნებში გადავიდა. საომარ მოქმედებათა დასრულების შემდეგ ლტოლვილთა რიცხვმა ასობით ათას ადამიანს მიაღწია. 1967 წელს დაპირისპირებულ მხარეებს შორის გამართული კიდევ ერთი ომის შედეგად ისრაელმა პალესტინის ყოფილ სამანდატო ტერიტორიასთან ერთად სხვა არაბული მიწებიც შეიერთა. სწორედ მაშინ ისრაელის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ებრაელთა მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან საჯარისო ნაწილები არ გამოეყვანა არაბულ მხარესთან მშვიდობიანი გარიგების მიღწევამდე, რომლითაც ეს უკანასკნელი ისრაელის სახელმწიფოსა და მის საზღვრებს ოფიციალურად ცნობდა.

1967 წლის ნოემბერში გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ნომერი 242. აღნიშნული დოკუმენტი არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს მშვიდობიანი და სამართლიანი გარიგების დადებისკენ მოუწოდებდა, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან საჯარისო ნაწილების გაყვანასაც ითვალისწინებდა. გაერო-ს მხრიდან გაღებული ძალისხმევის მიუხედავად, მხარეებს შორის მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

ისრაელსა და არაბულ მხარეს შორის სამხედრო დაპირისპირება 1969-1970 წლებში ეგვიპტესთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან წარმოებული ომით გაგრძელდა. 1987 წელს ლტოლვილთა რიცხვმა 2 მილიონ ადამიანს მიაღწია. 1960-იანი წლებიდან პალესტინის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა - პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია. "პალესტინელ არაბთა ბრძოლა პალესტინის საკითხის სამართლიანად მოგვარებაში, არაბთა უფლებების დაცვა, თვითდამკვირვებისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების მოპოვება" - აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს.

1993 წელს ისრაელმა და პალესტინის ახალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ კონფლიქტის მოგვარების პრინციპების თაობაზე დეკლარაციას მოაწერა ხელი. დოკუმენტი, გაერო-ს რეზოლუციის პირობათა გათვალისწინებით, პალესტინის პრობლემის მოგვარებამდე გარდამავალ პერიოდში, 5 წლის განმავლობაში, ღაზას სექტორსა და ქალაქ იერიქონში (ის მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს) პალესტინელთა შეზღუდულ თვითმმართველობას ითვალისწინებდა. ასე წარმოიშვა პალესტინის ნაციონალური ავტონომია.

პალესტინელთა მიერ ისრაელის, როგორც სახელმწიფოს, არსებობის უფლების ოფიციალურად ცნობის შემდეგ მათ მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე ღაზას სექტორსა და ქალაქ იერიქონის ზონაში (ეს სექტორის სრული და ოფიციალური სახელწოდებაა) შეზღუდული თვითმმართველობის უფლებით სარგებლობა დაიწყეს. 1994 წლის ივლისში 27 წლის განმავლობაში პალესტინიდან განდევნილმა არაფატმა სამშობლოში დაბრუნების უფლება მიიღო და 1995 წლის 20 იანვარს ამომრჩევლების ხმათა 83 პროცენტით ის პალესტინის ავტონომიის მეთაურად აირჩიეს. პალესტინის პრეზიდენტი 2004 წელში გარდაიცვალა და მისი ადგილი მაჰმუდ აბასმა დაიკავა. პალესტინის ავტონომია ჯერჯერობით სუვერენული სახელმწიფო არ არის - მუნიციპალიტეტთა გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს.

ღაზას სექტორი მთლიანად ისრაელის მიერაა ბლოკირებული და მესრითაა შემოღობილი. ამ პატარა მიწის მონაკვეთზე, რომლის სიგრძეც - 40, ხოლო სიგანე 5 კილომეტრია, 1,5 მილიონამდე პალესტინელი ცხოვრობს. მათ განმგებლობაშია, აგრეთვე, ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა: შხემი, ჯენინი, რამალა, ბეთლემი და ჰებრონი. მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის ოკუპირების შემდეგ, ელექტროსადგურებისა და წყლის რესურსის ებრაელთა მფლობელობაში აღმოჩენის გამო, ავტონომიის ცხოვრებას გარკვეულწილად ისრაელი აკონტროლებს. შეიარაღებულმა დაპირისპირებამ დაანგრია ქალაქები და სოფლები და პალესტინის განვითარებად ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. ათასობით არაბმა ისრაელში სამუშაო ადგილი დაკარგა და ამის შედეგად მრავალი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

პალესტინის ხელისუფლების განკარგულებაში - მხოლოდ პოლიცია, რამოდენიმე სპეცსამსახური და მრავალი არაფორმალური შეიარაღებული ორგანიზაციაა. რაც შეეხება მოქმედ ჯარს, ასეთი რამ ავტონომიაში არ არის.

დღეისთვის ისრაელის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაც 6 მილიონ ადამიანს შეადგენს, 1 მილიონი პალესტინელი ცხოვრობს (ისინი ამ ქვეყნის მოქალაქენი არიან). მრავალი წლის განმავლობაში ისინი ამ ქვეყნის ხელისუფლების მიმართ ლოიალობას იჩენდნენ და შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის მიმართ სიმპათიითაც განეწყვნენ, მაგრამ ისრაელის მოქალაქეობის პალესტინის მოქალაქეობაზე გაცვლა ნაკლებად სურთ.

## მოკლედ

### თურქეთის ფერმერთა კავშირი IFAD-ის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების პროგრამასთან ითანამშრომლებს

თურქეთის სოფლის მეურნეობის გაერთიანებული პალატის ფერმერთა კავშირი IFAD-ის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების პროგრამასთან ითანამშრომლებს. ფერმერთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, წარმოშობით ქართველი ნეჯეტ ჰავჯი (ჰავჯიშვილი), ამ დღეებში ამავე კავშირის ქართული წარმოშობის წევრებთან გოგიტიძესთან და ზაქარაიძესთან დუშეთში, IFAD-ის პროგრამის ერთ-ერთ საპილოტე რაიონში იმყოფებოდა.

ფერმერთა აღნიშნული გაერთიანება 1881 წელს დაარსდა და ქვეყნის ტერიტორიაზე 99 რეგიონულ ორგანიზაციას აერთიანებს, ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქალაქ ანკარაში. იგი აწესრიგებს ყველა იმ საკითხს, რომლებიც ფერმერთა უკეთესი მომავლისკენაა მიმართული, უძღვება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებას, რისი შედეგებიც სახეზეა - თურქეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა რეგიონში ყველაზე ძლიერ არის განვითარებული. ფერმერთა კავშირის წარმომადგენლები დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში IFAD-ის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული, ფერმერის სახლის მაგალითზე გაეცნენ ფერმერის სახლების მუშაობის სტრუქტურას, დღემდე მიღწეულ შედეგებს, ფერმერის სახლებში მომუშავე ყველა ფერმერული ასოციაციის მუშაობას, დუშეთის რაიონის სოფლებში შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს. ივლისის შუა რიცხვებიდან ფერმერის სახლებში მომუშავე ასოციაციები და თურქეთის ფერმერთა კავშირის წევრები ერთობლივი სამუშაო გეგმების შემუშავებას დაიწყებენ. თანამშრომლობა წარიმართება მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მარკეტინგის, გადამუშავებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საკითხებში. მეთოდურ დახმარებებთან ერთად, თურქეთის ფერმერთა კავშირი ფერმერის სახლებში განავითარებს კომერციულ საქმიანობას. ფერმერულ ასოციაციებს მოაწვდიან თანამედროვე სამკურნალ-წამლო საშუალებებს მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის დარგში, მცენარეთა დაცვის საშუალებებს. ორივე მხარე იმედოვნებს, რომ თანამშრომლობის შედეგები პროგრამის საპილოტე რაიონებზე (დუშეთი, ასპინძა, შუახევი, ამბროლაური) საგრძნობლად აისახება. **24 საათი**

### 550 ობიექტი დარჩა გასაყიდი

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დღეისთვის 550 ობიექტი დარჩა გასაყიდი, საიდანაც 107 უკვე გასაყიდად არის მომზადებული. ობიექტთა შორის ყველაზე ძვირადღირებული სასტუმრო "ოაზისი" ჩაქვში (საწყისი ფასი - 4 მილიონ 400 ათასი დოლარი) მდებარეობს. ქობულეთში მდებარე სასტუმრო "კოლხეთი" კი მილიონ 300 ათას დოლარად არის შეფასებული. თბილისში, ვეკუას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები მილიონ-ნახევარ დოლარად გაიყიდება, აბაშიძის ქუჩის 17 ნომერში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი კი - მილიონ 100 ათასი დოლარად. შპს "ვარკეთილის ღვინის ქარხანა" და შპს "აგრეგატი" თითო მილიონ დოლარადაა შეფასებული. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სერიოზული თანხების მიღებას მაინც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის და "მადნეულის" " პრივატიზებიდან გეგმავს. დიდი პრივატიზაცია შეეხება სააქციო საზოგადოებებს - "რიონჰესს", "გუმათჰესს", "ლაჯანურჰესს", "შაორჰესს", "ძევრულაჰესს", "აჭარის ენერგოკომპანიას" და "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასაც". ჰესებზე განაცხადის შეტანა პოტენციურ ინვესტორებს პირველ ოქტომბრამდე შეუძლიათ. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მალე დღის წესრიგში დადგება ისეთი მსხვილი საწარმოების გასხვისების საკითხიც, როგორიცაა "აზოტი", "ქუთაისის ავტოქარხანა" და "ქუთაისის ლითოფონების ქარხანა". აღსანიშნავია, რომ დღემდე პრივატიზებულ 124 ობიექტს შორის ყველაზე ძვირადღირებულად კვლავ საოკეანო სანაოსნო (93 მილიონი დოლარი), "თბილავიამშენი" (67 მილიონი), "ტელეკომი" (5 მილონი) და "ელმავალმშენი"(4 მილიონ 150 ათასი) რჩება. **24 საათი**

### ცვლილება ლიცენზირების შესახებ კანონპროექტში

"ლიცენზირების, ნებართვებისა და კონტროლის გამარტივების შესახებ" საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით გათვალისწინებული ნორმა, რომელიც სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფლებებს ზღუდავდა, პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის რეკომენდაციით გაუქმდა. როგორც პარასკევს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, პავლე კუბლაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" და მისი თანმდევი კანონპროექტების მესამე მოსმენით განხილვისას განაცხადა, ჯანდაცვის კომიტეტის შენიშვნის გათვალისწინებით, ლიცენზირების შესახებ კანონპროექტს დაემატა მუხლი, რომელიც არაიოდიზებული ტექნიკური მარილის შემოტანაზე ნებართვის გაცემას ითვალისწინებს. ეს ცვლილება განაპირობა "იოდისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის შესახებ" კანონმა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე კვების წარმოებაში მხოლოდ იოდიზებული მარილის მოხმარებას ითვალისწინებს. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, გიგი წერეთლის განმარტებით, კანონპროექტში მესამე მოსმენისთვის შეტანილი ცვლილების თანახმად, სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური გააკონტროლებს საზღვარზე ეპიდსაშიში ზონის ქვეყნებიდან შემოტანილ ტვირთს. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მთავრობა 2006 წლამდე სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგულირების გამარტივების წესებისა და პირობების შემუშავებას კისრულობს. **პრაიმ-ნიუსი**

### დსთ-ს წევრი სახელმწიფოების საკოორდინაციო სატრანსპორტო სხდომა

კარელიაში დსთ-ს წევრი სახელმწიფოების საკოორდინაციო სატრანსპორტო სხდომა გაიმართება. რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი აცხადებს, რომ რუსეთი და დსთ-ს სხვა ქვეყნები ჩინეთიდან ევროპაში ახალ აბრეშუმის გზას გაიყვანენ. სწორედ ამ პროექტის განხილვა იქნება სხდომის მთავარი საკითხი, რომლის შესახებაც თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობებისა და სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლები იმსჯელებენ. ვარაუდობენ, რომ კონტეინერების ტრანსპორტირება ჩინეთი-ყაზახეთი-რუსეთი-უკრაინის მარშრუტით განხორციელდება, რის შემდეგაც ტვირთები პოლონეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, სლოვაკეთში გადანაწილდება, შემდეგ კი იტალიასა და პორტუგალიაში გადავა. ამ და სხვა სატრანსპორტო პროექტების ფარგლებში დსთ-ს ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სატარიფო პოლიტიკაა. "დსთ-ს რიგ ქვეყნებში დაწესებული ტარიფების დონე "რუსეთის რკინიგზის" მიერ დაწესებულ დონეზე ორჯერ ნაკლებია. თუმცა, ამ პრობლემაზე დსთ-ს ქვეყნებს შორის სრული ურთიერთგაგება არსებობს," - აცხადებს იგორ ლევიტინი. დსთ-ს ქვეყნების სხვა ერთობლივი სატრანსპორტო პროექტებია ტვირთების ტრანსპორტირებისთვის საკონტეინერო დერეფნის ორგანიზება ხმელთაშუა ზღვის პორტებიდან ოდესის პორტამდე, ოდესიდან - ტოლიატის პორტში, ასტრახანის რაიონში კი საავტომობილო ხიდის აგება, რომლითაც ტვირთების ნაკადი რუსეთიდან შუა აზიაში გადავიდოდა. გარდა ამისა, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი ერთ-ერთ მთავარ პროექტად რუსეთიდან აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზის აღდგენას ასახელებს. **მედიანიუსი**

### ბაგაფში საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვის საკითხის მოგვარებას მოსკოვში შეეცდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში რუსეთის კომერციულ ბანკებში აფხაზეთის საფინანსო ორგანიზაციების საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვის საკითხის მოგვარებას მოსკოვში შეეცდება. სერგეი ბაგაფშს იმედი აქვს, რომ აფხაზური საფინანსო დაწესებულებებისათვის, რუსეთის ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვის პრობლემა მოსკოვში მისი ვიზიტით დარეგულირდება. რამდენიმე დღის წინ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კომერციულ ბანკებს რუსეთის ტერიტორიაზე საკორესპონდენტო ანგარიშები დაუხურა. როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რუსეთის ცენტრალური ბანკის ასეთი რეაქცია, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის ოფიციალურ პროტესტს მოჰყვა, რის შედეგადაც, რუსულმა მხარემ მისი მოთხოვნები გაითვალისწინა. "ამგვარი განცხადებებით საქართველოს ხელისუფლება არაერთხელ გამოვიდა. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ პასპორტებთან, პენსიებთან, საზღვრის გადაკვეთის რეჟიმთან დაკავშირებით," - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა. ბაგაფში უახლოეს მომავალში მოსკოვის დედაქალაქში ჩასვლას და საკორესპონდენტო ანგარიშებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას გეგმავს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თავის რუს კოლეგას სერგეი იგნატიევს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საფინანსო სტრუქტურებთან რუსეთის ფედერაციის ცალკეული ბანკების უკანონო თანამშრომლობის აღკვეთის შესახებ ოფიციალური წერილი გაუგზავნა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნული საკითხი 27 მაისს, სანკტ-პეტერბურგში შუა აზიის, ბალკანეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის ყოველწლიურ შეხვედრაზეც დააყენა. საქართველოს ეროვნული ბანკი რუსეთი ფედერაციის ცალკეული კომერციული ბანკების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების მოთხოვნით დაიმუქრა. ამის უფლებას საქართველოს ეროვნულ ბანკს ფულის გათეთრების წინააღმდეგ სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის მოთხოვნები აძლევს. **ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას მეტი მეწარმის დაჭერა სურს

## საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვნად მკაცრდება

*კერძო არბიტრაჟის გაუქმების შემდეგ მთავრობა მეწარმეებს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებს. საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსებში შესატანი ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გუშინ პარლამენტართა განხილვის საგანი იყო, მეწარმეებისთვის პასუხისმგებლობას ამკაცრებს. ანუ ახალ საგადასახადო კოდექსს კიდევ ერთი "ღერძი" ეცლება, რაც მის ლიბერალურობასა და "მეწარმეთა ხელშეწყობაზე" მითს თანდათან ისტორიას აბარებს.*

მარიამ ჭაჭვაძე

ანუ, პრინციპი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური დანაშაულის ჩამდენი მეწარმე, თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხას არ დამალავდა, ეკონომიკური სანქციებითვე უნდა დასჯილიყო, ხელისუფლების მიერ უარყოფილია.

ხელისუფლებას მეწარმეთა "სისხლი მოსწყურდა". წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდება იმ შემთხვევაში, როცა გადაუხდელი გადასახადის თანხა 25 ათას ლარს გადააჭარბებს.

ეს კანონოპროექტი საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შევიდა.

**"აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში არსებულ დანაშაულთა აღმოფხვრას და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საგადასახადო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას,"** - ასე ამართლებდა გუშინ, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე პრეზიდენტის ამ ინიციატივას.

მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას შეიცავს. კერძოდ, გაზრდილია ვადა, რომლის განმავლობაშიც სუბიექტებს შესაძლებლობა ექნებათ, დამატებით გადასახდელად დაკისრებული თანხა გადაიხადონ და თავიდან აიცილონ სისხლის სამართლებრივი დევნა.



გოდაბრელიძე პრეზიდენტის ინიციატივას იცავს.

**"ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, პირის სისხლის სამართლებრივი დევნა არ იწყება იმ შემთხვევაში, თუ "საგადასახადო მოთხოვნის" მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში დამატებით გადასახდელად დაკისრებული გადასახადის ძირითადი თანხა და სანქციების თანხა დაიფარება. წარმოდგენილი ცვლილებებით აღნიშნული 15-დღიანი ვადა 30 დღემდე იზრდება, რაც გადასახადების გადახდის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს,"** - განაცხადა გადაბრელიძემ.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო აგენტის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება იმ შემთხვევაში, თუ გადაუხდელი თანხის ოდენობა დარიცხული გადასახადის 25 პროცენტს და ასი ათას ლარს აჭარბებს.

# "გაზპრომი" დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებისათვის ბუნებრივი აირის ფასებს ზრდის

ნინო ნარჩემაშვილი

**"გაზპრომის" ხელმძღვანელის ალექსეი მილერის განცხადებით, "გაზპრომი" 2006 წლიდან დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებისათვის ბუნებრივი აირის ფასებს გაზრდის."** ასეთი განცხადება გუშინ, "გაზპრომის" აქციონერთა კრებაზე, კომპანიის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა გააკეთა. გარდა ამისა, მომავალი წლიდან კომპანია საბაზრო მექანიზმის შეცვლასაც გეგმავს და საკუთარი პროდუქციის ბარტერს გამორიცხავს, რასაც რუსეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ვიქტორ ხრისტენკოც ეთანხმება. მისი შეფასებით, ბარტერი **"ხელშეკრულებების ჩაშლისა და კონფლიქტების საშიშროებას ქმნის."** ამასთან, ბარტერული სქემები **"დიდი ხანია, ანგარიშსწორების ცივილურ ფორმას აღარ წარმოადგენს."** ალექსეი მილერის განცხადებით, 2004 წელს კონცერნმა დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში 52 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განახორციელა. ამასთან, დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნებისთვის რუსული გაზის საფასური დღეს საკმაოდ დაბალია და მისი გაზრდა სრულიად კანონზომიერია. მისივე თქმით, "გაზპრომის" სტრატეგიულ გეგმაში შედის ამერიკისა და აზიის ბაზრებზე გასვლა. 2010 წლისთვის კი, მწყობრში ჩადგება ჩრდილოევროპული გაზსადენის პირველი ხაზი, ხოლო მთლიანად გაზსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. მისივე ინფორმაციით, ამჟამად მუშავდება მექსიკასა და კანადაში რუსული გაზის ექსპორტის შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ დღეისათვის საქართველო "გაზპრომის" შვილობილი კომპანია "გაზექსპორტისგან" ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს სამოც დოლარად ყიდულობს.

"გაზპრომი" საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდას ჯერ კიდევ 2005 წლის დასაწყისში აპირებდა, თუმცა, კომპანია "თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორის დავით მორჩილაძის მოსკოვში ვიზიტისას წარმოებული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და თბილისი ამჟამად 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, 75 დოლარის ნაცვლად, კვლავ ძველ ფასად ყიდულობს.

განვითარებული მოვლენების ფონზე, არ არის გამორიცხული, რომ 2006 წლის პირველი იანვრიდან თბილისისთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასური 90 დოლარამდე გაიზარდოს. როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, "გაზექსპორტთან" ხელშეკრულება გასული წლის ნოემბერშია გაფორმებული. შესაბამისად, მომწოდებელ კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების დადება მიმდინარე წლის ნოემბრისთვის იქნება აუცილებელი.

სავარაუდოდ, ამ დროისთვის უკვე დანამდვილებით გახდება ცნობილი, გაზრდის თუ არა რუსეთი საქართველოსათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურს.

# სომხეთი რუსეთიდან გაზის იმპორტს ზრდის

## ბუნებრივი აირი სომხეთს, ცხადია, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით მიეწოდება

*2005 წელს სომხეთში დამატებით 1,7 მილიარდი კუბური მეტრი გაზის იმპორტი განხორციელდება, რის შედეგადაც კომპანია "არმროსგაზპრომი" 104 მილიონი დოლარის ოდენობის მოგების მიღებას გეგმავს. ამის შესახებ სომხეთის საკურორტო ქალაქ ცახკანძორში გამართულ სემინარზე გაკეთდა განცხადება. ბუნებრივია, ეს საქართველოს ტერიტორიის გავლით - ყბადაღებული მაგისტრალური გაზსადენების საშუალებით უნდა განხორციელდეს. სხვათა შორის, ამ კომპანიამ, რომელიც აღნიშნული გზით მომავალ წელს 104 მილიონი აშშ დოლარის მოგებას ელოდება, გასულ ზამთარს საქართველოსთვის სომხეთის მხრიდან ელექტროენერგიის გაძვირებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.*

დიანა ჩაჩუა

სომხეთში გაზის ექსკლუზიური მომწოდებელი კომპანია "არმროსგაზპრომის" გენერალურმა დირექტორმა კარენ კარაპეტიანმა სომხეთში გამართული სემინარის მონაწილეებს აცნობა, რომ გაზის იმპორტის გაზრდა სომხეთში ბუნებრივი აირის გამოყენების მზარდი დინამიკით არის განპირობებული. სემინარზე დასახელებული მონაცემების თანახმად, 2004 წელს ერთადერთი, საქართველოზე გამავალი "ჩრდილოეთის" გაზსადენით სომხეთში 1,33 მილიარდი კუბ/მეტრი გაზის ექსპორტი განხორციელდა.

სომხეთში გაზის მიწოდების და რეალიზაციის გარდა, კომპანია საქართველოში ელექტროენერგიის ექსპორტს აწარმოებს და უახლოეს მომავალში ელექტროენერგიის რეგიონულ ბაზარზე საკუთარი წილის გაზრდას გეგმავს. ცნობისათვის, 2004 წლის 16 ოქტომბრიდან 2005 წლის 15 მაისამდე "არმროსგაზპრომმა" საქართველოში 3,6 მილიონ დოლარის ღირებულების, დაახლოებით 141 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა.

ამას გარდა, კომპანია სომხეთის გაზგამანაწილებელი სისტემის განვითარებაში დაახლოებით 15 მილიონი დოლარის ინვესტირებას აპირებს. "არმროსგაზპრომს" ყოველდღიურად სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 91 ათასი დოლარი შეაქვს. 2004 წელს "არმროსგაზპრომის" მოგებამ 88,53 მილიონი დოლარი შეადგინა.

სემინარის მსვლელობისას, "არმროსგაზპრომმა", რომლის აქციათა 45-45 პროცენტი სომხეთის მთავრობასა და რუსულ "გაზპრომს" ეკუთვნის, ხოლო ათ პროცენტს კომპანია "იტერა" ფლობს, აზერბაიჯანს 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია 2,5 ცენტად შესთავაზა. აზერბაიჯანის მხარემ "არმროსგაზპრომის" წინადადება არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ იგივე მოცულობის ენერგიას ირანისგან 4 ცენტად ყიდულობს. აღსანიშნავია ამის საპასუხოდ კარაპეტიანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად, აზერბაიჯანის მხარე ბოლომდე დარწმუნებული არ უნდა იყოს იმაში, რომ მისთვის ირანიდან მიწოდებული ელექტროენერგია სომხეთში არ არის გამომუშავებული.

# დავით ინგოროყვა აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. 27-28 ივნისს ინგოროყვა "ათასწლეულის გამოწვევის ფონდის" ევრაზიის ქვეყნების დირექტორ გვრედჩენ ბრევნოვთან და ფონდის ექსპერტებთან მოლაპარაკებას გამართავს. ვიზიტის დროს დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიო ბანკში.

ვიზიტის მიზანი "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" ფარგლებში საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის საკითხის განხილვა და დეტალების დაზუსტებაა. მსოფლიო ბანკში დაგეგმილი შეხვედრების დროს გაირკვევა, მიიღებს თუ არა აღნიშნული ბანკი მონაწილეობას მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტში და გამოყოფს თუ არა ამისთვის საჭირო დამატებით სახსრებს.

აშშ-ში ვიზიტისას დაგეგმილია დავით ინგოროყვას შეხვედრა კომპანია "ბი-პი"-ს წარმომადგენლებთან, რომლებიც მზად არიან, მაგისტრალური გაზსადენის აღდგენისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები დააფინანსონ. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ვაშინგტონიდან სტამბულში გაემგზავრება, სადაც 29 ივნისს "კემბრიჯის კვლევითი ასოციაციის" ყოველწლიური ენერგეტიკული კონფერენცია დაიწყებს მუშაობას. კონფერენციაზე კასპიისა და შავი ზღვის ნავთობისა და გაზის საკითხები, ასევე, გაზის ალტერნატიული წყაროებით მომარაგების საკითხები განიხილება.

*ინტერპრესნიუსი*

# რეგიონების მოსახლეობა შუქს ითხოვს

## გაურკვევლობაში მყოფი მოსახლეობა ყურადღების მიქცევას აქციებით ცდილობს

*უკვე სამი დღეა, ზუგდიდის მოსახლეობას და სასიცოცხლო ობიექტებს ელექტროენერგია არ მიეწოდება. მოსახლეობა აცხადებს, რომ დენის საფასური გადახდილი აქვთ და გამორთვის მიზეზები მათთვის უცნობია. უშუქობაა იმერეთშიც. ელექტროენერგიის მოთხოვნით, გუშინ ზესტაფონის მოსახლეობა გამგეობის შენობაში შეიჭრა.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის სამეგრელოში ვიზიტი მოსახლეობის აქციების ფონზე მიმდინარეობდა. უშუქოდ დარჩენილი ზუგდიდის მოსახლეობა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის მიზეზის გაგებას ცდილობს. მათი თქმით, მათ დენის საფასური გადახდილი აქვთ. მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ მათ მიერ გადახდილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება და ბიუჯეტში, როგორც ელექტროენერგიისთვის გადახდილი გადასახადი, არ ირიცხება.

ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიის ზუგდიდის ფილიალის ხელმძღვანელობისგან კითხვებზე პასუხს ისინი, უკვე მესამე დღეა, ამაოდ ელიან. ფილიალის უფროსი გოჩა ქობალია მოსახლეობასთან შეხვედრას თავს არიდებს.

როგორც გოჩა ქობალია მედიასთან საუბარში აცხადებს, მოსახლეობის პრეტენზიები უსაფუძვლოა, რამდენადაც, ზუგდიდში უკვე დაწყებულია კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი და ამ პროცესთან დაკავშირებით პრეტენზიები არ მიიღება. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა ინდივიდუალური მრიცხველების დაყენებას მოითხოვს, ელექტროკომპანია სხვადასხვა უცხოური ფირმებისათვის ტენდერს გამოაცხადებს, რომლებიც ინდივიდუალური მრიცხველების დადგმაზე იმუშავებენ. მანამდე კი მოსახლეობამ, გოჩა ქობალიას განცხადებით, ყველა საცხოვრებელი სახლის ეზოში დამონტაჟებულ კომუნალურ მრიცხველებზე მითითებული თანხა უნდა გადაიხადოს.

ზუგდიდის აქციის მონაწილეთა მოთხოვნის მიუხედავად, მათთან ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა.

გუშინვე, ზესტაფონში 200-მდე ადგილობრივი მოსახლე ელექტროენერგიის მოთხოვნით გამგეობის შენობაში შეიჭრა. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათი მოთმინება ამოიწურა და უკიდურესი ზომების მისაღებად ემზადებიან. როგორც აქციის ორგანიზატორმა ნიკო ჩუბინიძემ განაცხადა, რამდენიმე დასახლებას "თვენახევარია შუქი თვალით არ უნახავთ".

ზესტაფონის გამგებლის დავით ფერაძის განცხადებით, მოსახლეობას ელექტროენერგია საფასურის გადაუხდელობის გამო არ მიეწოდება.

ამ პროცესების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება ზამთრის პერიოდისთვის იწყებს მზადებას. რეგიონებში შექმნილი სიტუაციის პარალელურად, მალე საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი დაიწყება. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება საქართველოში ზაფხულის პერიოდში ჭარბი ენერგორესურსების არსებობის გამო მიიღო. საქართველო თურქეთს დღე-ღამეში 70 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიას ზაფხულის პერიოდში მიაწვდის, სანაცვლოდ კი, თურქეთიდან ელექტროენერგიას ზამთარში მიიღებს. შედეგად, ზამთრის პერიოდში აჭარის რეგიონი 24-საათიანი ელექტრომომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

მაშინ, როცა საქართველო თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტს განახორციელებს, მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. როგორც კომპანია "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა, ამჟამად პროექტირება მიმდინარეობს, სამუშაოები კი მომავალი კვირიდან დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში დიდთოვლობისა და ზვავების გამო ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" ორი ანძა წაიქცა, რის შემდეგაც ხაზმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

"კავკასიონის" სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება მომავალ ზამთრამდე უნდა მოესწროს. სავარაუდო გათვლებით, აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას 1.5 მილიონი ლარი დასჭირდება.

# პატრულის კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადასამზადებელი მეცადინეობები მიმდინარეობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრში საპატრულო პოლიციის გადამზადება დაიწყო. გუშინ პოლიციის აკადემიაში პატრულების მოსამზადებელი პრაქტიკული მეცადინეობების პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ცნობილი გახდა, სასწავლო კურსისა და პატრულების სამუშაო გრაფიკის შეთავსების მიზნით, პოლიციელები მეცადინეობებზე სამ დღეში ერთხელ გამოცხადდებიან. შესაბამისად, თითოეული მუშაკი წვრთნას 30 დღის განმავლობაში გაივლის.

გუშინ 400-მა პოლიციელმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების, იარაღის გამოყენების, შემთხვევისას ადგილზე მოქმედების, ხელბორკილების დადებისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების ინსცენირება მოახდინა.

პოლიციის აკადემიის რექტორის ლევან იზორიას განმარტებით, სწავლების მიზანია, მოქმედი პატრულების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა.

"სწავლების 80-პროცენტი პრაქტიკულ მეცადინეობებზეა გათვლილი, ხოლო რაც შეეხება თეორიულ კურსს, პოლიციელები გადამზადებას შემდეგ დისციპლინებში გაივლიან : სისხლის, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართალი, კრიმინალისტიკა, პატრულირების ტექნიკა, ეთიკის ნორმები და სხვა", - აცხადებს ლევან იზორია.

ამ ეტაპზე საპატრულო პოლიციის პირველ სამ ნაკადს გადაამზადებენ. შსს აკადემიის პედაგოგები მეცადინეობებს საერთაშორისო სტანდარტებით შემუშავებული და აპრობირებული სასწავლო პროგრამების მიხედვით ატარებენ. მეცადინეობები დილის ცხრა საათზე დაიწყება და ხუთ საათამდე გაგრძელდება.

რეგიონებში საპატრულო პოლიციის პირადი შემადგენლობებისთვის სასწავლო კურსის დაწყება 20 ივლისიდან იგეგმება. საპატრულო პოლიციელთა გადამზადება სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

სწავლების სამთვიანი კურსის დასრულების შემდეგ საპატრულო პოლიციის ყველა თანამშრომელი ჩათვლებსა და გამოცდებს ჩააბარებს. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ისინი უწყებაში მუშაობას გააგრძელებენ.

*24 საათი*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ისინი უწყებაში მუშაობას გააგრძელებენ.*

# სასამართლოს მეორე რაუნდი მერიის წინააღმდეგ

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მაია სვინტრაძე მერიის იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღადგინა. სვინტრაძე თანამდებობის დასაბრუნებლად სასამართლო დავის მეორე წრეზე წავიდა. პირველად ის მერის მოვალეობის პირველი შემსრულებლის გია გიორგაძის განკარგულებას ასაჩივრებდა. ამჟამად ის მერის მოვალეობის ახლანდელი შემსრულებლის ბესიკ გულორდავას გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

მერიის იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მუშაობის შვიდწლიანი სტაჟის შემდეგ მაია სვინტრაძე 2004 წლის 19 მაისს სამსახურიდან დაითხოვეს სამსახურეობრივი მოვალეობის უხეშად გადამეტების მოტივით. თუმცა, სვინტრაძის პოზიციები გაცილებით ადრე შეირყა, როცა ის ქუთაისის მერიასთან არსებული ანტიკორუფციული საბჭოს დარტყმის ობიექტი გახდა. მაშინ ფალიანმა მასთან არსებული საბჭოს რეკომენდაცია არ გაიზიარა და სვინტრაძე თანამდებობაზე დატოვა. იურიუდიული სამსახურის უფროსის გაშვებას მხოლოდ გიორგაძე დათანხმდა.

გიორგაძის შესაბამისი განკარგულება სვინტრაძემ ყველა ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა და მისთვის სასურველი სამართლებრივი გადაწყვეტილებაც მოიპოვა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 19 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, სვინტრაძის სამსახურში აღდგენის თაობაზე, განაცდურის დარიცხვითა და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის უკანონოდ გამოცხადებით, რითაც სასამართლომ სვინტრაძის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამას მოჰყვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 28 იანვრის განჩინება საოლქოს გადაწყვეტილების უცვლელად ძალაში დატოვების თაობაზე. გადაწყვეტილება 2005 წლის მარტში აღსასრულებლად ქალაქ ქუთაისის მთავრობას წარედგინა, მაგრამ ამ პერიოდში მერიაში საკადრო ცვლილება განხორციელდა - მერის მოვალეობის შემსრულებლად ბესიკ გულორდავა დაინიშნა.

**"რატომღაც ჩავთვალე, რომ იძულებით აღსასრულებლად წარდგენამდე პირადად შევხვედროდი გულორდავას, რადგან ვთვლიდი, რომ არანაირი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი არგუმენტაცია ბესიკ გულორდავას არ გააჩნდა იმისათვის, რომ ჩემ მიმართ ჰქონოდა რაიმე კერძო ინტერესი. ჩვენი შეხვედრა მოწმის თანდასწრებით მიმდინარეობდა, სადაც პირდაპირ, ძალიან უალტერნატივოდ განმიცხადა, რომ იგი დაემორჩილებოდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, აღმადგენდა, მაგრამ იმავე დღეს მომხსნიდა. მითხრა, რომ მე იმიჯშელახული ვიყავი ქუთაისის საზოგადოების წინაშე და ჩემნაირი კადრებისაგან ის მერიას წმენდდა. მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა. გულორდავასთან საუბრისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ადამიანური დამოკიდებულება მისთვის უცხო რამაა, თორემ სამართლებრივ ნორმებზე წარმოდგენა რომ არ ჰქონდა, ეს თავიდანვე ნათელი გახდა. შესაბამისად, დავემშვიდობე და ბუნებრივია, გადაწყვეტილება ჩემი აღდგენის შესახებ მას მიეცა იძულებით აღსასრულებლად",** - აცხადებს მაია სვინტრაძე "24 საათთან" საუბარში.

გულორდავამ სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით აღასრულა და 21 აპრილს გამოსცა "განკარგულება მაია სვინტრაძის შესახებ". განკარგულების პირველი პუნქტით მან სვინტრაძე თანამდებობაზე აღადგინა, მეორე პუნქტით კი გაათავისუფლა. გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია სვინტრაძის მხრიდან მერიის სახელით სასამართლო სხდომებში მონაწილეობა და აღიარებითი სარჩელების ცნობა. გულორდავა ამბობს, რომ ამ აღიარებების შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა ქუთაისის მერია და, შესაბამისად - ბიუჯეტიც.

**"ამაში დანაშაული კი არა, ელემენტარული გადაცდომაც კი არ მოიპოვება, რადგან მერიის იურიდიული განყოფილება არასოდეს არ გადის სასამართლოში თავისი ინიციატივით და თავისი შეხედულებით. თუ რაიმე პრეტენზია გაუჩნდებოდა ქალაქის მერს ჩემს აღიარებასთან დაკავშირებით, ზუსტად ერთი თვის განმავლობაში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება შემოდის მერიაში, იმდროინდელ მერს - ფალიანს შეეძლო, ხელახლა გაეცა რწმუნება და გაესაჩივრებინა სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მეშვეობით, მაგრამ ეს, ბუნებრივია, არ გაკეთდა. ეს იყო ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე ნებაყოფილობითი აღიარება, რომლის მიზანი ის იყო, რომ არ გამეჩინა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის პირველი დღე, მოთხოვნის წარმოშობის პირველი დღე, რადგან ეს იქნებოდა უზარმაზარ ციფრებთან დაკავშირებული და დაიქცეოდა ქუთაისის ბიუჯეტი",** - აცხადებს სვინტრაძე.

ქუთაისის მერიაში იმედოვნებენ, რომ მათ არგუმენტებს სვინტრაძის წინააღმდეგ პროკურატურაც გაამყარებს, სადაც მთავრობას შესაბამისი დოკუმენტები უკვე გაგზავნილი აქვს. ამასთან, მერია საქალაქო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების ყველა ინსტანციაში გასაჩივრებასაც აპირებს. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი სვინტრაძე სასამართლო "ტურნეს" მეორე წრესაც პირველის მსგავსი წარმატებით დაასრულებს, ქუთაისის მერიას მის აღდგენასთან ერთად სვინტრაძისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან იძულებით გაცდენილი დროისათვის ხელფასის ანაზღაურება მოუწევს 2004 წლის 19 ოქტომბრიდან აღდგენის მომენტამდე.

# იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ქუთაისში საპყრობილის მშენებლობა დაათვალიერა

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა დღეს ქუთაისის გარეუბანში საპყრობილის მშენებლობა დაათვალიერა, სადაც სამუშაოები წელს, აგვისტოსთვის დასრულდება. საპყრობილე 1500-ზე მეტ პატიმარზეა გათვლილი და ევროსტანდარტების დონეზე შენდება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპყრობილის მშენებლობაზე დახარჯული თანხა ამ დროისათვის 10 მილიონ ლარს შეადგენს.

საპყრობილე 6 კორპუსისაგან შედგება, რომელთა შორის ერთი ადმინისტრაციულია. სხვა პატიმრებთან ერთად აქ განთავსდებიან არასრულწლოვანი და, ასევე, ქალი პატიმრები. ქუთაისის საპყრობილე განკუთვნილია წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისა და იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც მკაცრი რეჟიმის ან საპყრობილის პირობებში შეეფარდებათ სასჯელის მოხდა. საპყრობილეში არის 2, 4 და 6-ადგილიანი საკნები, რომელიც ახალი ავეჯით აღიჭურვება; დამონტაჟდება უსაფრთხოების უახლესი სისტემები და ავარიის შემთხვევაში ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

ეკა ტყეშელაშვილის ინფორმაციით, საპყრობილეში სამუშაოების დასრულებისთანავე იუსტიციის სამინისტრო საპყრობილის პერსონალის მომზადებაზე იზრუნებს. "ქუთაისის, ისევე, როგორც რუსთავის N6 საპყრობილე იქნება სამოდელო, რომლის მაგალითზეც აიგება საქართველოს ყველა სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულება. სამოდელო საპყრობილეებში განსხვავებული იქნება როგორც თანამშრომელთა ხელფასი, ასევე - პატიმართა კვება. ამანათების გადაცემა მკაცრად შეიზღუდება, რაც საპატიმროში ნარკოტიკული თუ ალკოჰოლური ნივთიერების მოხვედრას გამორიცხავს", - აღნიშნა ეკა ტყეშელაშვილმა".

იუსტიციის მინისტრის მოადგილის განცხადებით, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ბაზის განახლება. "სამოდელო საპყრობილეების გახსნა სერიოზული ნაბიჯი იქნება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის გზაზე", - თქვა ტყეშელაშვილმა.

# ზესტაფონში საზოგადოებრივი ადვოკატის ტერიტორიული ბიურო გაიხსნა

იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა - სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საადვოკატო მომსახურების ბიუროების გახსნა უკვე რეალურად დაიწყო. რამდენიმე დღის წინ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გახსნილ პირველ ბიუროს გუშინ მეორე ბიუროს გახსნა მოჰყვა. სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტი ამჯერად იმერეთის რეგიონს მოემსახურება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ზესტაფონის გამგეობის შენობაში იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა და იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა გიგა შუშანიამ გახსნეს. ეკა ტყეშელაშვილის თქმით, ბიურო მუშაობას 1 ივლისიდან შეუდგება. ბიუროს ადმინისტრატორის ანაზღაურება - 300, ხოლო ადვოკატის 270 აშშ დოლარი იქნება. **"საზოგადოებრივი ადვოკატის ბიუროს შესარჩევი კონკურსი მაღალი იყო და კონკურსი მკაცრად ჩატარდა. ზესტაფონის ბიუროში შეირჩა ერთი ადმინისტრატორი, ორი ადვოკატი და ერთი კონსულტანტი",** - განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

მისი განცხადებით, საზოგადოებრივი ადვოკატები სოციალურად დაუცველ ფენას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დაიცავენ. ბიუროს გახსნა ნაწილია იმ ერთწლიანი საცდელი პროექტისა, რომელიც უფასო იურიდიული დახმარების სფეროს რეფორმის პროცესში ხორციელდება. პროექტის ინიციატორი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა, ხოლო მის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ასეთივე ბიუროს გახსნა დაგეგმილია საქართველოს ყველა რეგიონში; შეიქმნება საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის სათაო ოფისიც. გიგა შუშანიამ ბიუროს გახსნისას განაცხადა, რომ რეგიონისათვის მნიშვნელოვანია ასეთი სამსახურის შექმნა.

საზოგადოებრივი ადვოკატის ბიურო 18 ივნისს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონშიც ამოქმედდა. იმავე დღეს იუსტიციის სამინისტროს, შს სამინისტროს, პროკურატურასა და სასამართლოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტის რეფორმირებისას თანამშრომლობას ითვალისწინებს.

**"სახელმწიფომ უნდა იზრუნოს თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, რომელიც ჩვენთვის პრიორიტეტულია. ასეთი ინსტიტუტი დასავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით მუშაობს და - საკმაო წარმატებითაც. სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტის პროექტზე ევროკავშირისა და ეუთო-ს ექსპერტებთან ერთად ვიმუშავეთ. გვინდა, საერთაშორისო სტანდარტები თავიდანვე მკაცრად იყოს დაცული, რათა ჩამოყალიბდეს ევროსტანდარტების შესაბამისი ინსტიტუტი და ის სარემონტო აღარ გახდეს. ძალიან მალე პროექტი საბოლოო სახეს მიიღებს და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საადვოკატო დახმარებას კვალიფიციური ადვოკატები გაუწევენ",** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ.

*24 საათი*

# "შსს საზღვარგარეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების მფლობელთა უფლებებს უხეშად არღვევს"

არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უხეშად არღვევს საზღვარგარეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების მფლობელთა უფლებებს.

კაკაბაძეს მაგალითად მოჰყავს 15 მაისს განხორციელებული ოპერაცია, როდესაც ავტოსადგომ "მტკვრის" ტერიტორიიდან შსს-ს თანამშრომლებმა გაიყვანეს ორი "ტოიოტას" და ერთი "ტიპოს" მარკის ავტომანქანა.

აღნიშნული ავტომანქანების მფლობელი ჯუმბერ ბუზალაძე დააპატიმრეს, იმ მოტივით, რომ ავტომანქანა მოპარული იყო და იძებნებოდა ინტერპოლის მიერ.

"აღნიშნული საქმის მთელი კურიოზი იმაში მდგომარეობს, რომ, თითქოსდა, მოპარული მანქანების ამოღების სახით ჩატარებული ოპერაცია თეთრი ძაფითაა ნაკერი. ინტერპოლის მიერ ძებნილ ავტომანქანებს შორის მითითებულია კონკრეტული ნომრის მქონე მანქანა, რომლის არც ფერი და არც მარკა არ ემთხვევა ბუზალაძის მიერ ჩამოყვანილს. გარდა ამისა, ბუზალაძეს ხელთ აქვს ყიდვის ადგილზე გაცემული დოკუმენტაცია, რომლის ავტორები თავის თავზე იღებენ ავტომანქანების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებს", - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

თავად ბუზალაძის თქმით, სახელმწიფოს ძვირადღირებული ავტომანქანების მითვისება სურს.

*მედიანიუსი*

# პოლიციამ მანქანის გამტაცებელი ცოლ-ქმარი დააკავა

პოლიციის თანამშრომლებმა ცოლ-ქმარი დააკავეს, რომლებსაც გატაცებული ავტომანქანა სარეალიზაციოდ თბილისიდან ცხინვალში გადაჰყავდათ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანა "ბმვ" გააჩერეს, რომელსაც ოთხჯერ ნასამართლევი, 35 წლის დავით თვაური მართავდა. ამავე ავტომანქანაში იმყოფებოდნენ თვაურის მეუღლე, 32 წლის ნინო ელიაშვილი და კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, 35 წლის გიორგი ელიაშვილი. "დადგინდა, რომ გატაცებული ავტომობილი "ბმვ" თურქეთის მოქალაქეს ეკუთვნის და იგი თბილისიდან, უზნაძის ქუჩიდან 13 ივნისს მოიპარეს. ჩხრეკისას თვაურს "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი და 17 ვაზნა აღმოაჩნდა, ხოლო მისი ბინიდან სხვადასხვა უცხოური ავტომანქანისათვის განკუთვნილი წესით დამზადებული ე.წ. "ატმიჩკები" იპოვეს", - აცხადებენ პოლიციაში. თვაურისა და ელიაშვილების დაკავების შემდეგ პოლიციამ ამირან ტატუაშვილი დააკავა, რომლის ავტოფარეხშიც გატაცებული ავტომანქანა "ბმვ" იყო გადამალული.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქალაქო სასამართლომ გუშინ ყოფილი პოლიტპატიმრის მარიკა ბაღდავაძისა და სახალხო დამცველის სოზარ სუბარის სასამართლო დავის განხილვა დაიწყო. მოსარჩელე - სახალხო დამცველის აპარატის წერილებისა და საჩივრების განყოფილების უფროსი მარიკა ბაღდავაძე სოზარ სუბარისგან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. როგორც ბაღადავაძე განმარტავს, სახალხო დამცველმა ის 1 თებერვალს, ქმედითუუნარობის საფუძველით, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა, რის გამოც მას მორალური ზიანი მიადგა და ჯანმრთელობა გაუუარესდა. გათავისუფლების შესახებ სახალხო დამცველის ბრძანების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ომბუდსმენის აპარატის წერილებისა და საჩივრების განყოფილების ყოფილმა უფროსმა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას მიმართა. პროცესებზე ბაღდავაძის წარმომადგენლად "ეროვნული მოძრაობის" წევრი მამუკა გიორგაძე გამოდის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 25-26 ივნისს სამოსამართლეო სწავლების ცენტრში, მოსამართლის თანაშემწეებისთვის სემინარი ჩატარდება. სემინარი სამოქალაქო სამართლის პრობლემურ საკითხებს შეეხება. შეხვედრაზე მიწვეულები არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მარიკა ცოსკაძე და საოლქო სასამართლოს მოსამართლე მადი ჩანტლაძე. სემინარს, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება, ოცამდე მოსამართლის თანაშემწე დაესწრება. **ჯი-ეიჩ-ენ**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი გამოაცხადა და განცხადებების მიღება დაიწყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივის ვალერი ცერცვაძის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოში -9, საოლქო სასამართლოში კი 4 ვაკანსიაა. კონკურსი გამოცხადებულია,აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საოლქო და პირველი ინსტანციის სასამართლოების 40 მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსის გავლის შემდეგ მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაამტკიცებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის პოლიციიამ და უშიშროების სამსახურმა დააკავეს პიროვნება, რომელიც ხუთშაბათს მთავრობის შენობაში არსებული ნაღმის შესახებ იუწყებოდა. ამის შესახებ სააგენტო "მედიამაქსი" იტყობინება. სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის მონაცემებით, ცრუ სატელეფონო ზარის ავტორი ორჯერ ნასამართლევი, გაუწონასწორებელი პიროვნება აღმოჩნდა. გასულ ხუთშაბათს სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის მისაღებში ანონიმური სატელეფონო ზარით შეტყობინება მოხდა მთავრობის შენობაში ბომბის არსებობის შესახებ. ასაფეთქებელი მოწყობილობის პოვნა ვერ მოხერხდა - ზარი ცრუ აღმოჩნდა. **პრაიმ-ნიუსი**



## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" შენობის ხელი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივები საქართველოში

ქეთინო ერემაძე
იურისტი



ზაურ გოლუაშვილის ფოტო

საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შემოღებას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე - მოწინააღმდეგეები. შეხედულებათა ეს კონფლიქტი არ არის უსაფუძვლო, რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა ერთდროულად იჩენს თავს და თითოეულ მათგანზე ერთადერთი სწორი პასუხი უნდა მოიძებნოს. ჩვენი აზრით, პირველ რიგში მაინც შემდეგ საკითხში გარკვევა გვევალება: ბიკამერალიზმის (ორპალატიანი პარლამენტის) შემოღება საქართველოსთვის რიგი პრობლემების დროული და ეფექტური გადაწყვეტისთვის სასურველი მექანიზმია თუ იმავდროულად ვალდებულებაც. შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს ორ ძირითად კითხვას: საქართველოს პარლამენტი უნდა იყოს ორპალატიანი? საერთოდ გვჭირდება კი ბიკამერალიზმზე გადასვლა - კონკრეტულად რა პრობლემების გადაწყვეტას შეუწყობს ეს ხელს?

ამ ძირითად საკითხებზე სწორი და მყარი პოზიციის ჩამოყალიბების შემდეგ ექნება აზრი სხვა ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების გაცემას, როგორებიცაა: როგორ უნდა მოხდეს ზედა პალატის ფორმირება? როგორ უნდა განაწილდეს ფუნქციები პალატებს შორის? სუსტი თუ ძლიერი ზედა პალატა გვჭირდება და მრავალი სხვა საკითხი, რომელთა გონივრულად გადაწყვეტა განაპირობებს ორპალატიანი ლეგისლატურის ეფექტურობას და მისგან სასურველი შედეგის მიღებას.

პასუხი კითხვაზე - საქართველოს პარლამენტი უნდა შედგებოდეს თუ არა ორი პალატისგან, ერთი მხრივ, ცალსახაა: ბიკამერალიზმსა და მონოკამერალიზმს (ერთპალატიან პარლამენტს) შორის არჩევანი პირველის სასარგებლოდ თავად საქართველოს კონსტიტუციამ გააკეთა, რომლითაც გათვალისწინებულია საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შემოღების ვალდებულება. თუმცა, აქვე ჩნდება კითხვა - როდის უნდა შესრულდეს ეს ვალდებულება, დაუყოვნებლივ თუ ორპალატიანი ლეგისლატურის ქმედითობის უზრუნველყოფისთვის გარკვეული მომზადება და დრო გვჭირდება?

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა - რესპუბლიკის საბჭო და სენატი". ანუ ორპალატიანი პარლამენტის შემოღებამდე ხელისუფლებამ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა გადაწყვიტოს - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: 1. შექმნას შესაბამისი პირობები; 2 უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება.

იმავდროულად, კონსტიტუცია არ თუ ვერ აკონკრეტებს, რა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შექმნილ "შესაბამის პირობებად". ზოგად წარმოდგენას "შესაბამისი პირობების" თაობაზე გვაძლევს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად: "სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან." ამ ნორმიდან გამომდინარე, ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ "შესაბამის პირობებში" აუცილებლად იგულისხმება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, უკლებლივ ყველა ტერიტორიულ ერთეულში, მათ შორის ავტონომიურ რესპუბლიკებში, არჩევნების რეალურად ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლებას აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოს: 1) არჩევნების რეალურად ჩატარების შესაძლებლობა; 2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება; 3) ზემოაღნიშნული ორივე პირობის შესრულების შემდეგ ორპალატიანი პარლამენტის არჩევა მთელი ქვეყნის მოსახლეობის მონაწილეობით.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, დღეს არც უნდა იხილებოდეს საკითხი - საქართველოს პარლამენტი უნდა იყოს თუ არა ორპალატიანი. ისევე, როგორც ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რა ძირითადი პირობების შესრულების შემდეგ უნდა გადავიდეთ ბიკამერალიზმზე.

ამასთან დაკავშირებით, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციაში ზემოაღნიშნული ჩანაწერის არსებობის პირობებში, პოლიტიკოსთა ნაწილის დაჟინებული მოთხოვნა ბიკამერალიზმზე დაუყოვნებლივ გადასვლის თაობაზე, იურიდიულად გაუმართლებელი და არასწორია. თავისთავად ორპალატიანი პარლამენტის დროულად შემოღებას არაერთი უპირატესობა აქვს, მაგრამ ამისთვის ან კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები უნდა შესრულდეს დროულად ან თავად ეს ნორმა უნდა შეიცვალოს.

ჩვენი აზრით, საჭიროა გავერკვეთ იმაშიც, გვჭირდება კი კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შეცვლა და კონკრეტულად რა უნდა შევცვალოთ მასში: ბიკამერალიზმზე უარი უნდა ვთქვათ თუ ორპალატიანობაზე გადასვლა არ უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან? ამ საკითხში გარკვევისთვის აუცილებელია შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა - რისთვის, რა პრობლემების გადაწყვეტისთვის გვჭირდება ბიკამერალიზმი, რა რეალურ შედეგებს ველით მისგან? ამისთვის კი შევეცდებით მოკლედ გავაანალიზოთ ბიკამერალიზმის უპირატესობანი.

1) ბიკამერალიზმის უმთავრესი დანიშნულება არის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთელი მოსახლეობის წარმომადგენლობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა.

კანონები - ეს არის ქცევის წესები ყველასათვის. ისინი არ შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების ერთი რომელიმე ნაწილის ინტერესებს და უგულვებელყოფდეს სხვის ინტერესებს. ეს ბუნებრივია ეხება რეგიონალურ ჯგუფებსაც. ზუსტად რეგიონის მოსახლეობის საერთო ინტერესები უნდა ახდენდეს გავლენას ისეთ გადაწყვეტილებებზე, როგორსაც ჰქვია მთელი ქვეყნისთვის მიღებული კანონები. სად არის ამის უკეთესი შესაძლებლობა - ერთპალატიან თუ ორპალატიან პარლამენტში?

ორპალატიანი პარლამენტი რეგიონების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისთვის დამატებით გარანტიას წარმოადგენს: საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატა, როგორც წესი, შედგება ქვეყნის მთელი მოსახლეობის, მათ შორის რეგიონების მოსახლეობის მიერ არჩეული წევრებისგან, ამასთან, რეგიონებს ზედა პალატაშიც ეძლევათ დამატებითი შესაძლებლობა საკუთარი წარმომადგენლობისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ საკითხზე პირდაპირ გავლენას ახდენს ის გარემოება, თუ როგორ, რა პრინციპზე დაყრდნობით ხდება ზედა პალატის ფორმირება.

ჩვენი აზრით, ზუსტად ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, ზედა პალატის ფორმირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით საკმაოდ კარგი საფუძველია შექმნილი. როგორც ზევით აღვნიშნეთ, სენატი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წევრებთან ერთად, უნდა შედგებოდეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისგან. ბუნებრივია, ბიკამერალიზმისგან სასურველი შედეგის მისაღებად ეს ჩანაწერი არ არის საკმარისი. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება - როგორ განხორციელდება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რა წესით მოხდება ზედა პალატის არჩევა - პირდაპირი თუ არაპირდაპირი არჩევნების გზით, იქნება თანაბარი თუ პროპორციული წარმომადგენლობა, რამდენი დეპუტატით დაკომპლექტდება ზედა პალატა და ა.შ.

საინტერესოა, რა გარანტიები არსებობს დღეს საქართველოს ერთპალატიან პარლამენტში ქვეყნის მთელი ტერიტორიის მოსახლეობის წარმომადგენლობისთვის? აქედან გამომდინარე, რამდენად აქტუალური და საჭირო შეიძლება იყოს ორპალატიანი ლეგისლატურა?

1995 წლიდან მოყოლებული ყველა მოწვევის, მათ შორის 2004 წლის მოწვევის პარლამენტის, ფორმირება მოხდა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად - პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 დეპუტატით. საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, მათ შორის 10 - ქალაქ თბილისში და 75 - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. მაშასადამე, 85 საარჩევნო ოლქიდან აირჩევა 85 მაჟორიტარი დეპუტატი - თითო ოლქიდან თითო, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების თანაბარ წარმომადგენლობას.

ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია, როგორი იყო და არის ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან მიმართებით. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებდა 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების გაგრძელებას აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე.

ასეთი წესით აფხაზეთის დეპუტაცია უფლებამოსილებას ინარჩუნებდა 3 მოწვევის პარლამენტში.

2004 წლის 16 სექტემბერს პარლამენტმა "საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის შედეგად გააუქმა ზემოაღნიშნული ნორმა. 2004 წლის 10 აგვისტოს კი - მიიღო დადგენილება N352-რს "1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების არცნობის შესახებ".

იურიდიული თვალსაზრისით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება იყო სწორი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით არჩეული წევრებისგან. 4 წელი - ეს არის პარლამენტის უფლებამოსილების სრული ვადა, რაც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა შესაძლებლობას, პერიოდულად (4 წელიწადში ერთხელ) აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები - ესენი შეიძლება იყვნენ როგორც წინა მოწვევის პარლამენტში მათი რჩეულნი, ისე - სხვა პირები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში ეს პრინციპი ირღვეოდა როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩევლებთან, ისე - დეპუტაციასთან მიმართებით. ანუ ერთი მხრივ, ირღვეოდა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ოთხწლიანი პერიოდულობით განახლების პრინციპი (რადგან ეს არ ვრცელდებოდა აფხაზეთის დეპუტაციაზე), მეორე მხრივ კი ამომრჩეველს იურიდიულად არ ჰქონდა უფლება - ოთხ წელიწადში ერთხელ წარედგინა თავისი რჩეული საქართველოს პარლამენტში - 1992 წელს არჩეული დეპუტატები შესაძლოა აღარც პასუხობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ფაქტიურად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში არ გვყავს. ამასთან, ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნების ჩატარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის შემდეგ. ამ გარემოებას კი, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება ორპალატიან ლეგისლატურაზე გადასვლის ვალდებულებაც, რაც იქნება დამატებითი გარანტი საქართველოს ამ ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის საჭირო წარმომადგენლობისა და მათი ინტერესების ადექვატური გათვალისწინებისთვის.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონით კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "პარლამენტი შედგება ...... პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 პარლამენტის წევრისგან". კონსტიტუციის 1041 -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი 49-ე მუხლი ამოქმედდება საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.

უნდა აისახოს თუ არა ამ საკანონმდებლო ცვლილებებში, როგორ გადანაწილდება ადგილები ქვედა და ზედა პალატას შორის 150 კაციან პარლამენტში?

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის მორიგი (ან რიგგარეშე) არჩევნების დროისთვის იქნება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირობები მიღწეული ანუ შესაძლებელი იქნება თუ არა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარება. ასეთი შესაძლებლობის არარსებობისას, როგორც აღვნიშნეთ, ვერ გადავალთ ორპალატიან ლეგისლატურაზე და კვლავ ერთპალატიან პარლამენტს ავირჩევთ, რომელიც 150 კაცით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

ჩვენი აზრით, სასურველია, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანისას, კანონმდებელმა განსაზღვროს პარლამენტში 150 ადგილის განაწილების წესი 2 პალატას შორის. იმ შემთხვევაში კი, თუ შემდგომ (მორიგ ან რიგგარეშე) საპარლამენტო არჩევნებამდე კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირობები ვერ შესრულდება, საქართველოს საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულებებით უნდა განისაზღვროს ერთპალატიანი პარლამენტის 150 კაცით დაკომპლექტების წესი ორპალატიან ლეგისლატურაზე გადასვლის შესაძლებლობამდე. ამით ხაზგასმით მოხდება იმ გარემოების აქტუალიზება, რომ ერთპალატიანი პარლამენტი საქართველოში დროებითი მოვლენაა. ამასთან, ეს, ჩვენი აზრით, იქნება დამატებითი ფაქტორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ზრუნვისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელის სრულყოფილად გააზრებისთვის.

2) ბიკამერალიზმს ფედერალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად მიიჩნევენ. ასეთ შემთხვევებში ის, როგორც წესი, იქმნება ფედერაციის სუბიექტების ინტერესების ადექვატური წარმომადგენლობისთვის. ამ მიზეზით ფედერალურ სახელმწიფოს დიდ უმრავლესობას აქვს ორპალატიანი ლეგისლატურები. აქედან გამომდინარე, ბიკამერალიზმის შემოღება ხომ არ გვავალდებულებს გადავიდეთ ფედერალურ წყობაზეც? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. რა თქმა უნდა, საქართველოს ფედერალურ სახელმწიფოდ მოწყობა შესაძლებელია, (საქართველო იქნება ფედერალური თუ უნიტარული სახელმწიფო, ეს ცალკე მსჯელობის საკითხია და ასევე აქტუალური ჩვენთვის, თუმცა, წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად ამ საკითხზე კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბებას), მაგრამ ამის გაკეთება არ გვევალება ორპალატიანი ლეგისლატურის შემოღების უფლების მოპოვებისათვის.

ამ შემთხვევაში, საქმე არის არა ფედერალიზმსა თუ უნიტარიზმში, არამედ ზედა პალატის შემოღების ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებაში - საკანონმდებლო ორგანოში მაქსიმალურად იყოს წარმოდგენილი ქვეყნის მთელი მოსახლეობის, მისი ყველა ჯგუფის ინტერესები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბიკამერალიზმი ვერ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ფედერალიზმის დამახასიათებელი. არსებობს უნიტარული სახელმწიფოები ავტონომიური ერთეულებით, დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხის მქონე ტერიტორიული ერთეულებით. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში დგება აუცილებლობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სათანადო დოზით წარმომადგენლობის უზრუნველყოფის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინაე, საქართველოში ბიკამერალიზმზე გადასვლისთვის დამაბრკოლებელ გარემოებად არ შეიძლება იქცეს ის გარემოება, თუ საბოლოოდ როგორ გადაწყდება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო იქნება უნიტარული თუ ფედერაციული სახელმწიფო, ბიკამერალიზმზე გადასვლა, ხელს შეუწყობს ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურ წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში.

3) ბიკამერალიზმის უპირატესობად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ ის უკეთ უზრუნველყოფს საკანონმდებლო საქმიანობის მაღალ ხარისხს.

ხშირად კანონები, რომლებიც ერთპალატიან პარლამენტში მკვეთრი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მიიღება, წარმოადგენენ იძულებითი კომპრომისების შედეგს. დეპუტატთა ხმების საჭირო რაოდენობის მისაღებად, კანონპროექტები პირველი მოსმენიდან კანონის გამოქვეყნებამდე განიცდის უამრავ შესწორებას, ამასთან, ხშირად ეს ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სპონტანური მოთხოვნილებების ინტერესებში. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დოკუმენტის ლოგიკურ ან იურიდიულ მხარეზე საუბარი ზედმეტია. ასეთ ფონზე გასაკვირიც არაა, რომ ეს კანონები ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში შესვლამდე საჭიროებს ცვლილებებს. სამწუხაროდ ამის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჩვენც გაგვაჩნია. ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება დადებითად არ აისახება კონკრეტული ადამიანების ბედზე, მთლიანად საზოგადოებაზე და სახელმწიფოს ავტორიტეტზე.

ამ მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, დადებითი როლი შეიძლება შეასრულოს ზედა პალატამ. გამომდინარე იქედან, რომ მისი წევრობა უფრო მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მოითხოვს, აქ ხდება განსაკუთრებული ცოდნის, პოლიტიკური და პროფესიული გამოცდილების თავმოყრა, შეჯერება. გარდა ამისა, ზედა პალატა არ არის იმდენად დატვირთული პოლიტიკური მუხტით და შესაბამისად, უნარიანია უფრო ღრმად, საფუძვლიანად და ობიექტურად განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები. ე.წ. "მსჯელობისა და ანალიზის" პალატა უზრუნველყოფს კანონპროექტის დეტალურ, ზედმიწევნით დამუშავებას, რაც აუმჯობესებს მის ხარისხს; ზედა პალატა ასწორებს ქვედა პალატის შეცდომებს, დაჩქარებულ, ემოციურ გადაწყვეტილებებს.

4) ხშირად კონსტიტუციური სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში გამოითქმის სკეპტიკური მოსაზრებები და შეფასებები ბიკამერალიზმის პერსპექტივებზე. ამ სკეპტიციზმს აქვს თავისი მიზეზები, რომელთაგან ძირითადი არის ზედა პალატების არაეფექტური ფუნქციონირება, პოტენციალის არასრული გამოყენება.

თუმცა, რამდენად ეფექტურად ხდება ორპალატიანობის პოტენციალის რეალიზება, ბუნებრივია, კონკრეტული ქვეყნის ინდივიდუალური პრობლემაა და არავითარ შემთხვევაში კანონზომიერება. ზუსტად ამაზეა დამოკიდებული არა მარტო პარლამენტარიზმის, არამედ დემოკრატიის შემდგომი განვითარებაც. ვფიქრობთ, ბიკამერალიზმის პოტენციალის არასრული რეალიზება ამა თუ იმ სახელმწიფოში, არ უნდა ჩაითვალოს თავად ბიკამერალიზმის ნაკლად.

5) ბიკამერალიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი კანონზომიერება: ორპალატიან პარლამენტზე მოთხოვნილება არის იქ, სადაც უპირატესობას ანიჭებენ კონსენსუსს, ინტერესთა შეთანხმებას და შედეგად ერთიანი, საერთო გადაწყვეტილებების მიღებას. სამწუხაროდ, პოსტკომუნისტურ სამყაროში ასეთი კულტურა ჯერ არ არის და ამიტომ ორპალატიანობა აქ არ იძენს ფართო გავრცელებას. თანამედროვე ბიკამერალიზმის პარადოქსი ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ მისი პოზიციები მყარია იქ, სადაც ის განსაკუთრებით არც არის საჭირო, ანუ სახელმწიფოებში სტაბილური პოლიტიკური სისტემებით. ხოლო იქ, სადაც ასეთი ინსტიტუტი მეტად სასარგებლო იქნებოდა, ძირითადად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, სადაც კომპრომისისა და დიალოგის კულტურა განუვითარებელია - უმცირესობის პალატები თითქმის არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

საქართველოში ორპალატიანი ლეგისლატურა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ხელისუფლებაში დემოკრატიული ტენდენციების დინამიზმს. მთავარია, ბიკამერალიზმთან დაკავშირებული ყველა საკითხის დეტალური გაანალიზება და გონივრული, სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მიგვაჩნია, რომ ბიკამერალიზმზე უნდა გადავიდეთ ზუსტად კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორპალატიანი ლეგისლატურის შემოღება იქნება დემოკრატიულობის კიდევ ერთი ვიზუალური გამოხატულება, რომელსაც არცერთ შემთხვევაში არ ექნება ის შედეგი, რაც რეალურად გვჭირდება ორპალატიანობისგან - პირველ რიგში, ქვეყნის მთელი ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესების ადექვატური წარმომადგენლობა. ამიტომ ხელისუფლებას ბიკამერალიზმზე მსჯელობის უფლების მოპოვებისთვის საკმაოდ სერიოზული ვალდებულებები აქვს შესასრულებელი.

ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს ბიკამერალიზმზე გადასვლისთვის სათანადო, სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის მომზადებაზე ზრუნვას. ეს პროცესი, ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. გადასაწყვეტია უამრავი სადავო და პრობლემური საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ზედა პალატის ფორმირების წესი, ადგილების განაწილება პალატებს შორის, ზედა პალატის უფლებამოსილების მოცულობა, და მრავალი სხვა, რაც საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტატუსსა და პოლიტიკურ წონაზე.

**Барышня крестьянка**



B2

ნაომი კემპბელი მეექვსედ



B3

კორნელიას გაარჩია!



B6


# ვიქეიფოთ და გავიხსენოთ საქართველო

## ქართული სამზარეულოს ფესტივალზე მონადირეებმა გაიმარჯვეს

ია ვეკუა

ეს უკანასკნელი აუცილებლობა თითქმის ყველა კონკურსანტმა ბეჯითად შეასრულა და საკუთარ ფანტაზიას ყველანაირი საზღვარი და ჩარჩო ხელის ერთი მოსმით წაუშალა. დარბაზში ერთმანეთის მიყოლებით შემოჰქონდათ მწვანილის მდელოზე "წამოწოლილი" შებრაწული ბატკანი, ურემზე დამონტაჟებულ მომცრო თონეში ჩაწყობილი კეცები თუ უკვე ნახსენები საიდუმლო სოუსის "ტბაში" მოცურავე პატარძალივით მორთული ზუთხი. ზოგი რესტორანი ზედმეტადაც გაისარჯა და საფირმო კერძებს საფირმო ცეკვებით ეგებებოდა.

ვინაიდან "არაგვში" გაშლილ კოლექტიურ სუფრას ქართული სამზარეულოს ფესტივალი ერქვა, სულ მალე ღონისძიება მხოლოდ ქართველებისთვის დამახასიათებელი წესებით წარიმართა: სუფრები აირია, გაერთიანდა, აქა-იქ ჭურჭელიც დაიმტვრა. მერე კი საიდანღაც ბაფთიანი გიტარა გაჩნდა, რომელიც ხან თავის ძირითად მოვალეობას ასრულებდა, ხანაც დოლის ფუნქციებს ითავსებდა.

ამ ყველაფერს "ქართული ხმებისა" და "ფესვების" სიმღერა ახლდა, რასაც რამდენიმე უცხოელი სტუმრის გაოცებული და, ამავდროულად, გამაძღარი მზერაც ემატებოდა. სხვათა შორის, ამ კატეგორიის სტუმრები ნებისმიერ ფასად ცდილობდნენ ქართულ ტრადიციულ სუფრაზე მოხვედრილიყვნენ და გვერდს უქცევდნენ ათასგვარი ეგზოტიკური ნუგბარით დატვირთულ აზიური თუ ევროპული რესტორნების მაგიდებს.

ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში მაინც ფესტივალის ჟიური აღმოჩნდა, რადგან მსოფლიოში საუკეთესო სამზარეულოს მქონე ქვეყნის საუკეთესო რესტორნების საუკეთესო კერძები, სწორედ, მათ მაგიდაზე ხვდებოდა. ისინიც ნება-ნება აგემოვნებდნენ ამ კულინარიულ შედევრებს და დასკვნებს საიდუმლო დავთარში ინიშნავდნენ. ჟიურიში ოთხი უცხოელი და ერთი ქართველი შეფ-მზარეული შედიოდა.

როდესაც ქეიფმა კულმინაციას მიაღწია, ღვინო ბოლომდე დაილია და ანსამბლებმაც რეპერტუარი ამოწურეს, ჟიურიმ შედეგები გამოამზეურა: საუკეთესო სერვირებისთვის "მონადირე" დაჯილდოვდა, თემატური სუფრის ნომინაციაში გამარჯვებულად რესტორანი "ქართული" დასახელდა, ხოლო "სონეტი" საუკეთესო სუფრისთვის აღიარეს. ეს უკანასკნელი პროექტ "გავიხსენოთ საქართველოსა" და კომპანია "თელიანი ველის" რჩეულიც გახდა.

წლის საუკეთესო რესტორნის წოდება კი "მონადირემ" მოიპოვა, რომელიც ქეიფის დაწყებამდეც იქცევდა ყურადღებას როგორც სუფრის ორიგინალური გაწყობით, ისე მენიუს მრავალფეროვნებითა და ეგზოტიკით.

### ვისაც საქართველოს გახსენება უნდა

როგორც აღინიშნა, ქართული სამზარეულოს ფესტივალი პროექტს "გავიხსენოთ საქართველოს" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ქართული სამზარეულოს ფესტივალის მსგავსად, ამ პროექტსაც შემოქმედებითი გაერთიანება "ეს საქართველოა" წარმოგვიდგენს (პროექტის ხელმძღვანელია მამუკა არეშიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი მერაბ კოკოჩაშვილი, ხოლო სასცენარო ჯგუფზე პასუხისმგებელი კოტე ჯანდიერია).

პროექტი ორწლიანია და ამ დროის განმავლობაში საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმის შექმნას ითვალისწინებს. როგორც მისი ორგანიზატორები ირწმუნებიან, ეს იქნება სრულყოფილი ფილმების კრებული, რომელიც ჩვენი ქვეყნის შესახებ ყველაზე საინტერესო თემების, ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ მოგვითხრობს. თუ ამ მარტივ და ზოგად ჩამონათვალს გავითვალისწინებთ, მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საფუძველი რჩება - პროექტი საქართველოს ისტორიის, კულტურისა და პერსპექტივების მსოფლიოსთვის გაცნობასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

მსგავსი სურვილით ადრეც არა ერთი კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაცია ანთებულა, ამ საქმისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერაც მოუპოვებია და, როგორც ირწმუნებიან, მუშაობაც დაუწყიათ, მაგრამ ამ მცდელობების შედეგი, ალბათ, მხოლოდ საკუთარი თავის საამებლად გამართულ ოჯახურ კინოსეანსებზე თუ უნახავთ. კავშირი "ეს საქართველოა" კი საკუთარი თავის მიმართ იმდენად პრეტენზიულია, რომ მომავალ კინოპროდუქციას BBC-სა და Discovery-ს გარდა, ალბათ, არც ერთ სხვა არხს არ გააკარებს. ასეთ ტელედინოზავრებთან თანამშრომლობის სურვილი კი იმთავითვე ცხადყოფს, რომ ფილმების შინაარსობრივი და ტექნიკური ხარისხი შეფასებათა ათბალიანი სისტემის ზედა საფეხურებზე განთავსდება.

პროექტის შესახებ საზოგადოებამ ამა წლის მარტში შეიტყო, როდესაც მისი პრეზენტაცია საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა. იმავე დღეებში პრესის საშუალებით გამოქვეყნდა პროექტის ეგიდით გასახორციელებელი თემების ჩამონათვალი და ზოგადი პირობები. შემოვიდა ასამდე განაცხადი, რომელთა ავტორები რეჟისორები, სცენარისტები, მეცნიერები და სხვა პარალელური პროფესიების წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის არიან: ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ნანა ჯანელიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, რეზო ესაძე, რეზო ჩხეიძე, ნოდარ მანაგაძე, ნანა ჯორჯაძე, თემურ ბაბლუანი, ბუბა ხოტივარი, მიხეილ კალატოზიშვილი და დიტო ცინცაძე.

საუკეთესო პროექტები "ეს საქართველოს" სამხატვრო საბჭომ გადაარჩია (მის შემადგენლობაში შედიან მერაბ კოკოჩაშვილი, კოტე ჯანდიერი, ნუგზარ შატაიძე, ნანა დევადრიანი, ლევან პატარაია და სხვები) და საბოლოო ვერდიქტისთვის ინვესტორს გადაუგზავნა.



"მონადირე" ფესტივალის საუკეთესო რესტორანია.



ჟიური სერვირებას ამოწმებს.



გოგიტა ბაბაიძის ფოტოები

ერთ-ერთი საფირმო კერძი.

### ამერიკელები

ამ უკანასკნელს, ანუ პროექტის ძირითად მამოძრავებელ ძალას, ამერიკული საპროდიუსერო კომპანია წარმოადგენს. მის შესახებ "ეს საქართველოას" კულუარებში მხოლოდ იმის გაგებაა შესაძლებელი, რომ რუსული წარმოშობის ებრაელების კომპანიაა და რუსულ ტელებაზარზე არაერთი სერიალის შექმნაში მიუღია მონაწილეობა. მათი პროექტში მონაწილეობა მხოლოდ ფინანსური დაინტერესებითაა განპირობებული, რადგან მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ გადაღებული დოკუმენტური სერიალი კარგი კაპიტალდაბანდებაა.

ინვესტორის, ისევე როგორც პროექტის ავტორების სამიზნე მსოფლიოში ცნობილი შემეცნებით-გასართობი ფორმატის მქონე ტელეარხებია - BBC, Discovery, National Geographic, Travel Channel, History Channel და სხვა. ცხადია, ამ ფილმების ნახვის საშუალება მხოლოდ საკაბელო ტელევიზიებით განებივრებულ მაყურებელს არ ექნება და მათ თვალს სამამულო არხების დამჭერი ანტენების მქონე მოქალაქეებიც შეავლებენ. მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს რომელიმე ქართული არხიც გაიხსენებს.

ამერიკიდან დადებითი პასუხი, ამ ეტაპზე, მხოლოდ 18 ფილმზე მოვიდა, რომელთა გადაღება წელს უნდა დასრულდეს. მომავალი წლის გეგმა, ჯერ კიდევ, დამუშავების პროცესშია და, შესაძლოა, ფილმების რაოდენობამ 50 მიაღწიოს. სხვათაშორის, ინვესტორმა რამდენიმე საინტერესო თემაც დაიწუნა (მაგალითად, საქართველო მსოფლიო რუკაზე), რადგან კომერციული თვალსაზრისით არამომგებიანად მიიჩნია.

### 26 წუთი

თითოეული სერიის ხანგრძლივობა მკაცრადაა განსაზღვრული - მათი ქრონომეტრაჟი 26 წუთს არ უნდა აღემატებოდეს (ერთადერთი გამონაკლისი თამარ მეფის შესახებ სერიასთან დაკავშირებით დაუშვეს, იგი თემის მასშტაბურობის გამო 52-წუთიანი იქნება). ფილმი კონკრეტული თემის შესახებ მეტნაკლებად სრულყოფილ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. შესაძლებელია, მოვლენასთან დაკავშირებული რამდენიმე ვერსიის განხილვა, ნაკლებად ცნობილი და სადავო ვარაუდების გამოთქმა და მათი დაპირისპირება. უმეტეს შემთხვევაში დასკვნას მაყურებელი გააკეთებს, რაც პროექტში საზოგადოების ჩართვის ერთ-ერთი გზაა.

იმისთვის, რომ პროექტს მეტი დამაჯერებლობა ჰქონდეს და მოსალოდნელი კრიტიკა იმთავითვე თავიდან აიცილონ, მისმა ავტორებმა კონსულტანტების ჯგუფი შექმნეს. მის შემადგენლობაში შედიან ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ენათმეცნიერები, ეთნოკულტუროლოგები და სხვა სფეროს წარმომადგენლები. სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფს ხელმძღვანელობენ ზაზა აბაშიძე და ლია მელიქიშვილი.

მეცნიერული სიზუსტის გარდა უცხოელ მაყურებელს, ალბათ, ფილმების ტექნიკური მხარეც აინტერესებს. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, საქართველოში არსებობს იმ დონისა და რაოდენობის აპარატურა, რომ პარალელურად ოთხი გადაღება აწარმოონ. ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას ახალი ტექნიკის შეძენის საკითხი, თუმცა პროექტის მასშტაბის გაზრდა, სავარაუდოდ, ამასაც მოითხოვს. ამ საკითხზე კი კვლავ ინვესტორი იზრუნებს, ისევე როგორც ფილმის რეკლამირებასა და დისტრიბუციაზე.

### ვიზირებულები

რამდენიმე დღის წინ კუსტბის მიმდებარე ტერიტორიაზე რეჟისორმა ირაკლი მახარაძემ გადამღებ ჯგუფთან ერთად ცხენების მოკრძალებული რემა და საუკუნის წინანდელი გურული მხედრების ამუნიციაში გამოწყობილი მსახიობები აიყვანა. თუმცა იქვე ისიც იგრძნობოდა, რომ საქმე სულაც არ გვქონდა წმინდა ქართულ მოვლენასთან - ირგვლივ ქანთრის ჰანგები ისმოდა. საქართველოში ველური დასავლეთის საუკეთესო მცოდნედ აღიარებული რეჟისორი პროექტის პირველ ფილმს "ცხენი და ცხენოსნობა საქართველოში" იღებდა.

მახარაძის ფილმი ერთადერთია, რომელიც უკვე წარმოებაში ჩაუშვეს. კამერის წინ გაცოცხლებისთვის წელს შემდეგი სერიები მზადდება:

ქართულ სამზარეულოს ერთბაშად ოთხი ფილმი მიეძღვნება, რომლებიც დასავლურ, აღმოსავლურ, მთისა და თბილისურ სამზარეულოზე მოგვითხრობს. "სუფრულ კვარტეტს" რეჟისორი ნოდარ მანაგაძე იღებს (მის ფილმში გუშინდელი ფესტივალის კადრებიც შევა). თამარ მეფის 52-წუთიან ტელეისტორიას ბუბა ხოტივარი შეექიდა. მიხო ბორაშვილი მთისკენ გაეშურება და სწორფრობისა და წანლობის საიდუმლოზე მოგვითხრობს, მერაბ კოკოჩაშვილი კი დროის მანქანას აამუშავებს და ძველი თბილისის კოლორიტებს - კინტოებსა და ყარაჩოხლებს გააცოცხლებს. საკუთარი მისია აქვს ზაზა ურუშაძესაც, იგი ქართული პურის, მასთან დაკავშირებული რიტუალების, სიმღერებისა და სხვა ტრადიციების გახსენებით დაკავდება.

ქართული მისტიკის ტელეეკრანზე გაცოცხლების მისია საკუთარ თავზე გოდერძი ჩოხელმა და გიორგი ოვაშვილმა აიღეს. პირველი გუდამაყარში, ფშავსა და ხევსურეთში შემორჩენილ ტრადიციას გაიხსენებს, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილის ცხენი დოღში მონაწილეობს, ხოლო მეორე ქართული მითოლოგიის ქალი დემონების შესახებ მოგვითხრობს. დაახლოებით იმავე ჟანრში გაირჯება გიორგი შალუტაშვილი. იგი ერთდროულად ორ ფილმს გადაიღებს - რიტუალებზე, რომელთა დახმარებითაც თუში ქალები მამაკაცების კეთილგანწყობას მოიპოვებენ და იმავე კუთხის ტრადიციულ შაფურთობის რიტუალზე. ყველაზე ქართული ცხოველის - კავკასიური ნაგაზის ისტორიას ლევან ანჯაფარიძე გადაიღებს, ხოლო სანდრო ვახტანგოვი არქეოასტროლოგიაში გადაიჭრება და "ცით მოჯადოებულს" ჩვეული ხელწერით შექმნის.

საკუთარი ადგილი ეთმობა საქართველოს უახლეს ისტორიას. "აგენტი", რომელსაც ნანა ჯანელიძე გადაიღებს, დეტექტური ჟანრის სერია იქნება. სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელიც იყო, რადგან ფილმი ყველაზე იდუმალი ადამიანის - ლავრენტი ბერიას შესახებ მოგვითხრობს. საკუთარი პროექტი აქვს ტელეჟურნალისტ თომა ჩაგელიშვილსაც. იგი "რკინის სახკომის", სერგო ორჯონიკიძის, ასევე იდუმალ ცხოვრებას შეკრავს.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ნანა ჯანელიძე
"საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თეატრი ათონელზე**
პრემიერა
სლავომირ მროჟეკი
"ემიგრანტები"
რეჟისორი: ი. აფაქიძე
დას: 19:00 სთ.

## გამოფენები

**ბავშვთა სურათების გალერეა**
ცისანა ბაღდავაძის (12 წლის) ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**ვერნისაჟი**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

**ბაიას გალერეა**
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების
გამოფენა "ცისარტყელა"

**ჰობი**
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სანდრო ანთაძის ნამუშევართა გამოფენა
(ფერწერა)

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ნიუ არტი**
კოტე მინდაძე
"ინფრაწითელი შოუ"

**ბავშვთა სურათების გალერეა**
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა

**ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე**
**რეწვის ფესტივალი "არტ-გენი"**
სტუმრები დუშეთიდან, კახეთიდან, იმერეთიდან
დას: 20:00 სთ.

თეატრი "ნაბადი"
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## რეწვის ფესტივალი "არტ-გენი" ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე 20-26 ივნისი

**25 ივნისი**
სტუმრები დუშეთიდან, კახეთიდან, იმერეთიდან
დას: 20:00 სთ.

თეატრი "ნაბადი"
დას: 22:00 სთ.

**26 ივნისი**
სტუმრები იმერეთიდან
დას: 22:00 სთ.

"სუხიშვილები"
დას: 22:00 სთ.

# ცუდად დავიწყებული ძველი

სოფიო თოდუა

ემიგრანტების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, აწუხებთ. გასული საუკუნის 20-იან წლებში ამიერკავკასიის გასაბჭოებამ ქართველები უცხოეთში გადახვეწა და საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთმანეთზე განაწყენებულები ხუთივე კონტინენტზე მომოიფანტნენ. სტატისტიკურ მონაცემებს თუ ვენდობით, დღეს ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით ერთი მილიონი საზღვარგარეთ საშოვარზეა წასული და, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნებას არ ჩქარობს. გაუცხოების სინდრომი, როგორც ჩანს, არც ამჟამინდელი ემიგრანტებისთვისაა უცხო, ოღონდ ეგაა, მაღალი იდეალებისთვის არავის სცხელა და დიდ პოლიტიკას სოციალური ფონი ენაცვლება.

"ემიგრანტები" - ასე ჰქვია სლავომირ მროჟეკის პიესას, რომლის ქართული ვარიანტი ასევე ემიგრანტმა მსახიობმა (ახლა უკვე რეჟისორმა) ირაკლი აფაქიძემ წარმოადგინა ათონელის ქუჩაზე. ალბათ არ ღირს იმის კვლევა, რას გაექცა რამდენიმე წლის წინ ირაკლი აფაქიძე ან რამ აიძულა თავის დროზე პოლონელი დრამატურგი სამშობლო დაეტოვებინა. ირაკლი აფაქიძეს აქ, სამშობლოში, როგორც მსახიობს ისე ვინობდით; იქ, ჰოლანდიაში, როგორც ჩანს, მსახიობის კარიერამ აღარ დააკმაყოფილა და რეჟისორის ამპლუაში უკვე მეორე სპექტაკლის დადგმა მოასწრო. რაც შეეხება თავად მროჟეკს, ბეკეტის თანამედროვესა და აბსურდის თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელს, ეს მისი სრულიად განსხვავებული პიესაა. სხვათა შორის, ესეც ნიშანდობლივია - ყველა ემიგრანტი, ადრე თუ გვიან, ნოსტალგიის შემოტევას ერთგვარ ხარკს უხდის და ამ მეტად მტკივნეულ თემას თვისუფალი სამყაროს გადასახედიდან უფრო თამამად ეხმიანება.

როგორ უნდა მოიქცეს რეჟისორი, როცა საქმე აქვს ცნობილ დრამატურგთან და პიესაში მხოლოდ ორი პერსონაჟია? რა თქმა უნდა, კარგი მსახიობები უნდა შეარჩიოს. ამ დაუწერელ კანონს არც ირაკლი აფაქიძეც ღალატობს, ოღონდ ეგაა, მისი რეჟისურა დახვეწას მოითხოვს და სცენაზე გათამაშებულ სცენებშიც სწორედ მსახიობის (და არა რეჟისორის) ამბიცია იგრძნობა. მარტივად რომ ვთქვათ, პარტერში, რეჟისორის სავარძელში, მსახიობი ზის და ეს მსახიობი ყველა



სცენა სპექტაკლიდან.

იმ ოცნების ახდენაზე ფიქრობს, რასაც თავის დროზე პატივმოყვარე რეჟისორები ჭირვეულ, მაგრამ ნიჭიერ მსახიობებს უკრძალავდნენ. სამწუხაროდ, ამ პიესის გადმოქართულებული ვარიანტი (თარგმანი: ნ. ჭავჭავაძე, ი. აფაქიძე) ჩვენი პუბლიკისთვის კარგად ნაცნობი და უკვე მოყირჭებული ნიუანსებითაა დატვირთული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ინფორმაცია იქიდან აქ უფრო ნელა აღწევს, ვიდრე აქედან იქ. სხვაგვარად ემიგრანტი რეჟისორი აუცილებლად გაითვალისწინებდა, რომ ბოლო დროს ქართულმა თეატრმა ემიგრანტებისა და ლტოლვილების თემა ისეთი დოზით დააგემოვნა (მათ შორის ისეთ პიესებშიც, სადაც დრამატურგია ამის საშუალებას აშკარად არ იძლეოდა), რომ დღეს სარკაზმითა და იუმორით გაჯერებული დიალოგები მაყურებელზე ნაკლებად მოქმედებს. ამ ფონზე, ბუნებრივია, არ გაგვკვირვებია, რომ შოთა გლურჯიძის სცენოგრაფია ზედმიწევნით ასახავს იმ უბადრუკ თავშესაფრებს, ყოველი ნაბიჯზე რომ გვხვდება - იქნება ეს გავერანებული სასტუმრო, ამორტიზებული საავადმყოფო თუ სულაც რომელიმე კვლევითი ინსტიტუტი, სადაც კანალიზაციის მილები, კუთხეში მომოფანტული ძველი ჟურნალ-გაზეთები, გაცვეთილი ჩემოდნები თუ იაფფასიანი პლაკატებით დაფარული ჩამონგრეული კედლები ინტერიერის განუყოფელი ატრიბუტებია. ოღონდ ეგაა, იქ, მოწესრიგებული დასავლეთში, სავარაუდოდ, ჰოლანდიაში, ასეთ გაუბედურებულ გარემოშიც კი ბუზები არ ჩანან, რაც უწესრიგო ქვეყნებიდან ჩასულ ემიგრანტებში ნოსტალგიის მძიმე განცდას ბადეს. სამაგიეროდ, იქაც, მოწესრიგებულ ევროპაში, მრავლად არიან ბოზები, მაგრამ რად გინდა, კახპებზე ფულის დახარჯვა მათთვის ფუფუნებაა და ისინიც წარმოსახვით იკმაყოფილებენ ვნებებს. მედიცინის ენაზე ამას სხვა სახელი ჰქვია, მაგრამ როცა თეატრთან გაქვს საქმე, უმჯობესია ასე ვთქვათ: თამამი რეჟისურა პლუს მსახიობების დახვეწილი პლასტიკა და ნატურალიზმის თავიდან აცილების მცდელობა.

რაც შეეხება ზურა ყიფშიძესა და გოგა პიპინაშვილს, უკვე ვიცით, თანაც, კარგა ხანია, რომ მათ არაფრის დამტკიცება აღარ სჭირდებათ, მათ შორის არც იმის, რომ თუ საჭირო გახდა, მასტერკლასების ჩატარებასაც იოლად შეძლებენ. სწორედ ასეთი მასტერკლასის მომსწრენი გავხდით ათონელის კამერულ სივრცეში. თემურ ჩხეიძის "არტის" შემდეგ ზურა ყიფშიძე სცენას პირველად უბრუნდება და ამჯერადაც ფსიქოპათ ინტელექტუალს თამაშობს. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ქართველმა რეჟისორებმა ბოლო დროს ამ უდავოდ ნიჭიერ მსახიობს, რომლის არაჩვეულებრივი სახეები კინოსა თუ თეატრში ჯერ კიდევ გვახსოვს, საბოლოო ვერდიქტი გამოუტანეს და მხოლოდ ისტერიული პერსონაჟების სათამაშოდ გაიმეტს. ისიც შესაშური მოთმინებით ემორჩილება რეჟისორების ნებას და ფსიქოპათების გალერეას ახალ-ახალი პორტრეტებით ავსებს. გოგა პიპინაშვილის შემთხვევაში საქმე ოდნავ სხვაგვარადაა, უფრო სწორად, არც ისე მძიმედაა, მაგრამ მისმა ხაზგასმით აღმოსავლურმა აქცენტმა მეც და სხვებსაც ერთი ფილმის ("გარიგება") სიმპათიური პერსონაჟი გაგვახსენა. მროჟეკის რა მოგახსენოთ, მაგრამ აფაქიძის ხეპრე ემიგრანტი იმ პერსონაჟის თანასოფლელი თუ არა, იმ კუთხის შვილი კი ნამდვილად უნდა იყოს.

კონფლიქტი სრულიად განსხვავებული ინტელექტის ორ პიროვნებას შორის, რომლებსაც ერთ ჭერქვეშ ყოფნა უწევთ, ყველგან და ყველა დროში გარადუვალია, მით უფრო - ემიგრაციაში. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რატომ გარბის სამშობლოდან და რას საქმიანობს. ხელმოცარული ინტელექტუალისთვის გაცილებით იოლია, საკუთარი ფიასკო უცხოობაში ყოფნით გაამართლოს და გულზე ხელდაკრეფილი ბედს შეეგუოს. წუწურაქ გლეხს ლირიკისთვის არ სცხელა, თუმცა, საბოლოოდ სხვაგან ყოფნა მასაც ხელს აძლევს - ბოლოს და ბოლოს, მეზობლებისა და ნათესავების გულის გასახეთქად დაგროვილი ფულის დახარჯვა აღარ მოუწევს და სიმწრით ნაშოვნი ევროები ისევ მუთაქაში დარჩება. გასათვალისწინებელი ნიუანსი: ეტყობა, ჰოლანდიაში მუთაქები არ იციან და ჭრელი კუპიურების დასტა სათამაშო ძაღლის უკანალში რჩება. ისინი, რასაკვირველია, სამშობლოში ვეღარ დაბრუნდებიან. და იცით რატომ? იმიტომ, რომ სინამდვილეში მათ ამის სურვილი დაეკარგათ. საკითხავია, ქართულ სცენაზე თუ გაბრწყინდება ხელახლა ფოიერვერკი, თავის დროზე მიხეილ თუმანიშვილმა და მისმა ნიჭიერმა მსახიობებმა რომ აანთეს? პიპინაშვილიცა და ყიფშიძეც სამართლიანად იმსახურებენ აპლოდისმენტებს, მაგრამ თუ გულწრფელები ვიქნებით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მაესტროს საყვარელი მსახიობებისთვის ეს განვლილი ეტაპია. ახლა ისეთ როლებზე მიდგა ჯერი, სიცოცხლეშივე სახელმოხვეჭილ მსახიობებს საბოლოოდ რომ უმკვიდრებს ადგილს ისტორიაში.

ამ სპექტაკლის პროდიუსერი და იმ ფოტოების ავტორი, რომელიც ჩვენს პუბლიკაციას ამშვენებს, მამუკა ხაზარაძე გახლავთ. შემეძლო მეფიქრა, რომ ამ პიესის დადგმა რეჟისორისა და ბიზნესმენის მეგობრობამ განაპირობა, მაგრამ საქართველოს პირველი ბანკირის ბოლოდროინდელი საქველმოქმედო აქციები საპირისპირო დასკვნებისკენ მიბიძგებს. ბოლოს და ბოლოს, სამშობლოდან გადახვეწილი ქართველების დაბრუნება, განურჩევლად იმისა, ვინ რეჟისორია და ვინ კურტნის მუშა, სერიოზული დივიდენდია სწორედ მათთვის, ვისაც ამ ქვეყნის გადარჩენა შეუძლია. ამიტომაც მგონია, რომ მალე ხაზარაძის ფინანსები ქართული კინემატოგრაფის პარალელურად ქართულ თეატრსაც დაეტყობა.

# Барышня крестьянка

## 21-ე საუკუნის ქართული პოდიუმის მორიგი ფავორიტი

ვერა ნეფარიძე

*ორთვიანი სტაჟირება სანატრელ სენ-მარტინის კოლეჯში; მონაწილეობა ტრადიციულ "რუსკი სილუეტზე" და "პრომოუშენი" ევროპული მოდის ინდუსტრიაში, - ამგვარად გაისტუმრა ხუთი დამწყები ქართველი დიზაინერი "მოდა XXI"-მ, დიზაინერთა ტრადიციულმა კონკურსმა, რომელიც გუშინ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ჰოლში დასრულდა.*

კონკურსს სხვა გამარჯვებულებიც ჰყავდა. კერძოდ: ცხრაკაციანმა ჟიურიმ, სადაც მოდის ქართველ ექსპერტებთან ერთად მათი უცხოელი კოლეგებიც შედიოდნენ, ძირითადი ნომინაციების გარდა, საუკეთესო ესკიზის ავტორი და საუკეთესო ორი მოდელი გამოავლინა. ფინალში გასული 20 დიზაინერიდან საუკეთესოთა შერჩევას ჟიურიმ დაახლოებით ნახევარსაათიანი თათბირი მოანდომა. რაც მთავარია, კომპეტენტურების გადაწყვეტილებას ოვაციებით შეხვდა პუბლიკა.

საქველმოქმედო ორგანიზაცია "ქალთა კლუბი მეტეხის" ტრადიციული კონკურსი წელს მეხუთედ გაიმართა. წლების განმავლობაში ეს არის ერთადერთი ღონისძიება დამწყები დიზაინერებისთვის, რომელიც შანსს აძლევს საუკეთესოებს (ყოველ შემთხვევაში, ჟიურის რჩეულებს) კარი შეაღონ მოდის საერთაშორისო ბიზნესში. ამ კონკურსიდან წლების განმავლობაში ქართველი ახალგაზრდები მონაწილეობენ მოსკოვის ტრადიციულ კონკურსზე "რუსკი სილუეტი" (კონკურსი ქართული ანალოგიის პარტნიორია); იგზავნებიან სტაჟირებებზე მოდის სხვადასხვა სასწავლებლებში. ამიტომაც "მოდა XXI"-ს ბედის საცდელად უამრავი დამწყები დიზაინერი მიმართავს; მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც რამდენიმეჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა კონკურსში. ამის მაგალითია წლევანდელი კონკურსის გრან-პრის მფლობელი, 25 წლის ლელა ელოშვილი რომელსაც ბედმა მეორე მცდელობაზე გაუღიმა: "მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ამ კოლეჯში სწავლაზე და ეს ნატვრა ამიხდა. ველარც ვლაპარაკობ სიხარულისგან, ძალიან მოულოდნელი იყო მართლა", - გვითხრა ჯერ კიდევ ეიფორიაში მყოფმა 25 წლის დიზაინერმა შედეგების გამოცხადების შემდეგ, როდესაც ზუსტად არც კი იცოდა, თუ რას ითვალისწინებდა ფრანგული კომპანია "ფეშენ გრუპის" წარმომადგენლის მიერ დაწესებული მეორე, სპეციალური პრიზი. "ვიცი, რომ ამით შესაძლებლობა მომეცემა, მონაწილეობა მივიღო საფრანგეთში ერთ-ერთ კონკურსში".

ლელა ელოშვილმა ორი პრიზი - მათ შორის, გრან-პრი აიღო და ამგვარად წლევანდელი კონკურსის ფავორიტად იქცა. თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის კონკურსზე წარმოდგენილი კოლექციის სახელი იყო **Барышня крестьянка** და როგორც ავტორმა გვითხრა, მასზე ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა.



კონკურსის ფავორიტს სოფო ჭყონია წარადგენს.



ზაურ გელაშვილის ფოტოები

კრისტოფ გიულარმი საკუთარი კოლექციით სალომე ღვინიაშვილთან ერთად.

კონკურსის ერთ-ერთი მთავარი პრიზი საუკეთესო ესკიზისთვის ნინო გურაბანიძეს ერგო კოლექციისთვის "ქაღალდის თოჯინები"; ოთხი საუკეთესო ფინალისტის წოდება, ვინც 2006 წლის "რუსკი სილუეტზე" გაიგზავნება, ერგოთ: ეკატერინე ხანდელაშვილს (კოლექცია: "განწყობა"), კვლავ ნინო გურაბანიძეს, ნელი მჭედლიშვილს (ოთხი სეზონი) და ვასილ ტაბატაძეს ("დენსინგ ინ ზი დარქ"). ჟიურიმ ქართული სააგენტოების: "ამსასა" და "ნატალის", ასევე უკრაინული "კარინის" მოდელებს შორის უპირატესობა "ნატალის" სალომე ღვინიაშვილსა და უკრაინელ სტუმარს, მის-უკრაინა 2003-ს, ინა ციმბერლიკს მიანიჭა.

ორგანიზატორების საუკეთესო გადაწყვეტილებად შემიძლია მივიჩნიო, ფრანკფურტიდან საგანგებოდ ჩვენებისთვის, ქორეოგრაფის - კევინ ოუქსის მოწვევა (იგი მეორედ იყო ამავე კონკურსის ქორეოგრაფი). ჩვენებას აშკარად ეტყობოდა პროფესიონალის ხელი, თუმცა ალბათ სასურველი იქნებოდა, სტუმარს მეტი დრო ჰქონოდა ქართველ მოდელებთან სამუშაოდ. თუმცა, ის თითო-ოროლა ლაფსუსი, რაც პოდიუმზე მოუხდათ გოგონებს, სერიოზულ ნაკლად არავის აღუქვამს, პირიქით, აუდიტორიას (მათ შორის, ორგანიზატორებსაც) სიხალისეს ჰმატებდა. მოწვეულ სტუმართაგან კონკურსის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალგაზრდა ფრანგი დიზაინერი კრისტოფ გიულარმი (ამბობენ, წელს კანში დიზაინერმა ფესტივალის ორგანიზატორებს ჩააცვა, რითაც კიდევ უფრო მოიხვეჭა სახელიო), რომელმაც გუშინ შედეგების გამოცხადებამდე საკუთარი კოლექცია გვაჩვენა. და რასაკვირველია, აქ შედარება სრულიად უადგილო იქნება, რადგანაც გუშინ პოდიუმზე ხომ დამწყები ქართველი დიზაინერები გამოდიოდნენ. საღამო ნანიკო ხაზარაძესთან ერთად ინგლისელი დიპლომატის ვაჟს, ლუის ("ამსას" ერთ-ერთი მოდელი) მიჰყავდა. დაბოლოს, ორი სიტყვით ჟიურის შემადგენლობასაც გაგაცნობთ: ზემოთ ხსენებული სტუმრების გარდა, დამწყები ქართველი დიზაინერების შერჩევაზე იზრუნეს: ნანა გერასიმოვამ (თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდისა და დიზაინის კათედრის დეკანი), ნინო დარასელიამ (ჟურნალი "ანაბეჭდი"), ხოლო ჟიურის მარინე გუნია (კონკურსის დამაარსებელი) ხელმძღვანელობდა.

# ნაომი კემპბელი მეექვსედ

თამარ ბაბუაძე

ფოტოგრაფი: ამერიკელი სტივენ კლეინი.

მისია: გადაეღო მოდელი ბუნებრივ, თბილ, ნატურალისტურ პოზაში.

შედეგი: მისია შესრულებულია.

პარფიუმერი: ფრანგი ფრანსუაზ კარონი.

მისია: შეექმნა ყვავილოვან-აზიური არომატის მქონე უნიკალური სუნამო.

შედეგი: მისია შესრულებულია.

სახელწოდება: ნაომი კემპბელი Paradise Passion ("ფერედიზ ფეშნ" - "სამოთხის ვნება").

გამოსვლის თარიღი: 2005 წ.

კონკურენტები: ესტე ლაუდერის Beyond Paradise, ჯენიფერ ლოპესის Glow/Still, ჰილფიგერის True Star (Beyonce).

სუნამოს საიდუმლო: ტროპიკული პაპაიას ყვავილი. ის წყნარი ოკეანეთის რომელიღაც კუნძულზე აღმოაჩინეს. ნაომი კემპბელმა კი ეს მოთეთრო ხავერდოვანი ულამაზესი ყვავილი თავისი არომატის გულში მოათავსა, როგორც ნიშანი ეგზოტიკური სილამაზის.

სუნამოს ასოციაცია: პირველყოფილი სილამაზე, მზით გახურებული მიწისგან წამოსული სითბო, ეგზოტიკა და ვნება. ყოფნა კუნძულზე, სადაც მშვენიერი ქალები სხეულს ყვავილებით იფარავენ, გრძელ თმაშიც ყვავილებს იწნავენ და ბუნებრივ სურნელებას აფრქვევენ.

დაახლოებით ასე ავსებს ნაომი კემპბელი ანკეტას მეექვსე სუნამოსთვის, რომლის პრეზენტაციაც თბილისში ხუთშაბათს "ისი პარის" მაღაზიათა ქსელმა გამართა. სუნამოს პირველი დაგემოვნებისთანავე ცხადი გახდა, რომ ნაომი კემპბელი თბილისში ძალიან დროულად შემოვიდა. ზაფხული სწორედ ის სეზონია, როცა 18-35 წლის მანდილოსნებს Paradise Passion გამოადგებათ. 18-35 - ასეთია სუნამოს შემქმნელებისგან დადგენილი ასაკობრივი ზღვარი. თუმცა, ნაომი აცხადებს, რომ მისი ახალი სურნელი ყველა იმ ქალს ეკუთვნის, რომლებიც "ცხოვრების ენთუზიაზმით გამოირჩევიან".




თვითონ ნაომი ნიუ იორკში ცხოვრობს. საქმიანი ქალის იმიჯი აქვს, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობს, საკუთარ ბიზნესს მართავს. ამიტომ უოლ-სტრიტის აქციების რეალობაში ჩაფლულს ხშირად ენატრება ის ყოველდღიური დღესასწაულები, პირველყოფილი რეალიზმით მხოლოდ ეგზოტიკურ კუნძულებზე რომ არის შემორჩენილი. მისი ახალი არომატიც ასეთ ასოციაციურ მიზანს ისახავს: რუტინიდან გაქცევა ცხელ კუნძულზე, სადაც პაპაიას ულამაზესი ყვავილი ხარობს, ქალები ხეებიდან უცხო ხილს კრეფენ, ლამაზ რტოებს კი ყელსაბამად იკიდებენ გულზე...

ეს ვირტუალური განცდები აშკარა პათეტიკას მაშინვე კარგავენ, როცა Paradise Passion-ს თქვენი ყნოსვა მისწვდება. თუმცა, განცდების გამძაფრება შემდეგი ინფორმაციითაც შეიძლება: როცა პირველი შთაბეჭდილება - მანგოსა და მანდარინის სურნელი გადის, რჩება გულის ნოტა, ანუ პაპაიას ყვავილი (სილამაზის უძველესი სიმბოლო), სულ ბოლოს კი ისიც ვანილად და მუსკუსად გარდაიქმნება.

ასე რომ, პარფიუმერი ფრანსუაზ კარონი მართლაც მთელი ძალით ეცადა და არომატების სამყაროში კარგად გაცვეთილი ტერმინისგან - ხილოვან-ყვავილოვან-აზიური - აბსოლუტურად ახალი სუნამო გამოიყვანა. ეს კი კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ნაომი კემპბელი კვლავაც უცვლელია. მისი სავაჭრო ნიშანი კი პარფიუმერიის ბაზარზე უკვე მყარად ფეხმოკიდებულია. ექვსიოდე წლის წინ მისი პარფიუმერული ვოიაჟი "ნაომი კემპბელით" დაიწყო - ასე გაეცნო სუპერმოდელი სრულიად ახალ ბაზარს. შემდეგ პირველ სუნამოს მეორე "ნაომეჯიქი" მოჰყვა. "ნაომეჯიქს" - "ექსალთი", "მისთერი" და "სანსეთი". ამდენი მოგზაურობის შემდეგ კემპბელმა საკუთარ ეგზოტიკურ სამოთხეში შეაბიჯა და ყველა ის ქალი დაპატიჟა, რომელსაც ოდნავ მძაფრი და მოტკბო სუნამოები უყვარს. ასეთებს ნაომიმ ერთი პატარა სიურპრიზიც შესთავაზა. ცხელი კუნძულისა და პაპაიას ყვავილის გასახსენებლად ფლაკონის თავსახურზე თეთრი სატინის ორი ფურცელი დაამაგრა და ჩაფიქრებული განცდაც ასე სრულყო.

ერთი სიტყვით, ეჭვგარეშეა: ქალები ნაომის ყოველთვის ბრმად მიჰყვებიან. პოდიუმზე 15 წლის ასაკში გამოჩენილი სუპერმოდელი ხომ დღემდე უამრავი დიზაინერის მუზა და კვლავაც შეუდარებელი ქალბატონია.

# სოლო - ტრეფიკინგის წინააღმდეგ

## თბილისელებმა ანიელიო დეზიდეროს ჰანგები გაითავისეს

ირმა კახურაშვილი

გუშინ სამეფო უბნის თეატრი ცნობილ გიტარისტ ანიელო დეზიდერიოს მასპინძლობდა. ორსაათიანი კონცერტის მსვლელობისას მშვენიერი საგიტარო ჰანგებით გავსებულ დარბაზში ბუზის გაფრენის ხმაც კი არ ისმოდა. შესანიშნავმა მუსიკალურმა წარმოდგენამ "ბრავოს" შეძახილსა და ხმაურიან ტაშში ჩაირა. კონცერტის შემდეგ კი კულისებს მიღმა ანიელიო დეზიდერიოს ტალანტის თაყვანისმცემელთა და მისი ავტოგრაფების მოსურნეთა რიგი ჩამომწკრივდა...

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გიტარისტის სტუმრობა საქართველოში ანტიტრეფიკინგული აქციის ნაწილი გახლდათ. კონცერტის ორგანიზატორები "თაგისარტის" - მსოფლიო კულტურული ინტეგრაციის წარმომადგენლები იყვნენ, თანადამფინანსებლები და მხარდამჭერები კი მიგრაციის საერთაშორისო ცენტრი, კულტურის საქალაქო სამსახური,




ანიელიო დეზიდერიო

ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო თბილისში, აშშ-ის საელჩო და სხვანი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტრეფიკინგი საერთო პრობლემაა. ამიტომ შემთხვევევითი როდი იყო ანიელო დეზიდერიოს საქართველოში ჩამობრძანება და ჩვენი საზოგადოებისთვის ერთგვარი შეხსენება - ადამიანთა ვაჭრობას ეროვნება არ აქვს და მას ნებისმიერი ადამიანი უნდა შეებრძოლოს, ზოგი მუსიკით და ზოგიც სხვა რესურსებით.

თუმცა, ვიდრე ტრეფიკინგის მავნებლობას გავიაზრებდეთ, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის მოყვარულმა ქართულმა საზოგადოებამ ამგვარი სახის ანტიტრეფიკუნგული აქციისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღო. გიტარის მეტრმა მსმენელს იმედი არ გაუცრუა და მის წინაშე მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგა - უკვდავი კლასიკური ნაწარმოებით, ტანგოთი და ცეცხლოვანი ესპანური მელოდიებით. აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმაც კი აღიარა, რომ მსგავსი რამ დიდი ხანია, არ მოუსმენია.

ვირტუოზული ოსტატობითა და მხოლოდ შრომისმოყვარე ადამიანისთვის დამახასიათებელი სიზუსტით შესრულებულმა კომპოზიციებმა გულგრილი არც ქართველები დატოვა. დარბაზი მოუთმენლად ელოდა ახალ მუსიკალურ პასაჟს და გადაღლილ მაესტროს სცენიდან დიდხანს არ უშვებდა...

გასაკვირი არც არის. ნეაპოლში დაბადებული ანიელო დეზიდერიო ცნობილი იტალიელი მუსიკოსისა და პედაგოგის ლეო ბრაუერის მოწაფეა. 1992 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ალესანდრიის კონსერვატორია. არის იტალიისა და მსოფლიო მუსიკალური კონკურსების მონაწილე და, არც მეტი და არც ნაკლები, 18 საერთაშორისო პრიზის მფლობელი. მისი კარიერა 1989 წელს საბერძნეთში, გიტარის საერთაშორისო ფესტივალზე გამოსვლით დაიწყო. მას შემდეგ მუსიკოსი წარმატებით გამოდის როგორც სოლო, ასევე ერთობლივი პროექტებით, სხვადასხვა ორკესტრებთან ერთად (მაგალითად, საკონცერტო ტურნე ვლადიმირ სპივაკოვის "მოსკოვის ვირტუოზებთან" იტალიაში, კოლუმბიასა და ესპანეთში). საინტერესოა, რომ 1999 წელს მუსიკოსი დაჯილდოვდა გერმანული რადიო DLF-ისა და ბრემენის მუსიკის ფესტივალის სპეციალური პრიზით გიდონ კრემერთან ერთად. 2001-02 წლებში დეზიდერიო მონაწილეობდა საგასტროლო ტურნეში ბერლინის ფილარმონიის კამერულ ორკესტრთან ერთად და სხვ. 2003 წელს კი თავად დააარსა მსოფლიო გიტარისტთა ანსამბლი..

ჩვენთან საუბარში ცნობილმა მუსიკოსმა განაცხადა, რომ საქართველოში მხოლოდ ერთ დღეს დაჰყოფს. "ძალიან მინდა ქალაქის დათვალიერება, მაგრამ სამწუხაროდ გიტარის სხვა ვარსკვლავებთან ერთად დიდი ტურნე მელის," - ამბობს მაესტრო და გვანდობს, რომ თავადაც ემადლიერება ქართველ მსმენელს, რომელმაც დადებითი მუხტი ჯერ კიდევ კონცერტამდე შეჰმატა. სხვათაშორის, ჩვენ მისი შესანიშნავი გიტარის ისტორიითაც დავინტერესდით, რაზეც სიამაყით გვიპასუხა: "ეს ნეაპოლელი გიტარისტის, ოსტატი ალექსანდრო მარსელიას ხელნაკეთი ნამუშევარია".

ახლო მომავალში ცნობილი გიტარისტი გერმანიაში გაემგზავრება. ანტიტრეფიკინგული აქცია კი გაგრძელდება.






## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი | "პატარა პრინცი" | [illegible] | 5.6 |
| ხალხური (შემდგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი) | [illegible] | [illegible] | 5.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.2 |
| პაულო კოელიო | "ზაჰირი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| სხვადასხვა ავტორი | საბავშვო ენციკლოპედია | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |

### კვირის ყველაზე პოპულარული ალბომების ათეული ევროპაში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | ალბომის დასახელება | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| "ქოლდფლეი" | X&Y | "პარლოფონი" |
| "გორილაზ" | Demon Days | "პარლოფონი" |
| "ბლექ აიდ ფიზ" | Monkey Business | "ინტერსქოუპი" |
| "უაით სთრაიფზ" | Get Behind Me Satan | |
| "ოაზისი" | Don't Believe The Truth | Big Brother |
| შაკირა | Fijacion Oral Vol. I | "ეპიკი" |
| System Of A Down | Mezmerize | [illegible] |
| ილ დივო | Il Divo | [illegible] |
| Faithless | Forever Faithless: [illegible] | [illegible] |
| გვენ სტეფანი | Love Angel Music Baby | "ინტერსქოუპი" |




### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 48,745,440 | 72,896,986 |
| "მისტერ და მისის სმიტი" | [illegible] | [illegible] | 26,037,023 | 96,697,986 |
| "მადაგასკარი" | [illegible] | [illegible] | 10,737,325 | 146,831,846 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 10,038,498 | 348,140,685 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 8,209,853 | 132,144,471 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,692,907 | 24,015,408 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,300,980 | 5,300,980 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,127,222 | 30,160,110 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,648,330 | 9,551,584 |

## ინფოთეკა

### "არსენალი" პირესს "ვალენსიას" უთმობს

ლონდონის "არსენალი" მზადაა, დაემშვიდობოს თავის ფეხბურთელს რობერ პირესს. ფრანგ ფეხბურთელზე ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ესპანური "ვალენსიაა". ბრიტანული პრესის ცნობით, მხარეები ფაქტიურად შეთანხმდნენ. სატრანსფერო თანხად ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი სახელდება.

### ნედვედი "იუვენტუსში" რჩება

იტალიური კლუბის "იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა ამჟამიდელ გუნდთან კონტრაქტის ვადა 2008 წლამდე გაზარდა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ჩეხი ფეხბურთელის აგენტმა. ნედვედის ამჟამინდელ ხელშეკრულებას 2006 წელს გაუვა ვადა.

### "ჩელსი" "ატლეტიკოს" თავის ფეხბურთელს სთავაზობს

ლონდონის "ჩელსიმ" ნახევარმცველის ხუან ვერონას შეძენა შესთავაზა ესპანეთის "ატლეტიკოს". სანაცვლოდ, ლონდონელები მადრიდელთა კაპიტანს ფერნანდო ტორესს ითხოვენ. ეს განზრახვა ეწინააღმდეგება იტალიური "ინტერის" სურვილს, კლუბის, რომელშიც ვერონამ გასული სეზონი ითამაშა იჯარის წესით. რაც შეეხება "ატლეტიკოს", იგი არ აპირებს თავის ლიდერ ფეხბურთელთან განშორებას, თუმცა, არც ვერონას შეძენის შესაძლებლობას გამორიცხავს. არგენტინელი ფეხბურთელისთვის "ატლეტიკოში" გადასვლა სასიამოვნო იქნება, რადგან ამ გუნდის თავკაცი მისთვის ძალიან კარგად ნაცნობი კარლოს ბიანკია.

### "სანტოსის" პრეზიდენტი იოლად ვერ თმობს თავის საუკეთესო ფეხბურთელს

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა რობინიომ განაცხადა, რომ "რეალში" მისი გადასვლა მხოლოდ საათების საქმეა, თუმცა, იქვე დასძინა: "ამ თემაზე ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან ბრაზილიამ რომ კონფედერაციის თასზე ვერ გაიმარჯვოს, იტყვიან, ნაკრებზე და მის თამაშზე არ ვფიქრობდი".

ამ თემაზე საუბრისას "რეალის" ვიცე-პრეზიდენტი და სპორტული დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო "მოთმინებასა" და "სიფრთხილეს" ითხოვს: "ის, რაც რობინიომ თქვა, სიმართლეა, თუმცა, აჩქარება საქმეს გააფუჭებს, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და სასურველ მომენტს დაველოდოთ".

ამ საქმისთვის, როგორც ჩანს, მართლაც დაცდა იქნება საჭირო. "სანტოსის" პრეზიდენტი მარსელო ტეშეირა არ აპირებს ასე იოლად შეელიოს თავის საუკეთესო ფეხბურთელს.

### ტრაპატონი მზადაა, გლები გაუშვას

გერმანული კლუბის "შტუტგარტის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მზადაა, შეელიოს თავისი გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ალექსანდრ გლებს. როგორც ცნობილია, ნიჭიერი ნახევარმცველის მიმართ ინტერესს ამჟღავნებს ლონდონის "არსენალი", თუმცა, იგი გერმანულ გუნდს საკადრის კომპენსაციას ჯერჯერობით ვერ სთავაზობს. კლუბებს შორის მოლაპარაკება კვლავაც გრძელდება.

"ვფიქრობ, არ ღირს გუნდში დატოვო ის ფეხბურთელი, რომელსაც წასვლა უნდა. ფეხბურთელების ერთიანობა ჩემთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისინი ცალ-ცალკე. და მაინც ვფიქრობ, რომ გლები კარგად ითამაშებდა ჩვენთან მომავალ სეზონზე, მაგრამ ამ გუნდში ჩემი მოსვლის მიზანი ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებაა", - განაცხადა ტრაპატონიმ.

### "არსენალი" ტიერი ანრის დარწმუნებას ცდილობს

"მეთოფეების" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი ცდილობს დაარწმუნოს თავდამსხმელი ტიერი ანრი, კონტრაქტის ვადა გააგრძელოს მათთან. მართალია, ფრანგი ფეხბურთელის ახლანდელ შეთანხმებას ორი წლის შემდეგ გასდის ვადა, მაგრამ ვენგერს კიდევ ორი წლით სურს "არსენალში" მისი დატოვება.

ლონდონის გუნდმა იცის, რომ თუ ფეხბურთელის დარწმუნებას ვერ შეძლებს, მაშინ მომავალ ზაფხულს მისი ფასი (30 მილიონი გირვანქა სტერლინგი) განახევრდება.

ვენგერს ამ საქმეში მხარს უჭერს "მეთოფეთა" თავმჯდომარე პიტერ ჰილ-ვუდიც.

## ფეხბურთი

# დინამოს ევროკავშირი ერგო

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში მოეწყო ევროტურნირების 2005-06 წლების სეზონის გათამაშების წილისყრა, რომელმაც ქართული გუნდების პირველი მეტოქეები გამოავლინა. თბილისის "დინამო" ევროკავშირში ახლახან შესული ქვეყნის ესტონეთის ჩემპიონს", ტალინის "ლევადიას" დაუპირისპირდება. ამ გუნდების პირველი მატჩი 12 ან 13 ივლისს ტალინში გაიმართება, ხოლო განმეორებით მატჩს თბილისი 19 ან 20 ივლისს უმასპინძლებს. იმის თქმა, რომ "დინამოს" სუსტი მეტოქე შეხვდა და ჩემპიონთა ლიგის პირველ ბარიერს უპრობლემოდ გადალახავს, არ იქნება გამართლებული. თუმცა, ტალინის "ლევადია" რომ ვერც ტრადიციით, ვერც ახლანდელი მდგომარეობით და ვერც უეფას რეიტინგით "დინამოსთან" ახლოს ვერ მივა, ეჭვგარეშეა. იმ შემთხვევაში, თუ ცხადაძის გუნდი სათანადო დონეზე ჩაატარებს მატჩებს ესტონელებთან და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავა, გაცილებით სერიოზულ გუნდთან, დანიის "ბრონდბიუსთან" მოუწევს თამაში. დანიის ჩემპიონი სათამაშო ოსტატობით საგრძნობლად უკეთესი გუნდია, ვიდრე "ლევადია". ისიც უნდა ითქვას, რომ "ბრონდბიუ" სულაც არ არის, ვთქვათ, "დინამოს" მიერ გასულ სეზონში დამარცხებულ კრაკოვის "ვისლაზე" ძლიერი. თუმცა, შარშანდელი "დინამო" წლევანდელისგან განსხვავებული, სრულიად ახალი გუნდია, რომლის საფუძვლის ჩაყრას კახა ცხადაძე ახლა იწყებს. რეალობის გათვალისწინებით, "ბრონდბიუს" ბარიერის დაძლევაზე საუბარი უფრო ოცნებას ჰგავს. შარშან თბილისის "დინამო" და "ბრონდბიუ" უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ავსტრიაში, "ალპენ კაპის" ტურნირზე მოხდა, როდესაც ჩვენი გუნდი წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა. მაშინ "დინამომ" 3:2 დაამარცხა დანიელთა გუნდი.

წილისყრის ცერემონიალის დასრულებისთანავე ტელეფონით დავუკავშირდით შვეიცარიაში მყოფ "დინამოს" მმართველ დირექტორს ბუბა ტყავაძეს.

"უფრო ძლიერი გუნდიც შეიძლებოდა შეგვხვედროდა, უფრო სუსტიც. თავისთავად, ყველა სავარაუდო მეტოქე თავისი ქვეყნის ჩემპიონია და არც "ლევადიაა" გამონაკლისი. ბოლო დროს ბალტიის ქვეყნებში საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება ფეხბურთი, რაც ამ ნაკრები გუნდებისა და წამყვანი კლუბების შედეგებზე აისახება. რა თქმა უნდა, "დინამო" მაქსიმუმს გააკეთებს ესტონური ბარიერის წარმატებით დასაძლევად, თუმცა, წინდაწინ დარწმუნებით იმის თქმა, რომ უკვე მეორე ეტაპზე ვართ, სწორი არ იქნება. ამიტომ სწორედ ამ თამაშებზე ვართ კოცენტრირებული და იმაზე, რომ მეორე ეტაპზე წყვილში გამარჯვებულის მეტოქე დანიის ჩემპიონია, არც ვფიქრობთ. "ბრონდბიუს" წარმომადგენლები უკვე შეგვხვდნენ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის", - თქვა ბუბა ტყავაძემ.

წილისყრის შედეგებზე კომენტარი ვთხოვეთ კახა ცხადაძესაც, რომელიც ახლა გერმანიის ქალაქ რუიტშია და "დინამოს" მოახლოებული სეზონისთვის ამზადებს.

"პირველ ეტაპზე, თუ არ ჩავთვლით ორ-სამ განსაკუთრებით სუსტ გუნდს, დაახლოებით თანაბარი სიძლიერის კამპანია იყო შეკრებილი და ვიცოდით, რა დონის მეტოქე გვეყოლებოდა. ასე რომ, კენჭისრყის შედეგებით არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო. "ლევადია" სუსტი გუნდი ნამდვილად არ არის. კენჭისრყის შედეგების გამოცხადების მომენტში ვიტყოდი, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი, როგორც ჩვენ, ისე "ლევადიას", თანაბარი გვაქვს. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ უფრო უკეთ მოემზადება, უშუალოდ თამაშების დროს ვინ უკეთ გამოიყენებს თავის შანსს, გაირკვევა მეორე ეტაპზე გასული გუნდი. საერთოდ, მიჩნეულია, რომ გუნდი, რომელიც პირველ მატჩს სტუმრად ატარებს, მცირე უპირატესობას ფლობს. ამ თვალსაზრისით გაგვიმართლა, თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ორი მატჩია ჩასატარებელი და ორივე მაღალ დონეზე უნდა ჩაატარო, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვო", - განაცხადა ცხადაძემ.

23 ივნისს "დინამომ" პირველი ტესტმატჩი ჩაატარა. გერმანიის რეგიონალლიგის წარმომადგენელმა "ფორცაიმმა" მაღალ დონეზე ვერ გაუწია სპარინგობა. "დინამო" პირველ ტაიმში უკვე 4:0-ს (დვალიშვილი, ალადაშვილი, ბაბუნაშვილი, ორბელაძე) ამარცხებდა მეტოქეს. "ფორცაიმმა" ერთი გოლი გაქვითა, თუმცა, მატჩის მიწურულს ბობოხიძემ ალადგინა 4-ბურთიანი სტატუს კვო.

ხვალ ჩვენი გუნდი მეორე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქე იქნება რეგიონალლიგის კიდევ ერთი წარმომადგენელი, "ჰალბრონი". გერმანიაში ჩვენი გუნდი ბოლო სპარინგს 27 ივნისს, "რადოსველდთან" (რეგიონალლიგა) გამართავს. 29 ივნისს "დინამო" შვეიცარიაში გადაინაცვლებს, სადაც შეკრების დასკვნით ეტაპს გამართავს. ამჯერად მას გაცილებით მაღალი კლასის გუნდებთან მოუწევს დაპირისპირება. "სენტ გალენი", "გრასჰოპერი" და "შოპჰაუზენი", ვისაც ცხადაძის გუნდი ტესტთამაშებში გაეჯიბრება, შვეიცარიის უმაღლეს ლიგას წარმოადგენენ.



შარშან "ვისლა" იყო. წელს კი ჯგუფური ეტაპის გზაზე, "დინამოს" "ბრონდბიუს" დამარცხება მოუწევს.

**ჩემპიონთა ლიგა. პირველი ეტაპი:**

ლივერპული (ინგლისი) - ტნს (უელსი)
ჰაკა (ფინეთი) - პიუნიკი (სომხეთი)
ტორსჰავნი (ფარერები) - კაუნასი (ლიტვა)
**ლევადია (ესტონეთი) - დინამო (საქართველო)**
გორიცა (სლოვენია) - ტირანა (ალბანეთი)
კაირატი (ყაზახეთი) - არტმედია (სლოვაკეთი)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) - ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) - სკონტო (ლატვია)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) - შელბურნი (ირლანდია)
დინამო (ბელორუსი) - ანორთოსისი (კვიპროსი)
სლიმა უონდერერზი (მალტა) - შერიფი (მოლდოვა)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) - ზრინსკი (ბოსნია)
**პირველი ეტაპის მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე 12-13 და 19-20 ივლისს გაიმართება.**

**მეორე ეტაპი:**

1. ლივერპული (ინგლისი) - ტნს (უელსი) შორის გამარჯვებული - ტორსჰავნი (ფარერები) - კაუნასი (ლიტვა) შორის გამარჯვებული
2. **ლევადია (ესტონეთი) - დინამო (საქართველო) - ბრონდბიუ (დანია)**
3. **პარტიზანი (სერბეთი)** - სლიმა უონდერერზი (მალტა) - შერიფი (მოლდოვა)
4. **დებრეცენი (უნგრეთი) - ჰაიდუკი (ხორვატია)**
5. კაირატი (ყაზახეთი) - არტმედია (სლოვაკეთი) - **სელტიკი (შოტლანდია)**
6. გორიცა (სლოვენია) - ტირანა (ალბანეთი) - **ცსკა (ბულგარეთი)**
7. **ანდერლეჰტი (ბელგია)** - ნეფთჩი (აზერბაიჯანი) - ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
8. **ვოლერენგა (ნორვეგია)** - ჰაკა (ფინეთი) - პიუნიკი (სომხეთი)
9. რაბოტნიჩკი (მაკედონია) - სკონტო (ლატვია) - **ლოკომოტივი (რუსეთი)**
10. დუდელანჟი (ლუქსემბურგი) - ზრინსკი (ბოსნია) - **რაპიდი (ავსტრია)**
11. **დინამო (უკრაინა) - თუნი (შვეიცარია)**
12. **მალმე (შვედეთი) - მაკაბი (ისრაელი)**
13. გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) - შელბურნი (ირლანდია) - **სტიაუა (რუმინეთი)**
14. დინამო (ბელორუსი) - ანორთოსისი (კვიპროსი) - **ტრაბზონსპორი (თურქეთი)**

**უეფას თასი. პირველი ეტაპი:**

**ლოკომოტივი (საქართველო) - ბანანცი (სომხეთი)**
**ტორპედო (საქართველო) - ბატე (ბელორუსი)**
ფერენცვაროში (უნგრეთი) - მტზ (ბელორუსი)
დაჩია (მოლდოვა) - ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ბაქო (აზერბაიჯანი) - ჟილინა (სლოვენია)
მაინცი (გერმანია) - მიკა (სომხეთი)
ნისტრუ (მოლდოვა) - ხაზარი (აზერბაიჯანი)
ჟეპჩე (ბოსნია) - ბასკიმი (მაკედონია)
აპოელი (კვიპროსი) - ბირკირკარა (მალტა)
რაპიდი (რუმინეთი) - სან-ჯულია (ანდორა)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) - ტეუტა (ალბანეთი)
ვარდარი (მაკედონია) - ელბასანი (ალბანეთი)
ომონია (კვიპროსი) - ჰიბერნიანსი (მალტა)
დომზალე (სლოვენია) - დომანიანო (სან-მარინო)
**პირველი ეტაპის მატჩები 14-28 ივლისს გაიმართება.**

## კრივი

# მილიონობით თვალ-ყური

გიგა გურასაშვილი

*ტელეკომპანია "შოუთაიმის" ცნობით, 11 ივნისს ვაშინგტონში გამართულ მაიკ ტაისონისა და ირლანდიელ კევინ მაკბრაიდის უტიტულო ორთაბრძოლისთვის ფასიანი ტელევიზიის 250 ათას აბონენტს უდევნებია თვალყური. ამერიკული გაზეთის "იუ-ეს-ეი თუდეის" სტატისტიკოსებმა არ დაიზარეს და ერთგვარი ნუსხაც შეადგინეს იმ ორთაბრძოლებისა, რომელშიც "რკინის მაიკს" უჩხუბია. საუბარია რეიტინგ-ნუსხაზე - რომელ ჩხუბს რამდენი ფასიანი (pay-per-view, PPV) ტელემაყურებელი ჰყავდა.*

ამ რეიტინგის მიხედვით ტელეტრანსლაციების მეშვეობით ყველაზე უხვმოსავლიანი მაიკ ტაისონსა და ევანდერ ჰოლიფილდს 1997 წლის 28 ივნისის ლასვეგასური დაპირისპირება ყოფილა (მაშინ ტაისონი და ჰოლიფილდი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. იგი სამ რაუნდში "რკინის მაიკის" დისკვალიფიკაციითა და მარცხით დამთავრდა. მაშინ მაიკმა ჰოლიფილდს ყური მოაჭამა.-რედ.). ამ მატჩისთვის 1 990 000 მაყურებელს უცქერია. მატჩის პირდაპირ ეთერში ხილვისთვის თითოეულმა 49.95 დოლარი გადაიხადა.

შედარებით ნაკლები (ტრანსლაციის გაყიდვით) ტელემაყურებელი ჰყავდა ტაისონისა და ლენოქს ლუისის 2002 წლის 8 ივნისის მემფისურ შეხლას - 1 800 000 მაყურებელი (მაიკმა მერვე რაუნდში იწვნია ნოკაუტი.-რედ.). ამ ტრანსლაციისთვის კრივის მოყვარულებმა 54.95 დოლარი გადაიხადეს და იგი "შოუთაიმისა" და საკაბელო არხის HBO-ს მიერ ერთობლივად იყო ორგანიზებული.

სხვა სუპერმატჩებთან პარალელების გავლებით ციფრები მართლაც შთამბეჭდავია. მაგალითად, დიდ ჩხუბად შერაცხულმა როი ჯონს-უმცროსისა და ჯონ რუისის მატჩმა, რომელიც HBO-ს მიერ იყო ტრანსლირებული, სულ რაღაც 525 ათასი აბონენტი მოაგროვა. მაყურებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, მათ შორის ჩხუბმა საკაბელო არხს 26,5 მილიონი მოგება მოუტანა.

თუ როგორ გამოიყურება დანარჩენ ორთაბრძოლათა რეიტინგ-ბადე ანუ ის დაპირისპირებები, რომლებიც ყველაზე დიდი მოთხოვნილებით გამოირჩეოდა, ამაში "იუ-ეს-ეი თუდეის" არქივიდან აღებული სტატისტიკა შეგვეშველება.



მაკბრაიდისა და ტაისონის ორთაბრძოლას 250 ათასმა ფასიანმა ტელემაყურებელმა მიადევნა თვალი.

**წელი მატჩი PPV. ტელემაყურებელი**
1997. ევანდერ ჰოლიფილდი - მაიკ ტაისონი II 1.99 მილიონი
2002. ლენოქს ლუისი - მაიკ ტაისონი 1.80 მილიონი
1996. ევანდერ ჰოლიფილდი - მაიკ ტაისონი I 1.59 მილიონი
1995. მაიკ ტაისონი - პეტერ მაკნილი 1.55 მილიონი
1991. ევანდერ ჰოლიფილდი - ჯორჯ ფორმენი 1.40 მილიონი
1999. ოსკარ დე ლა ჰოია - ფელიქს "ტიტო" ტრინიდადი 1.40 მილიონი

## ინფოთეკა

### სავიოლას "ბარსელონაში" დარჩენა უნდა

ხავიერ სავიოლას აგენტი აცხადებს, რომ ფეხბურთელს "ბარსელონიდან" წასვლა არ უნდა. კატალონიური კლუბის მთავარი მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი მომავალ სეზონზე გუნდის შემადგენლობაში სავიოლას ადგილს ვერ ხედავს, თუმცა, თავად არგენტინელ ლეგიონერს სჯერა, რომ "მონაკოში" იჯარით გატარებული 12 თვის შემდეგ იგი "ბარსაში" თამაშს იმსახურებს.

"ძნელი იქნება, სავიოლას აზრი შეაცვლევინო. მან ყველაფერი შეასრულა, ყველაფერი, რაც მათ სთხოვეს. ის ესაუბრა "ბარსელონას" პრეზიდენტს ხუან ლაპორტას და უთხრა, რომ კლუბში დარჩენის დიდი სურვილი აქვს. ძალიან საინტერესო იქნება, ახლა რაღას მოიფიქრებენ, რადგან ვერც ესპანური პასპორტის არქონას მოიმიზეზებენ და ვერც კონტრაქტთან დაკავშირებულ პრობლემებს", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

### ფრეი "ფიორენტინაში" გადაბარგდა

იტალიურმა კლუბმა "ფიორენტიანამ" ხელი მოაწერა კონტრაქტს სებასტიან ფრეისთან, რომელიც ბოლო დროს "პარმას" კარს იცავდა. "ფიორენტინას" ოფიციალური საიტის ცნობით, მეკარე ახალ გუნდში იჯარის წესით ითამაშებს, თუმცა, იტალიური პრესის ცნობით, საქმე ეხება სრულფასოვან კონტრაქტს და არა იჯარას.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ფრანგმა ფეხბურთელმა წარმატებით ჩაატარა გასული სეზონი.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

## TV-სპორტი

**შაბათი. 25 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. მაროკო - იტალია
14:00 ბრაზილიის თასი. მატჩების მიმოხილვა
14:30 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. გერმანია - ბრაზილია
16:15 თავისუფალი დარტყმა
16:30 "საფეხბურთო კლუბი"
17:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. ნიგერია - ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "ფეხბურთი ჭრილში"
20:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია) - "გვადალაჰარა" (მექსიკა). პირველი მატჩი
22:00 "FUTBOL MUNDIAL"
22:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. არგენტინა - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
12:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
13:15 "სარკის წინ"
13:55 ძლეოსნობა. "ძმები ზნამენსკების მემორიალი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:35 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
02:00 02:0-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. არტურო გატი - ფლოიდ მეივეზერი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
11:30 ფრენბურთი. მსოფლიოს დიდი პრიზი იაპონიაში. ბრაზილია - პოლონეთი
13:15 მოტოსპორტი. ჰოლანდიის დიდი პრიზი
13:45 მოტოსპორტი. ჰოლანდიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
19:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ქალები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ფრენბურთი. მსოფლიოს დიდი პრიზი იაპონიაში. ბრაზილია - პოლონეთი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:45 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
01:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ნახევარფინალი
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
02:45 ახალი ამბები
03:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ნახევარფინალი.

საფეხბურთო გალერეა

# კარლოს ალბერტო პარეირა: „რონალდინიო ლიდერი ჯერ არაა"

ლაშა გოდუაძე

*ბრაზილიის ნაკრები გულშემატკივრებს ყოველთვის აინტერესებთ. მისდამი გულგრილად განწყობილი არავინაა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ გუნდის მოედანზე გამოჩენა უკვე მოვლენაა. დღესდღეობით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები გერმანიაში თამაშობენ - ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშების ნახევარფინალში კარლოს ალბერტო პარეირას გუნდი მასპინძელ გერმანიას დაუპირისპირდება. მაგრამ ოკეანისგაღმელთათვის მთავარი ეს არაა - ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულებს საგაისო მსოფლიო პირველობის ფინალური ეტაპის საგზური ჯერაც მოსაპოვებელი აქვთ. სამხრეთამერიკელთა თავკაცს კარლოს ალბერტო პარეირას პოპულარული გერმანული გამოცემის "კიკერის" ჟურნალისტები შეხვდნენ და ნაკრების თაობაზე გაესაუბრნენ.*

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სამხრეთ ამერიკის ზონაში დასასრულს უახლოვდება. რამდენიმე მატჩიც და გაირკვევა ის გუნდები, რომლებიც კონტინენტის ღირსებას დაიცავენ გერმანიაში. თქვენს გუნდს ფინალურ ეტაპზე თამაში თითქმის განაღდებული აქვს. მიახლოებით თუ იცით, რომელ ფეხბურთელებს წაიყვანთ უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე?**

- საბოლოო ვარიანტი, ცხადია, უცნობია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს დამსახურება უნდა. გვინდა თუ არა, წინ კიდევ ერთი წელიწადი გვაქვს, რომლის მანძილზე, შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს. თუნდაც სულ უბრალო რამ - წამყვან ფეხბურთელს ჯანმრთელობა გაუუარესდეს. მოთამაშეები ხომ ადამიანები არიან! პირადად მე, რასაკვირველია, მინდა ბრაზილიაში საუკეთესო შემადგენლობა, ერთგვარი საოცნებო გუნდი წავიყვანო, მაგრამ კარგად ვიცი, ეს ოცნებაა და მას ახდენა არ უწერია. ამიტომ ყველაფერს რეალურად ვუყურებ და არაფერს გამოვრიცხავ. ერთადერთი, რაშიც ბოლომდე დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ გერმანიაში ჩვენი გუნდი მაქსიმალურად ძლიერი იქნება, ანუ უძლიერესებით დაკომპლექტდება. შესაძლოა, გაისად ნაკრებში ახალი სახეებიც გამოჩნდნენ... ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყოველთვის ვეუბნები, რომ არ მოდუნდნენ, რადგან არ იციან, როდის დადგება მათი დრო. ამავდროულად, ვეტერანებიც გვეყოლება - ჩემთვის გუნდის ერთი ხელის მოსმით შეცვლა მიულებელია. ერთი სიტყვით, გერმანიაში წამსვლელთა ვინაობა მხოლოდ გაისად, მაისის მიწურულს მეცოდინება.

**- ესე იგი, იმის თქმა გსურთ, რომ გარანტიას ვერავის მისცემთ?**

- გარანტიას მხოლოდ კარგი თამაში იძლევა. ჩემი თვალთახედვით, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრებში იმ ფეხბურთელთა დაახლოებით 60 პროცენტი დარჩება, რომლებიც დღეს თამაშობენ კონფედერაციათა თასზე. ცხადია, არაერთი ფეხბურთელი დაგვემატება. ვფიქრობ, რომ გერმანიაში გაისად რამდენიმე ახალგაზრდასაც ვიახლებ. არაა აუცილებელი მათ იმთავითვე ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრონ ადგილი - მათ ისიც წაადგებათ, რომ გამოცდილ მოთამაშეთა მხარდამხარ ივარჯიშებენ. მინდა გითხრათ, რომ ბრაზილიაში ძალიან ბევრი ფეხბურთელი ოცნებობს ასეთ ყოფაზე - ჩვენთან უამრავი ნიჭიერი მოთამაშეა და, ცხადია, ნაკრებში ყველა ვერ ითამაშებს. ამიტომაცაა, რომ გუნდის საბოლოო შემადგენლობის დადგენას ბრაზილიელები ძალიან დიდ დროს ვანდომებთ - ფართო არჩევანია! რატომღაც მჯერა, რომ ამ მხრივ ჩემსავით, ანუ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის დარად, არც ერთი ნაკრების თავკაცი არაა განებივრებული.



*კარლოს ალბერტო პარეირა კონფედერაციის თასის მოგებას აპირებს.*

**- მართალი ბრძანდებით, ეს ასეა. ამას ფაქტებიც მოწმობს - მას შემდეგ, რაც ნაკრების თავკაცად დაინიშნეთ, სამოცდაათამდე ფეხბურთელი გამოსცადეთ. მეორე მხრივ, ამბობთ, რომ დაახლოებით იცით სანაკრებო შემადგენლობის 60 პროცენტი. საინტერესოა, ვინ იგულისხმება "თითქმის რჩეულთა" შორის?**

- კიდევ ვიმეორებ: რჩეულები არ მყავს! გუნდში მხოლოდ იმ მოთამაშეებს მოვიაზრებ, რომლებმაც წლების მანძილზე მოახერხეს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, ვინც წლიდან წლამდე უმაღლეს დონეზე კარგ ფეხბურთს თამაშობს. ესაა და ეს. კონკრეტული გვარების დასახელებას მოვერიდები - ჩემს გარეშეც ხვდებით, ვის შესახებაა საუბარი. მაგრამ როგორც ვთქვი, ცვლილებებს არ გამოვრიცხავ, რადგან ლიდერებს, შესაძლოა, უცბად რაღაც შეემთხვათ და ვერ დაგვეხმარონ. ასე რომ, ჩემს ნაკრებში ხელშეუხებელი არავინაა და ამ თემაზე ნუ ვისაუბრებთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბრაზილიის ნაკრები მეორეა - არგენტინას ჩამორჩება. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ამ გუნდის ჯობნა, ანუ პირველი ადგილის დაკავება?**

- დარჩენილ თამაშებში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, თუმცა, ვფიქრობ, რომ სენსაციები არ მოხდება - გვინდა თუ არა, განვლილ მატჩებში ყველა გუნდმა აჩვენა, თუ რა შეუძლია. სხვა საქმეა ჩვენი და არგენტინელების დამოკიდებულება, თუ ვინ დაიკავებს პირველ ადგილს. იცით, მსმენია, თითქოს ჩვენ და არგენტინელები დასანახად ვერ ვიტანთ ერთმანეთს. არ ვიცი, საიდან მოიფიქრეს ასეთი რამ. ზიზღი არაფერ შუაშია, საქმე ისაა, რომ ჩვენ, ორი დიდი საფეხბურთო ქვეყანა, წაგებას ვერ ვიტანთ, მით უმეტეს, ერთმანეთთან. სწორედ ამიტომაა ჩვენი თამაშები საოცრად დაძაბული და ლამაზი, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი სათანადოდ ვერ აღიქვამს. ამ შესარჩევ ტურნირში ჩვენ საშინაო მატჩები მოვიგეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ანგარიშგასაწევი გუნდები ვართ. ბუენოს-აირესში რომ არ დავმარცხებულიყავით, სამშობლოში გმირებად დავბრუნდებოდით, თუმცა, ასე არ მოხდა. პირველი ადგილის დაკავება კი დიდად არ მანაღვლებს. გახსოვთ, რა ცუდად ითამაშა ბრაზილიამ წინა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში? კორეა-იაპონიაში კი უკლებლივ ყველა მატჩი მოიგო და ჩემპიონი გახდა! მთავარია იქ ივარგო, სადაც საჭიროა, საკვალიფიკაციოში მეორეობას კი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**- შესარჩევ ტურნირში ბრაზილიამ არაერთი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა, თუნდაც მონტევიდეოში ურუგვაისთან. გავიხსენოთ პერუსთან უფერული მოგება... ბრაზილიური პრესა თვლის, რომ ასეთი თამაშით მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეუძლებელია. თქვენ რას ფიქრობთ?**

- გულახდილად გეტყვით: ჩემმა გუნდმა ხსენებულ ორ მატჩში დამაჯერებლად ითამაშა და მე არა მარტო შედეგით, თამაშითაც კმაყოფილი ვარ. იცით, საკვალიფიკაციო ეტაპზე მთავარი ქულებია, ჩვენ კი საშინაო და საგარეო შეხვედრაში ოთხი ქულა მოვიპოვეთ, რაც შესანიშნავია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუმრად სადმე სხვაგან კი არა, მონტევიდეოში ვითამაშეთ. იცით თუ არა, რომ ამ ქალაქში ბრაზილიას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არ მოუგია? ურუგვაიში თამაში ძალიან ძნელია და ამიტომაც, გულით გამიხარდა იქ მოპოვებული ქულა. ვთვლი, რომ ჩემმა გუნდმა ორი ქულა კი არ დაკარგა, პირიქით, ერთი მოიპოვა. რაც შეეხება პრესას, მის აზრს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ - ნაკრების თამაშზე მე ვაგებ პასუხს და არა ჟურნალისტები. ეგეც არ იყოს, უკეთესად ვხედავ, რა მდგომარეობაშია გუნდი და შესწევს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის მოგების უნარი.

**- ბრაზილიის ნაკრებში არაერთი ვარსკვლავი თამაშობს, რომლებიც ჟურნალისტების მუდმივი ყურადღების ქვეშ არიან. თქვენი აზრით, ხომ არ თრგუნავს ასეთი დამოკიდებულება ფეხბურთელებს?**

- მართალი ბრძანდებით, გადამეტებული არაფერი ვარგა. იგივე რონალდო ავიღოთ: ცოლს ირთავს თუ ეყრება, გააქვს გოლი თუ არა, ჟურნალისტები გაუთავებლად მასზე საუბრობენ. ეს კი ძნელი ასატანია. კონფედერაციათა თასზე რონალდო სწორედ ამიტომ არ წავიყვანეთ - მომქანცველი სეზონის შემდეგ აუცილებლად სჭირდებოდა დასვენება, რისი საშუალება მივეცით კიდეც.

**- დღეს ხშირად საუბრობენ რონალდინიოზე - სპეციალისტთა აზრით, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების ლიდერი სწორედ ის იქნება...**

- მოდით, ნუ ავჩქარდებით და რონალდინიოს გუნდის ლიდერს ნუ ვუწოდებთ. ამავდროულად, იმის ხაზგასმაც უპრიანია, რომ რონალდინიო ნამდვილი საოცრებაა! ის შესანიშნავი ფეხბურთელია, ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ ლიდერობა სხვა რამაა. შეძლებს თუ არა ამ ტვირთის აწევას, დრო გვიჩვენებს.

**- ზოგიერთი მოსაზრებით, კაკა მომავალი პელეა. სხვათა შორის, გულშემატკივრები მას "თეთრ პელესაც" უწოდებენ. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ცხოვრებაში არაერთი "თეთრი პელე" მინახავს, მაგრამ წლები ყველას და ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს. გეთანხმებით, რომ კაკა ნიჭიერი ფეხბურთელია, ჩინებულად თამაშობს, მაგრამ პელეს ნუ შევადარებთ - მეფესთან გასატოლებლად დიდი დრო და წარმოუდგენელი შრომაა საჭირო. იცით, ბრწყინვალედ მესმის პელესი, თუ რატომ სწყინს მას, როცა ვინმეს ადარებენ. ჟურნალისტები ხშირ შემთხვევაში ჩქარობთ, ასე კი არ შეიძლება. მსგავსი მეტსახელებით მარტო პელეს კი არ ვაღიზიანებთ, ახალგაზრდა ფეხბურთელსაც ვთრგუნავთ.

**- კონფედერაციათა თასის ნახევარფინალში გერმანელებს ხვდებით, ტურნირის მასპინძლებს...**

- დარწმუნებული ვარ, ძალიან რთული მატჩი იქნება - 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრები ძალიან შეიცვალა და ვფიქრობ, რომ გაძლიერდა კიდეც. ამ გათამაშებაში მასპინძლები უდავოდ კარგად თამაშობენ. ალბათ, მათთვისაც საინტერესოა ჩვენთან პაექრობა. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ - უდავოდ საინტერესო და დაძაბული მატჩი იქნება!

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25





ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ევროპული მიღება ევროპულ საქართველოში



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რომ ძველ, ულამაზეს აგურის შენობაშია განლაგებული, კი ვიცოდი, მაგრამ ამ შენობას უკან თუ ასეთი მყუდრო, მწვანე, მოვლილი, შადრევნიანი ეზო ჰქონდა, ნამდვილად არ მახსოვდა. სწორედ ამ მყუდრო ეზოში ამ კვირაში სამინისტრომ (უცნაურია, ადრე რატომ არავის მოსვლია აზრად ამ ეზოს ათვისება) მუსიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მიღება მოაწყო. ეზოს ერთ ჩრდილიან ნაწილში ბენდი იყო განლაგებული, რომლის თანხლებით ქართული ესტრადის მომღერლები განსაკუთრებულ, მხოლოდ ცოცხალი მუსიკისთვის დამახასიათებელ გარემოს ქმნიდნენ. მთელი მიღების განმავლობაში ბენდი უკრავდა, მომღერლები ამერიკულ, ევროპულ და ქართულ სიმღერებს ასრულებდნენ, საგანგებოდ მოწვეული სტუმრები ლამაზად გაშლილი ფურშეტის მაგიდიდან მაგიდასთან ჭიქით ხელში გადადიოდნენ, იშვიათად კარგ ღვინოს მიირთმევდნენ, საუბრობდნენ, მუსიკის თანხლებით პერმანენტულად მოცეკვავე საფრანგეთის ელჩს უყურებდნენ და ამ ყველაფერს კი სასიამოვნო ფონად ნიავი, ეზოს მაღალი ხეების ფოთლების შრიალი და შადრევნის ხმა დაჰყვებოდა.



# ჩემი SMS-ები

■ ვაკე-საბურთალოს მოხსნილი გამგებელი რატომღაც შემეცოდა. მგონია, რომ მეისრის როლში აღმოჩნდა. ეს ავადხსენებული ბენზინგასამართი სადგური, რომელიც, თუ პრინციპია, აუცილებლად უნდა მოშალონ, ნეტავი ვისია?

■ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს განაცხადი, მართალია, ცოტა არარეალური მეჩვენება, მაგრამ მაინც ძალიან მესიამოვნა. ამასობაში ბაკურიანს მიხედავენ და მერე რა იცი, რა ხდება.

■ ესპანეთში ჩატარებული გიგანტური მასშტაბის სპეცოპერაციისაგან, მისი უხეში ფორმისაგან, მეთოდებისაგან შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. წარმოგიდგენიათ, ასეთი რამ ქართველ ძალოვნებს რომ გაეკეთებინათ, რა მოხდებოდა, ოპოზიციის როგორი რეაქცია მოჰყვებოდა?! არადა, ეტყობა, დაჭერის, აყვანის თავისთავად შემზარავი პროცედურა ლამაზად, დელიკატურად, ტაქტიანად მსოფლიოში არსად არ ტარდება.

■ თეა თუთბერიძისადმი პირადი სიმპათიის ნაკლებობის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ ბევრ შემთხვევაში მართალია ხოლმე. საქართველოს ციხეებში კორუფცია, ნარკომანია, ნარკოვაჭრობა, სადიზმი ჯერ კიდევ რომ მძვინვარებს, ყველამ ვიცით. თუთბერიძე კი ამას ხმამაღლა ამბობს.

■ საზოგადოებრივი ტელევიზიის ახალი ხელმძღვანელობის მუშაობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 60-70 წლების გადაცემა-გამოძახილი "მედიატორის" დახურვა უნდა იყოს. თანაც ჯულიეტა ვაშაყმაძე ყველა პარამეტრით ეკა ბერიძეს დღესაც კი ჯობნის.

■ სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები დაიწყო და უპრეცედენტო გამჭვირვალობითა და მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. გამოცდების მსვლელობის პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფი აკონტროლებს.

■ ჩვენი ოპოზიცია დაუმორჩილებლობით რომ იმუქრება, მანამდე რა, მორჩილები იყვნენ?

■ "202"-ზე დებატებში მიწვეული კახა ბენდუქიძის მიერ საუბრის ბოლოს გაკეთებულმა კომენტარმა ძალიან გამახალისა. "ვერაფერი გავიგე, ან რა მკითხეთ, ან რა გინდოდათ". ზუსტად! ძლივს არ ჩამოაყალიბა ვიღაცამ შესაბამისი დასკვნა.

■ საკრებულოს მიერ მერის არჩევნების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ დღევანდელი საკრებულოს წინააღმდეგი კი ნამდვილად ვარ. მაგათ ვინ უნდა აგვირჩიონ?

■ ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, სილამაზის სალონ "ისი პარის" პირდაპირ მისტიკური ყვითელი ჯიხური დგას. მისტიკური კი იმიტომ, რომ საქართველო ვითარდება, ხდება რევოლუციები, იცვლება ხელისუფლება, პოლიტიკური ნება, მერი, საზოგადოება, ვაკის მცხოვრებლები; ყვითელი ჯიხური კი უფუნქციოდ, უპატრონოდ, უცვლელად დგას და დგას. გეგონება, პირამიდაა.

■ უცნაურია, მაგრამ სასტუმრო "მარიოტში" გუშინ თხილი მოვითხოვე და მოტანილ ფინჯანში თხილზე ბევრად მეტი ობი იყო.

■ ქალაქში საგანგაშოდ მომრავლდა უპატრონო ძაღლები, თანაც ძალიან აგრესიულები. ნეტავ რას ელოდებიან შესაბამისი სამსახურები. ნუთუ იმას, რომ ვინმე ძაღლმა დაგლიჯოს.

■ "მაესტროს" გადაცემა "ამტანის", რომ იტყვიან, ატანა არ შემიძლია. მე რომ მკითხო, სულ გამოსულელდნენ!

■ როგორ მაინტერესებს, რა უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა, შალვა რამიშვილის ოდნავი პატივისცემა რომ დაიმსახუროს? თუმცა, შეიძლება სააკაშვილისათვის ასე ჯობდეს, კომპლიმენტს ნიშნავდეს?!

■ ირაკლი ჩარკვიანის ქეთათოს თვალსა და ხელშუა მანიაგრანდიოზი ხომ არ დაეწყო? დავიღუპეთ!

■ ძალიან მინდა, რომ თბილისის მერმა მოსალოდნელ წინააღმდეგობას გაუძლოს, არ გატყდეს და უკანონოდ გასხვისებული მიწების ჩამორთმევის წამოწყება ბოლომდე მიიყვანოს.

■ შარდენის ქუჩაზე სულ ახალ-ახალი კაფეები იხსნება, რაც ამ ისედაც ლამაზ ქუჩას კიდევ უფრო მეტ სიმყუდროვესა და სიცოცხლეს ჰმატებს.

■ ზვიად ძიძიგური ნელ-ნელა სულ ნაკლებად მომწონს. მგონია, დაუკრეფავში გადადის. სხვათა შორის, ძალიან მწყდება გული. ერთ დროს ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ბევრად გულახდილი მეგონა.

# ქორწილსაც გაარჩნია!







სამწუხაროდ, მეც და ჩემი მეგობრებიც უკვე იმ ასაკში ვართ, როდესაც ჩვენი თაობის, წრის წარმომადგენლები სულ უფრო და უფრო იშვიათად ქორწინდებიან. უმეტესად უკვე ჩვენი შვილები თხოვდებიან ან ცოლები მოჰყავთ და ჩვენ ქორწილში მშობლებისათვის დამახასიათებელი ნერვიულობა უფრო გვიწევს, ვიდრე უდარდელი მოლხენა. ამიტომაც ამ კვირაში ნინო სუხიშვილისა და ზურა ლეჟავას, ჩვენი თაობის წარმომადგენლების, ჩვენი მეგობრების ქორწილში უკვე თითქმის მივიწყებული სიხარულით, ხალისითა და საზეიმო განწყობით წავედით.

ქორწილი, როგორც წესი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, პომპეზური, ხალისიანი რიტუალია, რომლისთვისაც როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები განსაკუთრებულად ემზადებიან. პატარძალი საქორწილო კაბას საგანგებოდ არჩევს, იკერავს ან ყიდულობს. ნეფე ცდილობს, განსაკუთრებულად ელეგანტური იყოს. ქორწილში მიპატიჟებული სტუმრებიც მაქსიმალურად იპრანჭებიან, ემზადებიან, საათობით სილამაზის სალონებში სხედან, თმებს იყენებენ, ხელებს იწესრიგებენ და რაიმე ზეეფექტურის ჩაცმას ცდილობენ. ასეთია წინასაქორწილო ბუნებრივი განწყობა, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის კარგად არის ნაცნობი.

ქორწილი ყოველთვის ქორწილია, მაგრამ მერწმუნეთ, ქორწილსაც გააჩნია! თუ ქორწილი არა თბილისის რომელიმე უსახურ, უგემოვნო, ეკლექტიკური რესტორნის საბანკეტო დარბაზში, არამედ წყნეთში, საკუთარი ულამაზესი სახლის ეზოში გადაიხადეს; თუ დიდი, თეთრსუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდები უზარმაზარი თეთრი ტენტის ქვეშ პირდაპირ მობიბინე მწვანე მოლზე გაშალეს; თუ თითოეული მაგიდა ყვავილებითა და ბაფთებით იყო დეკორირებული; თუ პატარძალი მართლაც განსაკუთრებული გარეგნობისა და მომხიბვლელობისაა და მისი სახიდან მთელი ქორწილის განმავლობაში ღიმილი არ გამქრალა; თუ ნეფე საკუთარ ბედნიერებას, შეყვარებულობას ვერც და არც მალავს; თუ პატარძლის კაბა და აქსესუარები იშვიათი ელეგანტურობითა და დახვეწილი სისადავით გამოირჩევა; თუ დაქორწინებულების მშობლები შვილების ბედნიერებით გულაჩუყებული, აღელვებული და გახარებული არიან; თუ სხვადასხვა თაობის სტუმრების სრულ უმრავლესობას მართლაც რომ ახლობელი და, შესაბამისად, ბედნიერების გულწრფელად გამზიარებელი ლამაზი, ელეგანტური, კეთილგანწყობილი და კარგი დროის გატარებისთვის მზადმყოფი ხალხი წარმოადგენს; თუ მუსიკალურ ფონს სუხიშვილების ანსამბლის მუსიკოსები ასეთი პოპულარული "ასსას" მელოდიებით ქმნიან; თუ ნეფე-პატარძალს დათო გომართელი, გიო ხუციშვილი, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე (მათი ახლო მეგობრები) უმღერიან; თუ ნებისმიერი ქორწილისათვის ასეთი დამახასიათებელი ნაციონალური ცეკვა სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავეებმა წამოიწყეს და სტუმრებიც აიყოლიეს; თუ წლევანდელი წვიმიანი ივნისის მიუხედავად, ამინდმაც თითქოს მიულოცა, აცალა და ეზოში მსხდომ სტუმრებს არც დააწვიმა, არც შესცივდათ და არც დასცხათ, მაშინ ქორწილი ნამდვილად განსაკუთრებულად მხიარული, ლამაზი, მშვიდობიანი, ხალისიანი, დასამახსოვრებელი და ბედნიერების მომასწავებელი გამოვა.

აი, სწორედ ასეთი იყო ნინო სუხიშვილისა და ზურა ლეჟავას ქორწილი, რომლებსაც ჩემი რუბრიკის მეშვეობით კიდევ ერთხელ გულწრფელად მინდა მივულოცო და ბედნიერება ვუსურვო.















სახელი ______________ მისამართი

გვარი ______________

ასაკი ______________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______________

სიმაღლე ______________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი______________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



სარწმუნოება, რჯული; ინგლისური ლუდი; პედაგოგი; ნაპოლეონის მარშალი; მსხვილი სეტყვა; ბრაზილიელი ფეხბურთელი; სოფელი გურჯაანის რაიონში; აშშ-ს შტატი; ინდიელთა ტომი; "Quini"-ს ***; @!> 2 ქართულად; ოჯახი, სახლ-კარი; " მატრიცის" პერსონაჟი; ინგლისელი ფერმერი; ჰიტლერის მეუღლე; 40 ყაჩაღის წინამძღოლი

წინა სკანვორდის პასუხები:

## TV პროგრამა

25 ივნისი, შაბათი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ნიკოლო პაგანინი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** დოკ. ფილმი **19.10** მხ. ფილმი "ექიმი ზღვაზე (გ) (ჩოუ იუნ-ფატი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - "ჩიტი". რეჟ. კლინტ ისტვუდი. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (18)

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კლიფორდი" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "ო, დელია, დელია" **11.30** "ტაქსი" (განმ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "სკანდინავია" **13.20** ქართ. ფილმი "დიდედები და შვილიშვილები" **15.00** მუსიკა (გამ.) **16.00** "ჰოლმარკი" - "მეათე სამეფო" **17.00** არტე წარმოგიდგენთ - "მემკვიდრეობის დამცველნი" **18.00** "მთავარი" **18.10** 21-ე საუკუნის ოქროს ფონდი **18.30** "მრწამსი" - სამონასტრო ცხოვრება **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- მადრიდი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** რაციო - ი. მერაბიშვილი **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - ლიზა-მარია პრესლი **00.45** მხ. ფილმი "გლობალური ჰერესი" (გ) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "კოლობოკი" **10.00** ანიმაც. ფილმი "კაზაკები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** მხ. ფილმი "გი:ი თავისუფალია" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმის გაგრძელება **15.50** გადაცემა "მედი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება: "ჯავახეთის გაზაფხული", "პირველი სიტყვა დაკარგულია", "ჰელილეო". **20.30** "ქართული ხმები" ფილმი მე-7. **21.30** მხ. ფილმი "თამაში ოთხ ხელში" (გ) **23.00** კონცერტი - ბებელ ჟილბერტო. **00.00** მხ. ფილმი "ცეკვები ცისფერ იგუანაში" (18)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" მე-3ს. მე-26. **19.50** ტელეზღაპარი **20.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "მაოს ფოტოგრაფები" **21.50** კინოსეანსი "მშვენიერი ხანა" (18)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **09.10** იმედის მელოდიები **10.00** ანიმ. ფილმი "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.10** ტვ-მარკეტი **13.15** იმედის მელოდიები **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.15** დოკ. სერიალი "ჰოლივუდის წყვილები" - მაიკლ დუგლასი, კეტრინ ზეტა ჯონსი. **18.00** "ეტალონი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** მხ. ფილმი "მონანიება" (12) (რეჟ. თ. აბულაძე) **01.45** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** ზღაპარი "ბურატინოს თავგადასავალი" 1-2 სერია **11.25** დოკუმენტური ფილმი **12.05** სათავ. ფილმი "ამბოხება გემზე" **14.30** "ფეხბურთი და ჩვენ" **15.15** ფანტასტიკა "სუპერძმები მარიო" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** ახალი ამბები **18.30** მსკ **20.00** "ფერისცვალება" **21.00** ვესთერნი "სამოთხის სამხრეთი და ჯოჯოხეთის დასავლეთით" **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "იუბილარი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**05.10** Нарисованное кино. "Тристан и Изольда". **06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Нарисованное кино. "Тристан и Изольда". Окончание. **06.40** Фильм "С поднятыми руками". **06.45** Михаил Глузский в фильме **"ПЛАМЯ". 1**-я серия. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Три окна" Андрея Макаревича. **10.40** "Кумиры". Андрей Соколов. **11.20** Док. фильм "Русские в "Мулен Руж". **12.10** "Мимино". Рождение легенды. **13.00** Дисней-клуб: "Кряк-бригада". **13.20** Док. фильм "Вещи войны". Часть 1-я. **14.00 Футбол.** Чемпионат России. **"Москва" - "Торпедо".** Прямой эфир. **16.00** "КВН-2005". Премьер-лига. Четвертая игра. **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Премьера. "Мираж" - империя обмана". **18.40** "Новые песни о главном". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". Финал. **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Дневник Московского кинофестиваля. **23.50** Вера Алентова в фильме **"ЗАВИСТЬ БОГОВ". 02.30** Мэрил Стрип в комедии **"ОТКРЫТКИ С КРАЯ БЕЗДНЫ".** Сьюзен Вэйл - популярная голливудская актриса. Но последнее время ее преследуют неудачи. Проблемы в творческой деятельности тесно переплетаются с ухудшением отношений с матерью, друзьями и коллегами. А все потому, что Сьюзен частенько злоупотребляет алкоголем, а иногда балуется и наркотиками. Пройдя курс лечения в клинике, Сьюзен выходит полная решимости реанимировать пошатнувшуюся карьеру. **04.20** Олег Басилашвили в комедии **"СТАРЫЕ ЗНАКОМЫЕ".** Телевизионная экранизация коротких рассказов А.П. Чехова, подписанных его ранним псевдонимом "Антоша Чехонте": "Сирена", "Ушла", "Живая хронология", "Психопаты" - где последнюю свою роль сыграл Евгений Лебедев. Кинематографичность Чехова спорна, но его непреходящая привлекательность для телевизионного театра вне сомнения. Мини-сериал "Старые знакомые" как нельзя лучше доказывает это.

### НТВ

**06.05** Мультфильм "Боцман и попугай". **06.25** Жан-Клод Ван Дамм в боевике **"В ПОИСКАХ ПРИКЛЮЧЕНИЙ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ЗАПАХ ЗЛА". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Владимир Жириновский в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55** Василий Мищенко в боевике **"ДУРАКИ УМИРАЮТ ПО ПЯТНИЦАМ". 16.20** "Женский взгляд". "Криминальная красота. История Оксаны Пушкиной". **16.55** Своя игра. **17.55** Лжец. **19.35** Профессия - репортер. **20.05** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Роберт Де Ниро в комедии **"ШОУ НАЧИНАЕТСЯ".** Опытный детектив Митч Престон отказывается быть участником телепередачи "Шоу начинается", которое ведет продюсер проекта Чейз Рэнзи. Но ей удается уговорить Митча сниматься в реальном времени, а в напарники ему дают молодого патрульного Трэя Сэлларса, который мечтает стать артистом. Совершенно разные, Митч и Трэй постепенно "притираются" и даже чему-то учатся друг у друга. Шоу пользуется бешеной популярностью у зрителей, а копы становятся национальными героями. Трэю даже удается сдать экзамен на детектива. Шоу продолжается! **23.00** Мировой бокс. Ночь нокаутов. **23.40** Чак Норрис в боевике **"СИЛА ОДИНОЧКИ". 01.35** Футбол в разрезе. **02.15** Уго Тоньяцци в комедии **"КЛЕТКА ДЛЯ БЕЗУМЦЕВ-2".** Продолжение приключений владельца ночного клуба "Клетка для безумцев" Ренато Бальди и его "возлюбленного" Альбена. После очередной ссоры Альбен, обрядившись в новое платье, решил "сходить налево", но вляпался в шпионскую историю. С помощью "сладкой парочки" французская контрразведка разоблачает шпионскую сеть, раскинувшую свои щупальца по всей стране. **04.15** Моника Беллуччи в фильме **"НЕОБРАТИМОСТЬ".** Ничто не предвещало кошмара, который судьба уготовила красавице Алекс, весело танцевавшей на вечеринке, куда она явилась со своими мужьями - бывшим и нынешним. Жажда мщения овладевает мужчинами, когда они узнают, что ее изнасиловал и зверски изуродовал какой-то подонок. Обезумев от гнева, они находят негодяя в ночном притоне...

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 380077 თბილისი

ბლანკი უფასოა

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

# პრეზიდენტის საჩუქარი



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ფონდი საზოგადოებისთვის უფრო მეტად თავისი ძირითადი საქმიანობით გახდა ცნობილი. კერძოდ, მმართველობითი რეფორმის პროგრამით, რომელსაც ახორციელებს გაეროსთან ერთად და ემსახურება საჯარო მოხელეთა ადეკვატურ სახელფასო ანაზღაურებას და საჯარო სამსახურის უწყებების ქმედითუნარიანობის ამაღლებას.

ფონდი გარდა ძირითადი საქმიანობისა ახდენს კიდევ 6 პროგრამის ადმინისტრირებას.

აღსანიშნავია, ყველაზე წარმატებული პროექტი: "სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამ პროექტს ჰყავს უკვე თოთხმეტი გამარჯვებული, რომლებსაც გზა საქართველოს პრეზიდენტმა დაულოცა ევროპის და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში სასწავლებლად სამაგისტრო პროგრამებზე.

დაე, კვლავაც გაიზარდოს ქართველ პროფესიონალთა რიგები, რომელთა სწავლების სრულ დაფინანსებას უცხო ქვეყნებში აიღებს საკუთარ თავზე ჩვენი მთავრობა და მისი პრეზიდენტი.

# გერმანელმა წიგნით მოვაჭრეებმა პრემია თურქ მწერალს მიანიჭეს



ორჰან ფამუკი

გერმანელ წიგნით მოვაჭრეთა გაერთიანებამ მსოფლიო პრემია ცნობილ თურქ მწერალს ორჰან ფამუკს მიანიჭა. პრემიას 23 ოქტომბერს, ფრანკფურტის გამოფენა-ბაზრობაზე გადასცემენ. ფამუკი 25 ათას დოლარს მიიღებს წიგნში, რომელშიც ისლამისა და ქრისტიანული კულტურის თანაარსებობის შესახებაა მოთხრობილი.

2003 წელს ფამუკი ყველაზე "ძვირად ღირებულ" ლიტერატურული - დუბლინის საერთაშორისო პრემიის მფლობელი გახდა. ის ერგო რომანისთვის "მე მქვია წითელი".

წლეულს, თებერვალში შვეიცარიული გაზეთისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ფამუკმა თურქების მოქმედებას სომხების წინააღმდეგ (1915 წელს) გენოციდი უწოდა. ასეთმა შეფასებამ მწერლის სამშობლოში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

2004 წელს წიგნით მოვაჭრეთა გაერთიანების პრემიის ლაურეატი იყო უნგრელი პეტერ ესტერჰაზი, 2003 წელს კი - სიუზან ზონტაგი.

# კინოაკადემიკოსები სტატუეტებს არ გაფლანგავენ

ამერიკული კინოაკადემიის ჟიური "ოსკარის" სტატუეტის რაოდენობის შემცირებას აპირებს. ყოველწლიურ ცერემონიაზე ცვლილება პროდიუსერებისა და ორიგინალური სიმღერების ავტორების ნომინაციებს შეეხება.

აკადემიის პრეზიდენტ ფრენკ პირსონის განცხადებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში პროდიუსერებისთვის განკუთვნილი ჯილდოები ძირითადად მათ ხელში ხვდება, ვინც ფილმს ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს. კინოაკადემიკოსებს არ სურთ "ოქროსფერ ადამიანთა" სტატუეტების ფლანგვა. "ოსკარი" გადაეცემა მხოლოდ მათ, ვინც ფილმის გადაღებაში ნამდვილად იღებს მონაწილეობას. ამიერიდან სტატუეტს ერთ პროექტზე მომუშავე სამი პროდიუსერი მიიღებს.

შემცირდება ორიგინალური სიმღერისთვის დაჯილდოებულ ავტორთა რაოდენობაც. სტატუეტს მხოლოდ ორი ადამიანი მიიღებს.

შარშან "ოსკარით" დაჯილდოების 77-ე ცერემონიაზე ყველაზე ორიგინალურად გამოცხადდა მულტფილმ "შრეკი-2"-ში გაჟღერებული სიმღერა. მაშინ კომპოზიტორებად ექვსი ადამიანი დასახელდა, ორიც ტექსტის ავტორი იყო.

შარშან საუკეთესო ფილმისთვის "ოსკარი" კლინტ ისტვუდმა, ალბერტ რუდმა და ტომ როზენბერგმა მიიღეს ფილმისთვის "მილიონდოლარიანი გოგონა".

შემდეგი, რიგით 78-ე ცერემონია ჰოლივუდში 2006 წლის 5 მარტს კინოთეატრ "კოდაკში" გაიმართება.

# ტომ კრუზმა ჟურნალისტები დაინდო

ტომ კრუზი სასამართლოში აღარ უჩივლებს ბრიტანეთის ერთ-ერთი ტელეარხის ჟურნალისტებს, რომელებმაც რამდენიმე დღის წინ "ომი და მშვიდობის" პრემიერის წინ წყალი შეასხეს. მსახიობმა მხოლოდ საჯარო მობოდიშება მოითხოვა და ეს სურვილი მას აუსრულეს კიდეც.

გასულ კვირას კრუზი ბრიტანეთის დედაქალაქს სტივენ სპილბერგის ბლოკბასტერის პრემიერის სანახავად ესტუმრა. ფილმში ის მთავარ როლს თამაშობდა. ჩვენების წინ ერთ-ერთი ტელეარხის წარმომადგენელმა მსახიობს მიკროფონად შენიღბული ნივთი მოუტანა, რომელიც სინამდვილეში წყლის პისტოლეტი აღმოჩნდა. გაწუწული ტომ კრუზის სცენა იუმორისტული პროგრამისთვის მზადდებოდა. თუმცა, მსახიობმა თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და გადამღები ჯგუფი პოლიციაში მიაბრძანა. ოთხივე დაკავებულს ბრალად შეურაცხმყოფელი ქმედება წარუდგინეს, მაგრამ რამდენადაც ჯგუფმა მსახიობს დაუყოვნებლივ, მოუბოდიშა, ინციდენტი ამოიწურა.

საერთოდ, ტომ კრუზი იმითაა განთქმული, რომ დიდ პატივს სცემს თავის თაყვანისმცემლებს. პრემიერის შემდეგ ის საათობით არიგებს ავტოგრაფებს და მობილური ტელეფონით "ფანებთან" საუბრობს.



სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) დიზაინის ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი.
პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება.
University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის UEL (გაერთიანებული სამეფო) და iniversity of Wales Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc
£3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ვრცელდება ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ნინა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მაღლები განყოფილება
მის: თბილისი, მესხეთის 2, სადარბაზო 1, ოთახი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24